

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

ГРУЗИНСКИЙ ТЕХНИЧЕСКИЙ УНИВЕРСИТЕТ

---

---

ISSN 1512-0996

გ მ თ დ ა ბ 0  
TRANSACTIONS  
Т Р У Д Ы

№4(478)



თბილისი – TBILISI – ТБИЛИСИ  
2010

## **სარედაქციო კოლეგია:**

ა. ფრანგიშვილი (თავმჯდომარე), ლ. ქლიმიაშვილი (თავმჯდომარის მოადგილე), ზ. გასიტაშვილი (თავმჯდომარის მოადგილე), ა. აბრალავა, გ. აბრამიშვილი, ა. აბშილავა, თ. ამბროლაძე, თ. ბაციკაძე, ჯ. ბერიძე, თ. გაბადაძე, ჯ. გახოვაძე, თ. გელაშვილი, ა. გიგინეიშვილი, ალ. გრიგორიშვილი, გ. ელიზბარაშვილი, ს. ესაძე, ვლ. ვარდოსანიძე, უ. ზვიადაძე, თ. ზუმბურიძე, დ. თავხელიძე, ე. თევზაძე, მ. თევზაძე, ს. თოფურია, ბ. იმნაძე, ი. კვესელავა, ბ. იმნაზე, ი. კვიციანი, თ. ლომინაძე, ი. ლომიძე, მ. მაცაბერიძე, თ. მეგრელიძე, ა. მოწონელიძე, ლ. მდინარიშვილი, დ. ნატროშვილი, შ. ნემსაძე, დ. ნიმაძე, გ. სალუქევაძე, ქ. ქოქრაშვილი, ე. ქუთელია, ა. შავგულიძე, მ. ჩხეიძე, თ. ჯაგოდნიშვილი, ს. ჯიბლაძე, თ. ჯიშკარიანი.

## **EDITORIAL BOARD:**

A. Prangishvili (chairman), L. Klimiashvili (vice-chairman), Z. Gasitashvili (vice-chairman), A. Abralava, G. Abramishvili, A. Abshilava, T. Ambroladze, T. Bacikadze, J. Beridze, T. Gabadadze, J. Gakhokidze, O. gelashvili, A. Gigineishvili, Al. Grigolishvili, E. Elizbarashvili, S. Esadze, Vl. Vardosanidze, U. Zviadadze, O. Zumburidze, D. Tavxelidze, E. Tevzadze, M. Tevzadze, S. Tofuria, B. ImnaZe, I. Kveselava, T. Kviciani, T. Lominadze, I. Lomidze, M. Macaberidze, T. MegreliZe, A. Motzonelidze, L. Mdzinarishvili, D. Natroshvili, Sh. Nemsadze, D. Nozadze, G. Saluqvadze, K. Kokrashvili, E. Qutelia, A. Shavgulidze, M. Chkheidze, T. Jagodnishvili, N. Jibladze, T. Jishkariani.

## **РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:**

А. Прангишвили (председатель), Л. Климиашвили (зам. председателя), З. Гаситашвили (зам. председателя), А. Аbralава, Г. Абрамишвили, А. Абшилава, Т. Амброладзе, Т. Бацикадзе, Дж. Беридзе, Т. Габададзе, Дж. Гахокидзе, О. Гелашвили, А. Гигинеишвили, Ал. Григолишвили, Е. Елизбарашивили, С. Есадзе, Вл. Вардосанидзе, У. Звиададзе, О. Зумбуриձe, Д. Тавхелиձe, Е. Тевзадзе, М. Тевзадзе, С. Топурия, Б. Имнадзе, И. Квеселава, Т. Квициани, Т. Ломинадзе, И. Ломидзе, М. Мацаберидзе, Т. Мегрелиձe, А. Моционелиձe, Л. Мдзинариშвили, Д. Натрошиშвили, Ш. Немсадзе, Д. Нозадзе, Г. Салуквадзе, К. Кокрашвили, В. Кутелиა, А. Шавгуlidze, М. Чхеидзе, Т. Джагодниშвили, Н. Джибладзе, Т. Джишкарiani.

საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2010



Publishing House “Technical University”, 2010

Издательский дом “Технический Университет”, 2010

<http://www.gtu.ge/publishinghouse/>



# შინაარსი

## სამშენებლო

თ. ბაციკაძე, ნ. მურლულია, ჯ. ნიუარაძე. ბაჭიმგასა და კუმშვაზე სხვადასხვა	
დრეპადობის მოდულის მარცე ღეროს ბრძოვი ღუნდა.....	9
ნ. ბერიშვილი, თ. ბაციკაძე, რ. ჭყოიძე. ვირფიტის ცილინდრული სისტემის შესახებ .....	14

## ენერგეტიკა და ტელეკომუნიკაცია

თ. მიქიაშვილი, შ. ნაჭყებია, გ. არაბიძე, ი. ლომიძე, მ. გუდიაშვილი.	
საბანდაცათლებლო პრობრამა „ენერგიის მოხმარების მეცნიერები“.....	17
ო. ვეზირიშვილი, ლ. პაპავა, ნ. კეჭერაძე. თბოვერბეტიკული დანადგარების	
ეკოლოგიაზე ზებავლების ეკონომიკური შეფასების მითოდიკა .....	22

## სამოწმობები

ნ. მეფარიშვილი, ნ. მაჭავარიანი, ვ. ხითარიშვილი. ჰაბურლილის	
დაცვებულების სისტემის საჭირო ცემენტის ხსნარში ქვიშის რაოდენობასა და	
ტყაღმოთხოვნილებას შორის დამოკიდებულების დადგენა .....	26

## მიმიური ფეხსრულობია და მეტალურგია

ა. სარუხანიშვილი, ე. მაცაბერიძე. სტრუქტურული ინგრედიენტების აღიტიური	
სისტემა უზყდო სილიკატების თერმოდინამიკური პარამეტრების	
სტანდარტული მოდური მნიშვნელობების ბაანგარიშებისათვის.....	29
რ. გვეტაძე, დ. გვეტაძე. ასომთავრული ანგანის პალეობრაფიული ანალიზი .....	34
რ. გვეტაძე, დ. გვეტაძე. ასომთავრული ანგანის პარადიგმატული ანალიზი .....	44

## არტიტექტურა, ურბანისტიკა და რეზარვი

გ. თევზაძე. თანამედროვე გადები ხელოვნურ საფუძველზე და მათი ტიპოლოგია.....	51
---	----

## სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობა

გ. შარაშენიძე, მ. დოლიძე, ს. შარაშენიძე, პ. კურტანიძე, ლ. ქუფარაშვილი.	
ძრავიანი ვაგონის ღრებობის სამუხრუჭო გერეტული გადაცემის	
დამატებითი მოძრაობათა განზობადებული ძალების გამოკვლევა .....	59
გ. შარაშენიძე, პ. კურტანიძე, მ. დოლიძე, ლ. ქუფარაშვილი, ს. შარაშენიძე.	
სახსრული შემთხვევის ელემენტების ცვეთის ზებავლენა სამუხრუჭო	
გერეტული გადაცემის განზობადებული ძალების მნიშვნელობაზე .....	63
გ. ამირიძე. ვესაცვლის კალაოტის დასამუშავებელი საჭრისის საიარაღო	
მასალის შერჩევა .....	67

## **პუმანიტარულ-სოციალური**

<b>რ. ქუთათელაძე, ა. კობიაშვილი. მქსავრტული სისტემის გამოყენება მცენობრივი სტაბილური მუშაობის აღდგენისათვის</b>	72
<b>რ. თაბუკაშვილი. დარბუბრივი ტექსტის მაკროსტრუქტურა და მისი კვლევის ასპექტები</b>	77
<b>რ. თაბუკაშვილი, ი. ჩიქვინიძე. მითოლოგიზმები სამედიცინო ტერმინების სტემაზი</b>	82
<b>გ. გიორგაძე. დემოკრატიული სახელმწიფო, მისი ინსტიტუციონალიზაციისა და დარმომადგენლობის სისტემური კვლევა</b>	84
<b>გ. გიორგაძე. საარჩევნო სისტემის სამართლებრივი დემოკრატიული განვითარების ხარისხის გავლენა ელექტორატზე</b>	89
<b>ავტორთა სამიებელი</b>	94
<b>ავტორთა საყურადღებო</b>	95

# CONTENTS

## BUILDING

<b>T. Batsikadze, N. Murgulia, J. Nizharadze.</b> LONGITUDINAL BENDING OF THE ROD, HAVING DIFFERENT MODULES OF ELASTICITY IN TENSION AND COMPRESSION .....	9
<b>N. Berishvili, T. Batsikadze, R. Chkoidze.</b> ABOUT CYLINDRICAL RIGIDITY OF A PLATE.....	14

## ENERGETICS AND TELECOMMUNICATION

<b>T. Mikiashvili, Sh. Nachkebia, G. Arabidze, I. Lomidze, M. Gudiashvili.</b> EDUCATIONAL PROGRAM "DEMAND SIDE MANAGEMENT" .....	17
<b>O. Vezirishvili, L. Papava, N. Kezheradze.</b> METODS OF ECONOMIC ESTIMATION OF INFLUENCE OF THERMAL POWER ENGINEERING INSTALLATIONS ON ECOLOGY .....	22

## MINING AND GEOLOGY

<b>N. Meparishvili, N. Machavariani, V. Khitarishvili.</b> ASCERTAINMENT OF DEPENDENCE BETWEEN SAND QUANTITY AND WATERNECESSITY OF CEMENT SOLUTION FOR BOREHOLES .....	26
--	----

## CHEMICAL TECHNOLOGY AND METALLURGY

A. Sarukhanishvili, E. Matsaberidze. ADDITIVE SYSTEM OF STRUCTURAL INGREDIENTS FOR CALCULATION OF STANDARD MOLAR VALUES OF THERMODYNAMIC PROPERTIES OF WATERLESS SILICATES.....	29
R. Gvetadze, D. Gvetadze. PALEOGRAPHICAL ANALYSIS OF ASOMTAVRULI ALPHABET .....	34
R. Gvetadze, D. Gvetadze. PARADIGMATIC ANALYSIS OF ASOMTAVRULI ALPHABET .....	44

## ARCHITECTURE, URBANIZATION, DESIGN

<b>E. Tevzadze.</b> MODERN GARDENS ON THE BASIS OF ARTIFICIAL ARRANGEMENT AND THEIR TYPOLOGY.....	51
---	----

## TRANSPORT, MECHANICAL ENGINEERING

<b>G. Sharashenidze, M. Dolidze, S. Sharashenidze, P. Kurtanidze, L. Kuparashvili.</b> RESEARCH OF MOTOR CARRIAGE GENERALIZED FORCES OF BRAKE LEVERAGE TRANSMISSION ADDITIONAL MOTION WITH CLEARANCES.....	59
<b>G. Sharashenidze, P. Kurtanidze, M. Dolidze, L. Kuparashvili S. Sharashenidze.</b> INFLUENCE OF HINGED CONNECTION ELEMENTS WEAR ON THE MEANING OF GENERALIZED FORCES OF THE BRAKE LEVERAGE TRANSMISSION .....	63
<b>M. Amiridze.</b> SELECTION OF MATERIAL OF TREATING SINGLE-POINT CUTTING TOOL FOR BOOT-TREE OF SHOES .....	67

**THE HUMANITIES-SOCIAL**

<b>R. Kutateladze, A. Kobiashvili.</b> THE USE OF EXPERT SYSTEM FOR STABLE WORKING OF POWER SYSTEM RESTORATION .....	72
<b>R. Tabukashvili.</b> MACROSTRUCTURE OF BRANCH TEXT AND ASPECTS OF ITS RESEARCH .....	77
<b>R. Tabukashvili, I. Chikvinidze.</b> MYTHOLOGISM IN MEDICAL TERMINOLOGY .....	82
<b>G. Giorgadze.</b> DEMOCRATIC STATE, SYSTEMIC RESEARCH OF ITS INSTITUTIONALIZATION AND REPRESENTATION .....	84
<b>G. Giorgadze.</b> INFLUENCE OF LAWFUL DEMOCRATIC DEVELOPMENT QUALITY OF ELECTORIAL SYSTEM ON ELECTORATE .....	89
<b>AUTHORS INDEX</b> .....	94
<b>TO THE AUTHORS ATTENTION</b> .....	95

# СОДЕРЖАНИЕ

## СТРОИТЕЛЬСТВО

Т.В.Бацикадзе, Н.Н. Мургулия, Дж.А. Нижарадзе. ПРОДОЛЬНЫЙ ИЗГИБ СТЕРЖНЯ, ИМЕЮЩЕГО РАЗНЫЕ МОДУЛИ УПРУГОСТИ, НА РАСТЯжение И СЖАТИЕ .....	9
Н.Ш. Беришвили, Т.В. Бацикадзе, Р.В. Чкоидзе. О ЦИЛИНДРИЧЕСКОЙ ЖЕСТКОСТИ ПЛАСТИНКИ.....	14

## ЭНЕРГЕТИКА И ТЕЛЕКОММУНИКАЦИЯ

Т.К. Микиашвили, Ш.Ш. Начебия, Г.О. Арабидзе, И.Б. Ломидзе, М.Н. Гудиашвили. ОБРАЗОВАТЕЛЬНАЯ ПРОГРАММА «МЕНЕДЖМЕНТ ПОТРЕБЛЕНИЯ ЭНЕРГИИ» .....	17
О.Ш. Везиришвили, Л.П. Папава, Н.Г. Кежерадзе. МЕТОДИКА ЭКОНОМИЧЕСКОЙ ОЦЕНКИ ВЛИЯНИЯ НА ЭКОЛОГИЮ ТЕПЛОЭНЕРГЕТИЧЕСКИХ УСТАНОВОК.....	22

## ГОРНОЕ ДЕЛО И ГЕОЛОГИЯ

Н.Н. Мепаришвили, Н.А. Мачавариани, В.Э. Хитаришвили. УСТАНОВЛЕНИЕ ЗАВИСИМОСТИ МЕЖДУ КОЛИЧЕСТВОМ ПЕСКА И ВОДОПОТРЕБНОСТЬЮ ЦЕМЕНТНОГО РАСТВОРА ДЛЯ ЦЕМЕНТИРОВАНИЯ СКВАЖИН .....	26
--	----

## ХИМИЧЕСКАЯ ТЕХНОЛОГИЯ, МЕТАЛЛУРГИЯ

А.В. Саруханишвили, Э.Л. Мацаберидзе. АДДИТИВНАЯ СИСТЕМА СТРУКТУРНЫХ ИНГРЕДИЕНТОВ ДЛЯ РАСЧЕТА СТАНДАРТНЫХ МОЛЬНЫХ ЗНАЧЕНИЙ ТЕРМОДИНАМИЧЕСКИХ ПАРАМЕТРОВ БЕЗВОДНЫХ СИЛИКАТОВ .....	29
Р.Г. Гветадзе, Д.Р. Гветадзе. ПАЛЕОГРАФИЧЕСКИЙ АНАЛИЗ АЛФАВИТА АСОМТАВРУЛИ .....	34
Р.Г. Гветадзе, Д.Р. Гветадзе. ПАРАДИГМАТИЧЕСКИЙ АНАЛИЗ АЛФАВИТА АСОМТАВРУЛИ.....	44

## АРХИТЕКТУРА, УРБАНИСТИКА, ДИЗАЙН

Э.А. Тевзадзе. СОВРЕМЕННЫЕ САДЫ НА ИСКУССТВЕННОМ ОСНОВАНИИ И ИХ ТИПОЛОГИЯ .....	51
---	----

## ТРАНСПОРТ, МАШИНОСТРОЕНИЕ

Г.С. Шарашенидзе, М.Г. Долидзе, С.С. Шарашенидзе, П.Р. Куртанидзе, Л.Дж. Купарашивили. ИССЛЕДОВАНИЕ ОБОБЩЕННЫХ СИЛ ДОБАВОЧНОГО ДВИЖЕНИЯ ТОРМОЗНОЙ РЫЧАЖНОЙ ПЕРЕДАЧИ С ЗАЗОРАМИ МОТОРНОГО ВАГОНА .....	59
Г.С. Шарашенидзе, П.Р. Куртанидзе, М.Г. Долидзе, Л.Дж. Купарашивили, С.Г. Шарашенидзе. ВЛИЯНИЕ ИЗНОСА ЭЛЕМЕНТОВ ШАРНИРНЫХ СОЕДИНЕНИЙ НА ЗНАЧЕНИЯ ОБОБЩЕННЫХ СИЛ ТОРМОЗНОЙ РЫЧАЖНОЙ ПЕРЕДАЧИ .....	63

<b>М.Н. Амиридзе.</b> ВЫБОР ИНСТРУМЕНТАЛЬНОГО МАТЕРИАЛА ЧАШЕЧНОГО РЕЗЦА ДЛЯ ОБРАБОТКИ ОБУВНЫХ КОЛОДОК.....	67
 <b>ГУМАНИТАРНО-СОЦИАЛЬНАЯ</b>	
<b>Р.Г. Кутателадзе, А.А. Кобиашвили.</b> ПРИМЕНЕНИЕ ЭКСПЕРТНОЙ СИСТЕМЫ ДЛЯ ВОССТАНОВЛЕНИЯ СТАБИЛЬНОЙ РАБОТЫ ЭНЕРГОСИСТЕМЫ .....	72
<b>Р.М. Табукашвили.</b> МАКРОСТРУКТУРА ОТРАСЛЕВОГО ТЕКСТА И АСПЕКТЫ ЕЕ ИССЛЕДОВАНИЯ.....	77
<b>Р.М. Табукашвили, И.Г. Чиквинидзе.</b> МИФОЛОГИЗМЫ В МЕДИЦИНСКОЙ ТЕРМИНОСИСТЕМЕ .....	82
<b>Г.П. Гиоргадзе.</b> ДЕМОКРАТИЧЕСКОЕ ГОСУДАРСТВО, СИСТЕМНОЕ ИССЛЕДОВАНИЕ ЕГО ИНСТИТУЦИОНАЛИЗАЦИИ И ПРЕДСТАВЛЕНИЯ .....	84
<b>Г.П. Гиоргадзе.</b> ВЛИЯНИЕ ЗАКОННОГО ДЕМОКРАТИЧЕСКОГО КАЧЕСТВА РАЗВИТИЯ ИЗБИРАТЕЛЬНОЙ СИСТЕМЫ НА ЭЛЕКТОРАТ .....	89
 <b>ПЕРЕЧЕНЬ АВТОРОВ .....</b>	94
<b>К СВЕДЕНИЮ АВТОРОВ .....</b>	95

## სამშენებლო სექტორი

၂၁၃ 624.04

გაჰიმოვასა და კუმშვაზე სხვადასხვა ღრეპაზოგის მოდულის მარნე ღეროს ბრძივი ღუნდა

თ. ბაციკაძე\*, ნ. მურლულია, ჯ. ნიუარაძე

საინჟინრო მექანიკის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175,  
თბილისი, ქონტავას 77

E-mail: tbacikadze@gtu.ge

**რეზიუმე:** განისილება დრეკად სტადიაში მყოფი დერო, რომელსაც გააჩნია საწევის გამოყდება და რომელზეც შემდგომ მოქმედებს მეუმშავი გრძივი ძალა. დეროს მასალა ხასიათ-დება განსხვავებული დრეკადობის მოდულით გაჭიმვასა და კუმშვაზე. ნაშრომში გამორთვლილია დეროს ნეიტრალური დერძის განტოლება მართკუთხა განვიველისათვის, რომლის მდებარეობა გაჭიმვისა და კუმშვის დრეკადობის მოდულების თანაფარდობაზეა დამოკიდებული. მიღებულია კრიტიკული ძალის გამოსათვლელი ფორმულა ორივე ბოლოთი სახსროვნად ჩამაგრებული დეროსათვის. კრიტიკული ძალის განმსაზღვრელი ფორმულა კონსილერის ფორმულის იდენტურია.

**საკვანძო სიტყვები:** ღერო; გრძივი ღუნგა; ღრებადობის მოდული; გაჭიმვა-კუმშვა; კრიტიკული ძალა; მდგრადობა; სიმრუდე.

## 1. შესავალი

გაჭიმვასა და გუმშვაზე თითქმის ყველა კონსტრუქციულ მასალას სხვადასხვა დრეკადობის მოდული აქვს. თუ ტრადიციული მასალებისათვის განსხვავება 15-40% შეადგენს, კომპოზიციური მასალებისათვის ისინი გაცილებით დიდი პროცენტით განისაზღვრება [1]. შემუშავებული თეორია, რომელიც ს. ამბარცუმიანის სახელს უკავშირდება, საქმაოდ რთულია და მისი საშუალებით გადაწყვეტილია მცირე რაოდენობის კონკრეტული მაგალითები. წარმოდგენილ სტატიაში გვაქვს ერთი კონკრეტული ამოცანის გადაწყვეტის მცდელობა.

განიხილება მოქნილი დეროს გრძივი დუნგა. კვარაუდობთ, რომ დეროს აქვს საწყისი სიმრუდე, რომელიც ნახვარსინუსოდური კანონით იცვლება. ამავე კანონით ვეძებთ ამოცანის ამონასს, რომლის დროსაც წონასწორობის განტოლებით კმაყოფილდება დეროს სიგრძის შუაში.

## 2. ძირითადი ნაწილი

განვიხილოთ  $E$  სიგრძის, ორივე ბოლოთი  
სახსროებად ჩამაგრებული დერო (ნახ. 1,ა),  
რომლის მოდული გაჭიმვაზე აღვნიშნოთ  $E_t$ ,  
კუმულაზე –  $E_c$ . დეროს განივავეთი სიმარტივი-  
სათვის მართკუთხედის ფორმის აკირჩიოთ.  
გრძივი ძალისათვის გვექნება (ნახ. 1,ბ):

$$N_z = \int_{A_t} \frac{E_t}{\rho} y_t dA_t + \int_{A_c} \frac{E_c}{\rho} y_c dA_c = \\ - \frac{E_t}{\rho} \int_{S^t} y_t dA + \frac{E_c}{\rho} \int_{S^c} y_c dA = - \frac{E_t}{\rho} S^t + \frac{E_c}{\rho} S^c \quad (1)$$

$\rho_{A_1}$        $\rho_{A_c}$        $\rho$        $\rho$   
 ნეიტრალური    დერძის    განტოლებას    გქნება  
 სახე:

$$\frac{E_t}{\rho} S_x^t + \frac{E_c}{\rho} S_x^c = 0$$

## (2) የመጠወቃዎች የሚፈጸመው

$$S_x^t = -\frac{E_c}{F} S_x^c. \quad (3)$$

$$\text{შემოვიდოთ აღნიშვნა: } \frac{E_c}{E} = k. \quad (4)$$

უმეტეს შემთხვევაში,  $k \geq 1$ . ოუმცა მოსალოდნელია საპირისპირო [1].

$$\begin{cases} S_x^t = A_t \frac{b_t}{2} = -b_t 2h \frac{b_t}{2} = -hb_t^2; \\ S_x^c = A_c \frac{b_c}{2} = b_c 2h \frac{b_c}{2} = hb_c^2. \end{cases} \quad (5)$$

(5) ქავიშანოვ (3)-ში, გვაწევა:

$$hb^2 \equiv khb^2.$$


ვინაიდან  $1$ , ბ ნახ-ის თანახმად,  $b_i + b_c = b$ ;

$$\begin{cases} b_t = \frac{\sqrt{k}}{\sqrt{k} + 1} b, \\ b_c = \frac{b}{\sqrt{k} + 1}. \end{cases} \quad (6)$$

დავუშვათ, დეროს საწყისი სიმრუდე განი-


$$v_0 = f_0 \sin \frac{\pi z}{l}. \quad (7)$$

$k$ -სა და  $b$ -ს შორის გრაფიკული დამოკიდებულება ნაჩვენებია მე-2 ნახ-ზე.



ნახ. 1

$k$	$b_t/b$	$b_c/b$
1	0,5	0,5
2	0,586	0,414
3	0,634	0,366
4	0,667	0,333
5	0,691	0,309
6	0,710	0,290
7	0,726	0,274
8	0,739	0,261
9	0,75	0,25
10	0,76	0,24



ნახ. 2

დეროს შემდგომი გამობურცვა ხდება გრძივი  $F$  ძალის მოქმედებით, რომლისთვისაც

$$v_l = f_l \sin \frac{\pi z}{l} \quad (8)$$

ანუ დეროს სრული გაღენვისას

$$v = (f_0 + f_l) \sin \frac{\pi z}{l}. \quad (9)$$

დეროს სიმრუდე აღნიშნოთ  $K = \frac{1}{\rho}$  -ით.

$$\frac{1}{\rho} = -\frac{d^2 v_l}{dx^2} = f_l \frac{\pi^2}{l^2} \sin \frac{\pi z}{l}, \quad (10)$$

$$\text{როდესაც } z = \frac{l}{2}, \quad \frac{1}{\rho} = f_l \frac{\pi^2}{l^2},$$

დეროს ფარდობითი დეფორმაცია ჩაიწერება შემდეგი სახით:



$$\varepsilon = \varepsilon_0 - \frac{1}{\rho} y = \varepsilon_0 - f_l \frac{\pi^2}{l^2} y, \quad (11)$$

სადაც

$$\varepsilon_0 = \frac{N}{EA} = \frac{F}{EA}. \quad (12)$$

საბოლოოდ

$$\varepsilon = \frac{F}{EA} - f_l \frac{\pi^2}{l^2} y. \quad (13)$$



სახ. 3

ჯების კანონის თანახმად:

$$\sigma = E\varepsilon = E \left( \frac{F}{EA} - f_l \frac{\pi^2}{l^2} y \right). \quad (14)$$

დეროს  $z = \frac{l}{2}$  პვერზე  $F$  ძალის მოქმედი  $x$

დერიდის მიმართ იქნება:

$$\int_A \sigma_z y dA = -F(f_0 + f_l). \quad (15)$$

საიდანაც მივიღებთ:

$$\int_A \sigma_z y_t dA_t + \int_A \sigma_z y_c dA_c = -F(f_0 + f_l). \quad (16)$$

(14) ჩავსვათ (16)-ში, გვექნება:

$$\begin{aligned} & \int_A \left( \frac{\alpha_t F}{A_t} - \frac{\pi^2}{l^2} f_l E_t y_t \right) y_t dA_t + \\ & \int_A \left( \frac{\alpha_c F}{A_c} - \frac{\pi^2}{l^2} f_l E_c y_c \right) y_t dA_t = -F(f_0 + f_l). \end{aligned}$$

აქვთ

$$\begin{aligned} & F \left( \frac{\alpha_t S_x^t}{A_t} + \frac{\alpha_c S_x^c}{A_c} \right) - \frac{\pi^2}{l^2} f_l (E_t I_x^t + E_c I_x^c) = \\ & = -F(f_0 + f_l). \end{aligned} \quad (17)$$

$$1, \quad \text{დანართის } S_x^t = A_t \frac{b_t}{2}; \quad S_x^c = A_c \frac{b_c}{2}; \quad I_x^t = \frac{2}{3} h b_t^3$$

$$\text{დანართი } I_x^c = \frac{2}{3} h b_c^3,$$

მაშინ

$$\begin{aligned} & F \left( \frac{\alpha_t S_x^t}{A_t} + \frac{\alpha_c S_x^c}{A_c} \right) - \frac{\pi^2}{l^2} f_l \frac{2}{3} h (E_t b_t^3 + E_c b_c^3) = \\ & = -F(f_0 + f_l). \end{aligned} \quad (18)$$

$\alpha_t$  და  $\alpha_c$  არის  $F$  ძალის გადანაწილება გადაჭიმული და შემცირებული ზონების პროპორციულად ანუ

$$\frac{\alpha_t}{\alpha_c} = \frac{A_t}{A_c}. \quad (19)$$


ამავე დროს

$$\alpha_t + \alpha_c = 1, \quad (20)$$

მაშინ

$$\alpha_t = \frac{A_t}{A_t + A_c} = \frac{A_t}{A} = \frac{b_t}{b}, \quad (21)$$

$$\alpha_c = \frac{A_c}{A_t + A_c} = \frac{A_c}{A} = \frac{b_c}{b}.$$



ნახ. 4

(18)-დან

$$f_1 = \frac{f_0 + \alpha_t b'_0 + \alpha_c b^c_0}{\frac{\pi^2 (E_t I_x^t + E_c I_x^c)}{Fl^2} - 1} = \frac{f_0 + \frac{b_t^2 + b_c^2}{2b}}{\frac{\pi^2 (E_t I_x^t + E_c I_x^c)}{Fl^2} - 1},$$

სადაც

$$\frac{\pi^2 (E_t I_x^t + E_c I_x^c)}{l^2} = F_{cr}, \quad (22)$$

მაშინ

$$f_1 = \frac{f_0 + \alpha_t b'_0 + \alpha_c b^c_0}{\frac{F_{cr}}{F} - 1} = \frac{f_0 + \frac{b_t^2 + b_c^2}{2b}}{\frac{F_{cr}}{F} - 1}. \quad (23)$$

ენდა აღინიშნოს, რომ კონსილერისგან დამოუკიდებლად ენგესერმა დრეპად-პლასტიკური გარდამავალი არისათვის მიიღო (22) ფორმულა, სადაც  $E_t$ -ს მაგივრად შეტანილი აქვს მხები

მოდელი  $E_{pl}$ , რომელიც აიღება მასალის გუმშვის დიაგრამიდან პროპორციულობის ზღვრის ზემოთ ნებისმიერ წერტილში გატარებული მხების მიხედვით ანუ

$$E_{pl} = tg \beta = \frac{d\sigma}{d\varepsilon}. \quad (24)$$

განვიხილოთ რიცხვითი მაგალითი. დავუშვით,  $b = 8$  სმ,  $2h = 16$  სმ, ანუ  $A = 128$  სმ<sup>2</sup>,  $\ell = 3$  მ,  $F = 300$  კნ და  $E_c = 2,1 \cdot 10^5$  მგბა.

გაანგარიშება ჩავატაროთ  $k$ -ს სხვადასხვა მნიშვნელობისათვის ( $1 \leq k \leq 5$ ).

$F_{cr}$ -ის და  $f_1$ -ის მიღებული მნიშვნელობები, როდესაც  $f_0 = \frac{l}{800} = \frac{3}{800} = 0,00375$  მ მოცემულია მე-4 ნახ-ზე და ცხრილში.

$k$	1	1,25	1,67	1,68	1,69	1,7	1,8	1,9	2,0	2,1	2,2	2,3	2,4	2,5	5
$F_{cr}$	395,823	352,85	301,584	300,23	299,95	296,01	286,53	-0,1369	277,74	-0,10505	269,574	-0,08823	262,125	-0,07694	254,78
$f_1$	0,011844	0,03454	1,782	8,94894	-52,82	O-0,68195	-0,211091	-0,1369	-0,10505	-0,08823	-0,07694	-0,0695	-0,06404	-0,0613	-0,03845

### 3. დასკვნა

როგორც მიღებული შედეგებიდან ჩანს, კრიტიკული ძალის მნიშვნელობა დამოკიდებულია  $k$ -ს მნიშვნელობაზე.  $k$ -ს ზრდისას  $F_{cr}$  მცირდება. კრიტიკული ძალა აღწევს მაქსიმუმს, როდესაც  $k = 1$  ანუ  $E_c = E_t$ .

როდესაც  $F \geq F_{cr}$ -ზე, დერო განიცდის გამობურცვას საწყისი გამრუდების საწინააღმდეგოდ (გასხლება), რაც დეროს მდგრადობის დაკარგვის და მისი რღვევის მაჩვენებელია.

მდგრადობაზე გაანგარიშებისას აუცილებელია დრეკადი მუდმივების მნიშვნელობების გათვალისწინება, რომლებიც გაჭიმვისა და კუმულისათვის სხვადასხვაა.

ამ დროს მიღებული კრიტიკული ძალის ფორმულა ფორმით კონსიდერ-ენგესერის ფორმულის იდენტურია, რომლებიც დრეკად-პლასტიკური არისათვის არის გათვალისწინებული.

როცა  $k \rightarrow \infty$ , მაშინ  $F_{cr} \rightarrow 0$  ანუ წარმოდგენილი მეოთხი გამობურცვის სიდიდის განსაზღვრის საშუალებას იძლევა მაშინაც კი, როდესაც  $f_0 = 0$ .

### ლიტერატურა

1. Амбарцумян С. А. Сопротивление материалов, разноопротивляющихся растяжению и сжатию. Ереван: Издательство РАУ, 2004.

**UDC 624.04**

## LONGITUDINAL BENDING OF THE ROD, HAVING DIFFERENT MODULES OF ELASTICITY IN TENSION AND COMPRESSION

**T. Batsikadze, N. Murgulia, J. Nizharadze**

Department of engineering mechanics, Georgian Technical University, 77, Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

**Resume:** There is considered the buckling of the rod in elastic stages, having an initial curvature. Material of the rod has different modules of elasticity in tension and compression. There was obtained the equation of neutral line, the position of which depends on the ratio of elastic modules. For a rod with hinged supports at the ends was obtained an expression of the critical force, which is identical in form to the formula of Konsider for the transition stages.

The method for solving of problem of longitudinal bending allows to make it possible to determine the flexural displacement, even with zero initial curvature.

**Key words:** rod; buckling; elastic module; tension-compression; critical force; stability; curvature.

**УДК 624.04**

## ПРОДОЛЬНЫЙ ИЗГИБ СТЕРЖНЯ, ИМЕЮЩЕГО РАЗНЫЕ МОДУЛИ УПРУГОСТИ, НА РАСТЯЖЕНИЕ И СЖАТИЕ

**Бацикадзе Т.В., Мургулія Н.Н., Нижарадзе Дж.А.**

Департамент инженерной механики, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава, 77

**Резюме:** Рассматривается продольный изгиб стержня в упругой стадии, имеющей начальную кривизну. Материал стержня имеет разные модули упругости на растяжение и сжатие. Получено уравнение нейтральной линии, положение которой зависит от соотношения модулей упругости. Для стержня с шарнирными опорами на концах получено выражение критической силы, которая по форме идентична формуле Консiderа для переходной стадии.

При решении задачи продольного изгиба применяется метод, который даёт возможность определить изгибные перемещения даже при нулевой начальной кривизне.

**Ключевые слова:** стержень; продольный изгиб; модуль упругости; растяжение-сжатие; критическая сила; устойчивость; кривизна.

**მიღებულია დასაბუქდად 07.10.10**

## შაპ 624

### ვირფიტის ცილინდრული სისისტის შესახებ


ნ. ბერიშვილი\*, თ. ბაციკაძე, რ. ჭყოიძე

საინჟინრო მექანიკის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, კოსტავას 77

E-mail: tbecikadze@gtu.ge

**რეზიუმე:** მოცემულია, რომ ცილინდრული დუნების დროს  $M_x$  მდუნავი მომენტისაგან  $\times$  მიმართულებით გამოწვეული  $\sigma_y$  ძაბვები  $\gamma$  მიმართულებით იწვევს არა მხოლოდ დეფორმაციებს, არამედ  $\sigma_y$  ძაბვებსაც. ამ ძაბვებისა და გვერდების ჩამაგრების შედეგად მიღებული ძაბვების შეჯამებით ძაბვები  $\gamma$  მიმართულებით ნულის ტოლი ხდება, რის გამოც დუნება ცილინდრულია. ნაჩვენებია, რომ ფირფიტის სისისტე შესაბამისი კოჭის სისისტესთან შედარებით ცვლილებას არ განიცდის, მდუნავი მომენტი  $\gamma$  კი მცირდება, რაც იწვევს ფირფიტის ჩაღუნვების შემცირებას.

**საკვანძო სიტყვები:** ძაბვა; დეფორმაცია; სისისტე; ჩაღუნვა.



#### 1. შესაგალი

ფირფიტების დუნების კლასიკურ თეორიაში მიღებულია, რომ ფირფიტა ცილინდრული ზედაპირის ფორმით იღუნება იმ შემთხვევაში, როდესაც მისი ორი მოპირდაპირე გვერდი რაიმე წესით ჩამაგრებულია, დანარჩენი ორი თავისუფალია. დატვირთვა არ იცვლება ჩამაგრებული გვერდების გასწვრივ, განივად შესაძლებელია შეიცვალოს ნებისმიერი კანონით (ნახ.). თუ ფირფიტის ზომა ჩამაგრებული გვერდების გასწვრივ საკმაოდ დიდია, შეიძლება ჩაითვალოს, რომ ფირფიტა იღუნება ცილინდრულ ზედაპირზე, რომლის მსახულიც ჩამაგრებული გვერდების პარალელურია (ნახ.). ითვლება, რომ  $\gamma$  დერძის მიმართულებით ფარდობითი დეფორმაცია  $\varepsilon_y = 0$  და რადგან

$$\varepsilon_y = \frac{1}{E} (\sigma_y - v \sigma_x), \quad (1)$$

გამოდის, რომ

$$\sigma_y = v \sigma_x. \quad (2)$$

თუ შევიტანო  $\sigma_y$ -ის მნიშვნელობას  $\varepsilon_x$ -ის გამოსახულებაში, მივიღებთ [1], [2]:

$$\varepsilon_x = \frac{1}{E} (\sigma_x - v \sigma_y) = \frac{1}{E} (\sigma_x - v^2 \sigma_x). \quad (3)$$

(3)-დან  $\sigma_x$  ტოლი იქნება:

$$\sigma_x = \frac{E}{1-v^2} \varepsilon_x. \quad (4)$$

$x$  დერძის მიმართულების  $M_x$  მდუნავი მომენტი

$$M_x = \int_{-h/2}^{h/2} \sigma_x z dz = \frac{Eh^3}{1-v^2} \cdot \frac{\partial^2 W}{\partial x^2} \int_{-h/2}^{h/2} z^2 dz = \frac{Eh^3}{12(1-v^2)} \frac{\partial^2 W}{\partial x^2}. \quad (5)$$

$D = \frac{Eh^3}{12(1-v^2)}$  სიდიდეს ეწოდება ფირფიტის ცილინდრული სისისტე და გამოიყენება ფირფიტების ყველანარი დუნების დროს [1], [2].

#### 2. ძირითადი ნაწილი

ზემომოტანილ თეორიაში არის ზოგიერთი შეუსაბამობა და წინააღმდეგობა.

1. კლასიკური დრეკადობის თეორიაში მიღებულია, რომ  $x$  დერძის მიმართულებით მოქმედი  $\sigma_x$  ძაბვა არ იწვევს ძაბვებს  $\gamma$  დერძის მიმართულებით, მაგრამ იწვევს დეფორმაციებს (ნახ.). აქედან გამომდინარე,  $\gamma$  დერძის მიმართულებით მოქმედი  $\sigma'_y = v \sigma_x$  ძაბვა, რომელიც ჩამაგრებული გვერდების გავლენით მიიღება (იზღუდება

$\sigma_x$ -ის მიერ გამოწვეული გადადგილებები უ დერძის მიმართულებით), ქნის  $yoz$  სიბრტყეში მდუნავ მომენტს, რომელიც დუნგას გამოიწვევს ამ სიბრტყეში. გარდა ამისა, (1)-დან ჩანს, რომ  $y$  დერძის მიმართულებით მოქმედებს  $\sigma_x$ -ისაგან გამოწვეული  $v\sigma_x = \sigma_y$  ძაბვა. სწორედ ამ ძაბვისა და ჩამაგრების გავლენით აღძრული ძაბვების სხვაობის გამოა  $y$  დერძის მიმართულებით სრული ძაბვა ნულის ტოლი, მაშინ, როცა ითვლება, თითქოს  $y$  დერძის მიმართულებით მხოლოდ ფარდობითი დეფორმაცია  $\varepsilon_y = 0$ , ხოლო მისი გამოწვევი ძაბვა კი არა. მიღებულია, რომ ფირფიტის  $x$  დერძის პარალელური ზოლები  $y$  დერძის მიმართულებით ვერ გადადგილდება, ე.ი.  $\varepsilon_y = \frac{\partial v}{\partial y} = 0$  ზოლები იმყოფება ბრტყელი დეფორმაციის მინის:

$$\varepsilon_y = 0 \text{ და } \sigma_y = 0.$$

2. მიღებულია, რომ  $\varepsilon_y = 0$ , მაგრამ ეს თეორიულად შეუძლებელია, რადგან თუ დეფორმორებადი სხეული  $x$  დერძის მიმართულებით იკუმშება ან იჭიმება  $y$  დერძის მიმართულებით, მისი ბოჭკოები შესაბამისად უნდა იჭიმებოდეს ან იკუმშებოდეს. აქედან გამომდინარე,  $\varepsilon_y \neq 0$ , მაშინ  $\sigma'_y = v\sigma_x$  და ამ მკუმშავი ძაბვის გავლენით ფირფიტა გაიღუნება  $yoz$  სიბრტყეში, მაგრამ  $x$  დერძის მართობული ყოველი კეთის ჩაღუნვებს შორის მით უფრო ნაკლები განსხვავება იქნება, რაც მეტი ფირფიტის ზომა  $y$  დერძის მიმართულებით და რაც უფრო ნაკლებია  $v\sigma'_y$  ძაბვა  $v\sigma_x$  ძაბვაზე.

3. (4) ფორმულაში  $\varepsilon_x$  ფირფიტის ფარდობითი დეფორმაცია  $x$  დერძის მიმართულებით, ხოლო  $\sigma_x$  – ერთეული სიგანის ზოლის მდუნავი მომენტის შესაბამისი ძაბვა, ამიტომ ფირფიტის მდუნავი მომენტი უნდა განსაზღვროს არა  $\sigma_x$ , არამედ  $\sigma_x(1-v^2)$ , ე.ი. შემცირებული ძაბვის მიხედვით.

4. (5) გამოსახულების მიხედვით ანუ ამ განტოლების ინტეგრირებით განსაზღვრული ფირფიტის ჩაღუნვა  $W$ , ზემოთ აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით, მართებულია, მაგრამ აქვთან გამომდინარეობს, თითქოს ფირფიტის სიხისტე  $D$  მეტია ერთეული სიგანის მქონე კოჭის სიხისტეზე. სიხისტე კი დამოკიდებულია  $E$  მასალის დრეკადობის მოდულსა და  $h$  ფირფიტის სიმაღლეზე, რაც როგორც ერთეული სიგანის კოჭს, ისე ფირფიტის ერთეული სიგანის ზოლს ერთნაირი აქვს, ამიტომ მათი სიხისტეები ტოლი უნდა იყოს და  $EI$ -ის უნდა უდრიდეს. ხადაც ერთეული სიგანის ზოლის ინერციის მომენტია.

5. (5) გამოსახულებას უნდა ჰქონდეს შემდეგი სახე:

$$M_x(1-v^2) = EI \frac{\partial^2 W}{\partial x^2}. \quad (6)$$

აქ  $M_x$  ერთეული სიგანის ორ საყრდენზე მდგბარე კოჭის მდუნავი მომენტია, რომელიც  $(1-v^2)$ -ჯერ შემცირებული ფირფიტის მდუნავ მომენტია. ეს შემცირება შედეგია განივი მიმართულებით მოქმედი ძაბვებისა. ამგვარად, ფირფიტის მდუნავი მომენტი მცირეა შესაბამისად ორ საყრდენზე მდებარე კოჭის მდუნავ მომენტზე, ამიტომაც ფირფიტის ჩაღუნვა გამოდის კოჭის ჩაღუნვაზე ნაკლები, ხოლო სიხისტის ცვლილებას ადგილი არა აქვს. ფირფიტის სიხისტე ერთეული სიგანის მქონე  $h$  სიმაღლის ზოლის სიხისტის ტოლია.

### 3. დასკვნა

ცილინდრული დუნგის დროს ფირფიტაზე მოქმედებს, ერთი მხრივ,  $x$  დერძის მიმართულებით მოქმედი  $M_x$  მდუნავი მომენტისაგან წარმოქმნილი ძაბვები  $\sigma_x$  და, მეორე მხრივ, ფირფიტის ჩამაგრების გავლენით წარმოქმნილი  $\sigma_y$  ძაბვები.  $M_x$  მდუნავი მომენტი შესაბამება საყრდენებზე თავისუფლად მდებარე ფირფიტას. მისი შესაბამისი  $\sigma_x$  ძაბვა  $y$  დერძის მიმართულებით იწვევს  $\sigma_y = v\sigma_x$  ძაბვას, რომელიც კლასიურ თეორიაში უგულებელყოფილია, მისი შესაბამისი ფარდობითი დეფორმაცია კი მხედველობაშია მიღებული. ნაშრომში ნაჩვენებია, რომ სწორედ ამ უგულებელყოფილი ძაბვისა და გვერდების ჩამაგრების გავლენით მიღებული ძაბვების შეჯამებით ხდება  $y$  დერძის მიმართულებით ძაბვა და, მაშასადამე, დეფორმაციაც ნულის ტოლი.

ფირფიტის დუნცის დიფერენციალური განტოლება უნდა დაიწეროს (6) სახით, რაც მიუთიქის, რომ ფირფიტის სიხისტე კი არ იცვლება შესაბამისი ერთეული სიგანის მქონე კოჭთან შედარებით, არამედ ფირფიტის მღუნავი მომენტი მცირდება განივად მოქმედი ძაბვების გავლენით, ხოლო სიხისტე უცვლელი რჩება.

### ლიტერატურა

1. Тимошенко С.П., Войновский-Кригер С. Пластиинки и оболочки. Москва: Наука, 1966.

2. Никифоров С.И. Теория упругости и пластичности. Москва, 1955.
3. 6. ბერიშვილი, რ. ჭყოძე, რ. გომრგობიანი. პუნქტების განზოგადებული კანონის კრიტიკული ანალიზი // ინტელექტუ, №1(33), 2009.
4. 6. ბერიშვილი, მ. თოდუა, რ. გომრგობიანი. წერტილში დაბაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის განსაზღვრა ერთგვაროვანი გაჭიმვა-კუმულაციისას // მშენებლობა, № 3(6), 2007.

**UDC 624**

### ABOUT CYLINDRICAL RIGIDITY OF A PLATE

**N. Berishvili, T. Batsikadze, R. Chkoidze**

Departament of engineering mechanics, Technical University of Georgia, 77, Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

**Resume:** There is shown, that at a cylindrical bend of pressure  $\sigma_x$  in direction  $x$  caused by bending moment  $M_x$  cause in a direction  $y$  not only deformations, but also pressure  $\sigma_y$ . Summation of these pressures with pressure received as a result of supporting the pressure parties in the direction  $y$  turns out equal to zero, that causes a cylindrical bend.

There is shown also, that rigidity of a plate in comparison of rigidity of a corresponding beam does not change, but decreases bending moment that causes reduction of blexure.

**Key words:** pressure; deformaton; rigidity; blexure.

**УДК 624**

### О ЦИЛИНДРИЧЕСКОЙ ЖЕСТКОСТИ ПЛАСТИНКИ

**Беришвили Н.Ш., Бацикадзе Т.В., Чхойдзе Р.В.**

Департамент инженерной механики, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава, 77

**Резюме:** Показано, что при цилиндрическом изгибе напряжения  $\sigma_x$  по направлению  $x$ , вызванные изгибающим моментом  $M_x$ , обусловливают по направлению  $y$  не только деформации, но и напряжения  $\sigma_y$ . В результате суммирования этих напряжений с напряжениями, полученными в результате опирания сторон, напряжения в направлении  $y$  получаются равными нулю, что обуславливает цилиндрический изгиб.

Показано также, что изменяется не жесткость пластиинки, по сравнению с жесткостью соответствующей балки, а уменьшается изгибающий момент, что приводит к уменьшению прогибов.

**Ключевые слова:** напряжение; деформация; жесткость; прогиб.

მიღებულია დასაბუქდა 29.07.10

# ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის სექტორი

უბა 638.244

საბანმანათლებლო პროგრამა „ენერგიის მოხმარების მინიჭებულებები“

თ. მიქიაშვილი, შ. ნაჭყებია\*\*, გ. არაბიძე\*, ი. ლომიძე, მ. გულიაშვილი

თბილისი და პიდროვნერგების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, კოსტავას 77

E-mail: giagiorgi@hotmail.com, shalva\_nachkebia@yahoo.com

**რეზიუმე:** საქართველოს ინდუსტრიულ, საყოფაცხოვრებო, კომერციულ და საზოგადოებრივ სექტორში კვალიფიციური ენერგომენეჯერების დეფიციტის პრობლემის გადასაწყვეტად დღის წესრიგში დაგდა „ენერგიის მოხმარების მენეჯმენტში“ სამაგისტრო პროგრამის კონცენტრაციის/მოდულის შექმნა. აღნიშნული მოდული, რომელიც მოიცავს 4 სასწავლო კურსს (ენერგიის მოხმარების ტექნოლოგიებს, ენერგომენეჯმენტის პრინციპებს, ენერგიის სამომხმარებლო მოთხოვნილებათა მართვის და განახლებად ენერგეტიკულ ტექნოლოგიებს), სტუდენტებს მისცემს ფუნდამენტურ ცოდნას ენერგიის მოხმარების მართვის, წარმოებისა და გარდაქმნის ტექნოლოგიებში, განუვითარებს რაოდენობრივი შეფასების, ენერგეტიკის საკითხების ანალიზის, პროგნოზირების, კაპიტალდაბანდებების და დანახარჯების გაანგარიშების, სასიცოცხლო ციკლის ეკონომიკური ანალიზის, გარემოზე ზეგავლენის შეფასების, საქმიანობის ეფექტური დაგეგმვის და მართვის უნარ-ჩვევებს. აღნიშნული კომპეტენციების მქონე მაგისტრების დასაქმება ხელს შეუწყობს ქვეყნის ინდუსტრიული, კომერციული და საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის ეფექტურ განვითარებას, ენერგიის განახლებადი წყაროების ადგილობრივი პოტენციალის ეფექტურ გამოყენებას, ადამიანური რესურსების რაციონალურ მართვას და, ზოგადად, ენერგეტიკის მოხმარების მენეჯმენტის სწორად წარმართვას. შემოთავაზებული სამაგისტრო პროგრამით უთუოდ დაინტერეგსდებიან სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნების საგანმანათლებლო ცენტრებიც.

**საკვანძო სიტყვები:** ენერგიის მოხმარების მენეჯმენტი; ენერგომენეჯერი; სამომხმარებლო მოთხოვნილებათა მართვა.

## 1. შესავალი

ეკონომიკური ტექნოლოგიების და ენერგეტიკული რესურსების რაციონალური გამოყენების პრობლემა, რომელიც აქტუალურია მსოფლიოს მასშტაბით, მოითხოვს დირებულებების და კრიტერიუმების ერთიანი სისტემების შემუშავებას. ამ პრობლემის გადაწყვეტის აუცილებელი პირობა მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების მომზადებაა, რომელთაც ექნებათ პრობლემების სისტემური ხედვის და საერთო ტენდენციების შესაბამისი სწორი გადაწყვეტილებების მიღების უნარი.

საქართველოს ინდუსტრიულ, საყოფაცხოვრებო, კომერციულ და საზოგადოებრივ სექტორში ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა კვალიფიკიური ენერგომენეჯერების დეფიციტი.

შექმნილი ვითარების ანალიზი გვიჩვენებს, რომ სათანადო კომპეტენციის მქონე ენერგომენეჯერთა მოსამარებლებლად აუცილებელია „ენერგიის მოხმარების მენეჯმენტში“ სამაგისტრო პროგრამის კონცენტრაციის/მოდულის შექმნა, რომლის განსახორციელებლად საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტზე ჩამოყალიბდა პროფესორ-მასწავლებელთა გუნდი ფაკულტეტის დეკანის, ტ.მ.დ., პროფესორ გია არაბიძის ხელმძღვანელობით.

აღნიშნული მოდული ენერგეტიკის ფაკულტეტზე არსებული სრული სამაგისტრო პროგრამის ავტონომიური ნაწილია, რომელიც გამიზნულია დაინტერესებულ პირთა ფართო სპექტრისათვის - სხვადასხვა სპეციალობის ბაკალავრებისათვის, მაგისტრებისათვის, დოქტორებისათვის, პრაქტიკონის ინჟინერებისათვის, მოქმედი მენეჯერებისათვის და სხვა.

მოდული მოიცავს 4 არჩევით სასწავლო კურსს. თითოეული კურსის წარმატებით გაფლის შედეგად სტუდენტი მიიღებს შესაბამისი

კვალიფიკაციის სერტიფიკატს. მოდულის სრული კურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში სტუდენტი მიიღებს უმაღლესი კატეგორიის სერტიფიკატს „ენერგიის მოხმარების მნიშვნელობის“.

პროგრამის ცალკეული კურსები ასევე გამოყენებული იქნება სპეციალისტების ცოდნის გაღრმავების, გადამზადების და სერტიფიცირების მიზნით. ამ პროგრამის ფარგლებში სტუდენტები შეიძლება მაღალი ხარისხის თეორიულ ცოდნას და პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, რაც საშუალებას მისცემს წარმატებით გაიარონ მრავალპროფილური საკვალიფიკაციო ტესტირებები და მიიღონ სტანდარტის შესაბამისი სერტიფიკატები.

სასწავლო პროგრამას ეწება საპილოტო ფუნქცია სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნებისთვის. მისი წარმატებული განხორციელება გაზრდის ამ ქვეყნების დაინტერესების ანალოგიური პროგრამების დანერგვაში, რაც შორეულ პერსპექტივაში შექმნის განათლების და კოცევციის ერთიან სისტემას, განავითარებს რეგიონის ენერგეტიკულ ინტეგრაციას, გააძლიერებს საერთო ენერგეტიკული პრობლემების გადაჭრას და უზრუნველყოფს პრაქტიკული შედეგების მიღწევას რეგიონის ქვეყნების სტაბილურ და კოლოგიურ ენერგოუზრუნველყოფაში.

## 2. ძირითადი ნაწილი

„ენერგიის მოხმარების მენეჯმენტში“ სამაგისტრო პროგრამის კონცენტრაციის/მოდულის შექმნა ითვალისწინებს ტექნიკური ცოდნის, მარ-

თვისა და კვლევის უნარების გაუზიანებას ისეთ სფეროში, როგორიცაა: ენერგიის სამომხმარებლო მოთხოვნილებათა მართვა, პროექტის მენეჯმენტი, ენერგომენეჯმენტის ფინანსური ასპექტები და ენერგოუზღიური, ტრადიციული და განაბლებადი ენერგეტიკული ტექნოლოგიები, ენერგიის მოხმარების ეკოლოგიური საკითხები.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში შეძენილი ცოდნით კურსდამთავრებულებს შეეძლებათ წარმატებული მუშაობა და კარიერული ზრდა ინდუსტრიულ და კომერციულ საწარმოებში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, სამთავრობო სტრუქტურებში, ენერგეტიკულ კომპანიებში, საკონსულტაციო ფირმებსა და საგენტოებში, საერთაშორისო ორგანიზაციებში, კვლევით ლაბორატორიებში, განათლების სისტემაში და სხვ. ამასთან, კურსდამთავრებულებს ექნებათ ისეთი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რაც მნიშვნელოვანია მათი დასაქმებისთვის მაღალანაზღაურებად პოზიციებზე სხვადასხვა სპეციალიზაციის ადგილობრივ და უცხოურ კომპანიებში.

სამაგისტრო პროგრამის კონცენტრაციის/მოდულის „ენერგიის მოხმარების მენეჯმენტის“ (Demand Side Management) კურსების ჩამონათვალი შესაბამისი კრედიტების წვენებით მოცემულია ცხრილში.

აქვევ კურსების მოკლე აღწერა, რომლის გაცნობა სრულ წარმოდგენას შეუქმნის დაინტერესებულ პირებს მოდულის შესახებ.

№	საგნის კოდი	საგანი/მოდული	ECTS კრედიტი
1		ენერგიის წარმოების, გარდაქმნის და მოხმარების ტექნოლოგიები	20
2		ენერგომენეჯმენტის პრინციპები (Principles of Energy Management)	10
3		ენერგიის სამომხმარებლო მოთხოვნილებათა მართვა	10
4		განახლებადი ენერგეტიკული ტექნოლოგიები	10
		კრედიტების რაოდენობა	50

1. ენერგიის წარმოების, გარდაქმნის და მოხმარების ტექნოლოგიები, სითბური ენერგიის შემცველები. ორთქლი, ცხელი წყალი, შეკუმშებული ჰაერი და სხვა. ენერგიის შემცველების თერმოდინამიკური თვისებები, პარამეტრები და გამოყენება; ინდუსტრიული, საყოფაცხოვრებო,

კომერციული და საზოგადოებრივი დანიშნულების მომხმარებლები.

სითბური ენერგიის განაწილების სისტემები და კომპონენტები. ორთქლითა და ცხელი წყლით მომარაგების, კონდენსატის დაბრუნების, ჰაერით მომარაგების სქემები, თბოგადამცემი აპარატები, მილსადენები, არმატურა (კუნტილგ-

ბი, საკვალიფიკაციის დასამართლები, ფარსაკეტები და სხვა), საზოგადო საქონტროლო ხელსაწყოები.

სითბური ენერგიის განერაციის დანადგარები. ქვების და საცეცხლე სისტემების ანალიზი; წვის ეფექტურობა; უმნიშვნელოვანების დეტალური მაქსიმალური ეფექტურობის მისაღწევად; ენერგეტიკული სათბობი და მასთან დაკავშირებული საკითხები; უახლესი ტექნოლოგიები; სათბობის შერჩევა და გამოყენების მექანიზმები.

ნარჩენი სითბოს გამოყენება და კომპენსაცია (ელექტრული და სითბური ენერგიის კომინირებული წარმოება). ნარჩენი სითბოს გამოყენების პოტენციალი; ენერგიის კასკადური უტილიზაციის სქემები და სისტემები; თბოგადამცემის აპარატები და ქვაბული წარმოები; ნარჩენი სითბოს გამოყენების ტექნოლოგია და ეკონომიკა; სითბური ენერგიის კონსერვაცია (აკუმულირება), კონსერვაციის მეთოდები, სისტემები და ეკონომიკა. კოგენერაციის სისტემების სქემები, დანადგარები; ანალიზი და კომპიუტერული პროგრამები; კოგენერაციის ტექნიკური შესაძლებლობების და გამოყენების უფექტურობის შეფასება; კოგენერაციის პროექტების მაგალითები.

ელექტროენერგიის მოხმარების მართვა (End Use Technology). ელექტროენერგიის მოხმარება ინდუსტრიულ, საყოფაცხოვრებო, კომერციულ და საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტებზე; ელექტროენერგიის ხარისხი, მოხმარებელთა კატეგორიები, დატვირთვის და მოხმარების გრაფიკები; ელექტრომომარაგების ძირითადი პრინციპები და მდგრადრეობა; ენერგიის მოხმარების დანადგარები - ძრავები (Motors), ამძრავები (Drivers), ტუბოები, კომპრესორები, განათების სისტემები, მაცივარ-დანადგარები, გათბობა-ვენტილაცია-ჰაერის (HVAC) დანადგარები და სხვა. მათი შერჩევის კრიტერიუმები, მუშაობის რეჟიმები, დატვირთვების ოპტიმიზაცია და ტექნიკურ-ეკონომიკური ეფექტურობა.

ენერგეტიკული დანადგარების მომსახურება (Maintenance). მომსახურების დაგეგმვა და გრაფიკები; მომსახურების პროცედურები, ხელსაწყოები და მასალები; სატრანსპორტო მომსახურება; დიაგნოსტიკის და გაზომვის ხელსაწყოები.

2. ენერგომენეჯმენტის პრინციპები (Principles of Energy Management) ენერგომენეჯმენტის ფინანსური ასპექტები და ენერგომენეჯმენტის კაპიტალდაბანდების ზოგადი მასასიათებლები; რესურსები, ფონდები, დაბეგრა; ფულის დროითი სიდიდე;

პროექტის დირექტორების განსაზღვრა; ენერგო-აუდიტორული მომსახურება, მეთოდები და ხელსაწყოები; სამრეწველო, კომუნალური და საყოფაცხოვრებო ობიექტების ენერგოაუდიტი; ენერგიის რაციონალური გამოყენების (დაზოგვის) შესაძლებლობების შეფასება; რეკომენდაციების შემუშავება, გადაწყვეტილების მიღება; მონიტორინგი; ენერგომენეჯმენტის მაგალითები და პროექტები, მათი კრიტიკული ანალიზი.

პროექტის მენეჯმენტი. ენერგომენეჯმენტის პროგრამები, ორგანიზაციული სტრუქტურა; ენერგომენეჯმენტის დაგეგმვა; საწარმოების სამოქმედო ენერგეტიკული გაგმა; ტრენინგების დაგეგმვა; სტრატეგიული დაგეგმვა; ანგარიშები; მთავარი მოთხოვნები წარმატების მისაღწევად; რისკის ანალიზის მეთოდები და მინიმიზაციის ღონისძიებები; ენერგორესუსების მოწოდების დივერსიფიკაცია; ფორსმაჟორული სიტუაციები; საგანგებო სიტუაციების მართვა ენერგეტიკაში; მდგრადი ენერგოუზრუნველყოფის ტექნიკური და ფინანსური რესურსები; ენერგოუსაფრთხოების ეკონომიკა და ადგილი ენერგიის მენეჯმენტში.

ენერგიის მომხმარებლის კოოლოგია. ენერგიის მოხმარების დანადგარების ეკოლოგიური მასასიათებლები/ მაჩვენებლები; პარტნერის ხარისხის სტანდარტები შენობებისათვის; ზღვრული გამონაბოლქები და ჯარიმები; საწარმოო ნარჩენების მართვა (Waste management); მწვანე სერტიფიკატი და შეღავათები; კლიმატის ცვლილების სამოქმედო გეგმა.

3. ენერგიის სამომხმარებლო მოთხოვნილებათა მართვა. ენერგიის დაზოგვის მეთოდები; ენერგიის მოთხოვნა, წყაროები და საბაზისო გრაფიკები, ფლუქტუაციები; ენერგიის სამომხმარებლო ტარიფები, მოთხოვნილების მართვა და მოხმარების აუდტიურა; შენობებიდან თბოდანაკარგების შემცირების მეთოდები (Building Envelope); თბოდასიზოდაციო სამშენებლო მასალები; დათბუნება; თბოდანაკარგების მართვა სამრეწველო საწარმოებში; თბური იზოლაციის ღონისძიებების ძირითადი ასპექტები; თბოდასიზოდაციო მასალები, მათი შერჩევა და ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები; განათების ენერგიადამზოგი სისტემები; ენერგიის რაციონალურად გამოყენების კრიტერიუმები და გადაწყვეტილების მიღება; ენერგოეფექტურობის ანალიზის მეთოდები და კომპიუტერული პროგრამები; ენერგიის მოხმარების მონიტორინგი.

4. განახლებადი ენერგეტიკული ტექნოლოგიები. განახლებადი ენერგეტიკული რესურსები; მზის, ქარის და მდინარეების ენერგია; ოკეანე-

ების და ზღვების მიქცვა-მოქცევის და ტალღების ენერგია; გეოთერმული ენერგია; ბიომასა და მეორეული ენერგორესურსები; სიობოს და სიცივის კონსერვაცია, განახლებად ენერგეტიკულ რესურსებზე მომუშავე დანადგარები და მსოფლიო გამოცდილება; განსაკუთრებული მოთხოვნები და შეზღუდვები.

„ენერგიის მოხმარების მენეჯმენტში“ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს გააჩნია საკმარისი ადამიანური რესურსები და სასწავლო-სააუდიტორიო ბაზა. ამ თვალსაზრისით ძირითად დირექტულებას წარმოადგენს პროექტში ჩართული პროფესორ-მასტავლებლების კვალიფიკაცია და გამოცდილება, რაც მოიცავს მათ მიერ პროგრამაში შემავალი ცალკეული კურსების სწავლების ხანგრძლივ პერიოდს. მათ მიერ შექმნილი და შედგენილი სალექციო სახელმძღვანელოები და მითითებები პარობირებულია სასწავლო პროცესში. იმედი გვაქვს, რომ აღნიშნული სახელმძღვანელოები სირთულის გარეშე გადამუშავდება და შეივსება ახალი პროგრამის მოთხოვნების შესაბამისად.

### 3. დასკვნა

ვფიქრობთ, რომ პროექტის წარმატებული განსახორციელებისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ისიც, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და რექტორატი მხარს უჭერს წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამას და ეხმარება სხვადასხვა საკითხის გადაწყვეტაში. ამასთან, ის ტექნიკური დახმარება, რომელსაც ჩვენს უნივერსიტეტს უწევენ პარტნიორი ორგანიზაციები, გვაძლევს სრული მზადყოფნის იმედს, რათა წარმოდგენილი პროგრამა წარმატებულად განსახორციელდეს.

ყოველივე ზემოაღნიშნულთან ერთად მიგვაჩნია, რომ სამაგისტრო პროგრამის კონცენტრაციის/მოდულის „ენერგიის მოხმარების მენეჯმენტის“ შექმნა და რეალიზაცია მოთხოვგვს სრულ ტექნიკურ აღჭურვას როგორც პროგრამის მომზადების, ისე განსახორციელების ეტაპზე. ამისათვის საჭიროა: არსებული ბიბლიოთეკის განახლება, ახალი უცხოური სახელმძღვანელოების შექმნა, თარგმნა და გადამუშავება; ახალი მეთოდური მითითებების და სახელმძღვანელოების შექმნა; თანამედროვე პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა; კომპიუტერული აუდიტორიის აღჭურვა თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით, რომელიც გამიზნული იქნება სალექციო კურსის, სტუდენტთა თვითმომზა-

დების და ავტოტესტირების, ასევე ტრენინგების და ინტერნეტ-სესიების ჩასატარებლად ინტერაქტიულ (ცოცხალი ხაზის) რეჟიმში.

წარმოდგენილი პროგრამით მომზადებულ ახალგაზრდა საქართველოს ექნებათ პრობლემების გადაჭრის, გადაწყვეტილების მიღების, დაგეგმვის და ორგანიზების უნარი, რომლითაც შეძლებენ კომპლექსური პრობლემების დამოუკიდებლად და ორიგინალური გზით გადაჭრას; პროფესიულ დონეზე მიზნების დაგეგმვას და განხორციელებას; შეზღუდული ინფორმაციის პირობებში მოსაზრებების ჩამოყალიბებას და პრობლემების განსაზღვრას; სამუშაოების დამოუკიდებლად დაგეგმვას; თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების ეფექტურ გამოყენებას; მუშაობას როგორც გუნდის წევრის, ისე ლიდერის რანგში.

ეს ხელს შეუწყობს საქართველოს ინდუსტრიული, კომერციული და საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის უვაქტურ განვითარებას, ენერგიის განახლებადი წყაროების ადგილობრივი პოტენციალის გამოყენებას, ადამიანური რესურსების რაციონალურ მართვას და სხვა.

შემოთავაზებული პროგრამით სწავლების მდგრადიბის მოლოდინი დასტურდება ბაკალავრების გამოკითხვის შედეგებით. გამოკითხვები ჩატარდა სტუ-ის რამდენიმე ფაკულტეტზე, რომლის დროსაც უნივერსიტეტის სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტებს განვითარებათ კურსის გეგმები და მოსალოდნელი შედეგები კვალიფიკაციის მიღების და დასაქმების შანსის თვალსაზრისით. 320 გამოკითხული სტუდენტიდან წარმოდგენილი პროგრამით სწავლის სურვილი გამოთქვა 80 სტუდენტმა (25%). პროგრამის მდგრადიბის საფუძველს ამჟარებს ის გარემოებაც, რომ მაგისტრანტებთან მუშაობის 13-წლიანი გამოცდილება ადასტურებს მათ სერიოზულ დაინტერესებას სამენეჯმენტო პროფილის სწავლებაში.

მეორე მხრივ, პროგრამის სტაბილურობა უზრუნველყოფილი იქნება სახელმწიფო გრანტებით, პარტნიორი ენერგოკომპანიების გრანტებით და მაგისტრანტების მიერ გადახდილი სწავლების საფასეურით.

ვვარაუდობთ, რომ სასწავლო პროგრამას ექნება საპილოტო ფუნქცია სამსრეო კავკასიის რეგიონის ქვეყნებისათვის. მისი წარმატებული განხორციელების შემთხვევაში გაიზრდება სხვა ქვეყნების დაინტერესება ანალოგიური პროგრამების დაერგვაში. ამ მხრივ, შეგვეძლება დიდი დახმარება გაგუშიოთ ამ ქვეყნების სასწავლო დაწესებულებებს გამოცდილების გაზია-

რების და კადრების მომზადების საკითხში. შორეულ პერსპექტივაში ეს შექმის განათლების და კონცეფციების ერთიან სისტემას, რაც განავითარებს ენერგეტიკულ ინტეგრაციას, გააძლიერებს ენერგეტიკაში არსებული რეგიონალური პრობლემების გადაჭრას და უზრუნველყოფს პრაქტიკული შედეგების მიღწევას ქვეყნების სტაბილურ და ეკოლოგიურ ენერგოუზრუნველყოფაში.

### ლიტერატურა

- თ. მიქიაშვილი. ენერგოაუდიტი. თბილისი: ტექნიკური უნივერსიტეტი, 2010წ. 217 გვ.
- თ. დაპლიცენტი, გ. აბულაშვილი, ხ. ხიჭინავა. შენობების ენერგოაუდიტი. თბილისი: უნივერსალი, 2010წ. 291 გვ.
- W.C. Turner. Energy Management. Fairmont press, 1997.

**UDC 638. 244**

### EDUCATIONAL PROGRAM “DEMAND SIDE MANAGEMENT”

**T. Mikiashvili, Sh. Nachkebia, G. Arabidze, I. Lomidze, M. Gudiashvili**

Department of heat and hydroenergetics, Technical University of Georgia, 77, Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

**Resume:** In terms of solving the problem of professional energy manager deficit in industrial, residential, commercial and public sectors, we established concentration module of masters program “Demand Side management.” This module includes 4 educational courses: technologies of energy utilization, principles of energy management, manage of demand energy consumption and renewable energy technologies, that would give students basic knowledge in management of energy utilization, production and conversion technologies, it would develop ability for quantitative evaluation, analysis of energy issues, prognosis, calculation of investments and expenses, economical analysis of life cycle, evaluation of environmental protection, effective planning and management. Employment of skilled masters would accomplish effective development of industrial, commercial and public infrastructure of country, effective utilization of local renewable potential, effective management of employees and direct demand side management rightly.

Educational centers of countries of South Caucasus region would be interested in offered masters program.

**Key words:** demand side management; energy managers; management of consumers' demand.

**УДК 638. 244**

### ОБРАЗОВАТЕЛЬНАЯ ПРОГРАММА «МЕНЕДЖМЕНТ ПОТРЕБЛЕНИЯ ЭНЕРГИИ»

**Микиашвили Т. К., Начкебия Ш. Ш., Арабидзе Г. О., Ломидзе И. Б., Гудиашвили М. Н.,**

Департамент тепло- и гидроэнергетики, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава, 77

**Резюме:** С целью решения проблемы подготовки квалифицированных менеджеров в индустриальном, жилищно-бытовом, коммерческом и общественном секторе Грузии, необходима разработка концентрационного модуля магистерской программы по направлению «менеджмент потребления энергии». Указанный модуль, состоящий из 4 учебных курсов: технология потребления энергии, принципы энергоменеджмента, управление потребительских потребностей и возобновляемые энергетические технологии, даст студентам фундаментальные знания по управлению потреблением энергии, технологии производства и переработки, а также анализу энергетических вопросов прогнозирования, капиталовложения и расчета расходов, экономическому анализу жизненного цикла, оценке влияния на окружающую среду, эффективного планирования деятельности и др. навыков. Трудоустройство и деятельность магистров, имеющих высокую компетенцию, приведет к правильному управлению менеджментом потребления энергии.

**Ключевые слова:** менеджмент потребления энергии; энергоменеджер; управление потребительскими требованиями.

მიღებულია დასაბუჭიდავ 16.07.10

## შაპ 621.1

### თბომერებელთიპული დანაღგარების ეკოლოგიაზე ზემავლენის ეპონომიპული შეზასების მეთოდიკა

ო. გეზირიშვილი\*, ლ. პაპავა, ნ. კეჯერაძე

თბო- და პიდროგნერგებიკის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო,  
0175, თბილისი, კოსტავას 77

E-mail: power@gtu.ge

**რეზიუმე:** ეპოსისტემის დაცვა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება დღვევანდელობის ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა. მისი მართებული და მასშტაბური გადაწყვეტა ქვეყნის ენერგეტიკული პოლიტიკის განმსაზღვრელი ფაქტორია. მეურნეობის სხვადასხვა დარგში ჩვენ მიერ განზოგადებულია ენერგოეკოლოგიური სისტემის გაუმჯობესების სამამულო და უცხოური გამოცდილება. შემუშავებულია ენერგოეკოლოგიური სისტემის სტრუქტურული ოპტიმიზაციის მეთოდოლოგიური საფუძვლები და დადგენილია მათი გამოყენების ეფექტიანობის ზღვრები. შემოთავაზებულია ფორმულა ეკოლოგიური ზარალის შესაფასებლად წლიური დანასაზღვრების განსაზღვრისათვის, შედგენილია პროგრამის ალგორითმი და ბლოკ-სქემა. ჩატარებულია გაანგარიშება კომპიუტერის გამოყენებით და შედგენილია ნომორამა კუთრი ეკოლოგიური ზარალის განსაზღვრისათვის, კონკრეტული ენერგეტიკული ობიექტისათვის მოცემულ გეოგრაფიულ პუნქტში. მოყვანილია ენერგოეკოლოგიური სისტემის კომპლექსური გამოყენების ინჟინერული სქემები, სათანადო რეკომენდაციები და განსაზღვრულია მათი დანერგვის პერსავეტივები, რაც ყოველწლიურად 1,7–2,5 მლნ ტონა პირობითი სათბობის ეკონომიას იძლევა.

**საკვანძო სიტყვები:** ენერგოეკოლოგიური სისტემები; ენერგოეფექტურობა; წარმავალი აირების ტემპერატურა; პირობითი სათბობი; ეკოლოგიური ზარალი.

#### 1. შესავალი

თანამედროვე პირობებში სულ უფრო მწვავდება ბუნების დაცვისა და მისი რესურსების რაციონალური გამოყენების პრობლემა. ამ გლობალური პრობლემის გადაჭრისას სრულად უნდა იქნეს გამოყენებული წარმოების ახლებური ორგანიზაცია და პუმანისტური მსოფლმხედველობა. ახალი საბაზრო ურთიერთობის პირობებში აუცილებელია ენერგორესურსების მოხმარების მკვეთრად შემცირება და გამოყენების

ეფექტიანობის ამაღლება, რაც მოითხოვს სტრატეგიულ ღონისძიებათა შემუშავებას და დანერგვას როგორც ენერგორესურსების წარმოების, ასევე მოხმარების ყველა სფეროში.

ამერიკაში რთული სატრანსპორტო მოძრაობის პირობებში დიდი გაერცელება პოვა „ხაზოვანმა“ ბაღებმა, რომლებიც პარალელურად მიჰყება სატრანსპორტო გზებს, ხელოვნურ საინჟინეროებულზე მოწყობილი ხიდებითა და გადასასვლელებით, რაც უზრუნველყოფს სატრანსპორტო და საქვეითო მოძრაობის გაყოფას. XX საუკუნის 50-იან წლებში ქალაქ ოკლენდში კაიზერცენტრის 5-სართულიანი გარაჟის სახურავზე შეიქმნა მსხვილი ბაღი. პროექტის ავტორია ტომ ოტმუდსონი. ბაღი მოწყობილი მონოლითურ რკინაბეტონის ფილაზე შესვენებაზე ამ ბაღით სარგებლობენ გვერდით განთავსებული დაწესებულების თანამშრომლები. გადასაურვისოვის გამოყენებულია შემსუბუქებული ბეტონის მასალა,

ხოლო მოსაპირკეთებელი ფილები დამზადებულია პემზისგან. ხეები (42 ხე) ისეა დარგული, რომ სიმძიმე შენობის კოლონებზე გადაიდის და არა გადახურვის ფილებზე. კოლონებში ჩაქოლებულია წყალშემკრებები. ასევე გამოყენებულ იქნა გამდიღრებული შემსუბუქებული მიწის საფარი. ამ ხერხმა ფართო გავრცელება პოვა. 80-

იანი წლები შეიძლება ჩაითვალოს ლანდშაფტური არქიტექტურის მიჯნად, ხელოვნურ საძირკეებზე ბაღების მოწყობის თვალსაზრისით. მსგავსი მშენებლობა ბევრ ქვეყანაში გავრცელდა და მასობრივი ხასიათი მიიღო, განსაკუთრებით წყალგამძლე სინთეტიკური მასალების გამოგონების შემდეგ.



სურ. 4. ლონდონი. სახურავ-ბაღი “დერი ენდ ტომზი”  
1938 წ. A. ესაანური ბაღის საერთო ხედი; B. გეგმა



სურ. 5. ოკლენდი. სახურავ-ბაღი ხუთსართულიანი  
გარაჟის თავზე ქაიზერცენტრში. A. გეგმა; B. საერთო ხედი



სურ. 6. აშშ. დევისის უნივერსიტეტის  
საცხოვრებლის გარაჟის გამჭვინებული სახურავი



სურ. 7. ვანკუვერი, კანადა. კაიზერ ცენტრის  
შენობის 21-ე სართული, სახურავის ბაღი



სურ. 8. ROCH, იზრაელი.  
სახურავის ბაღი, 2004



სურ. 9. სან-ფრანცისკო, SFMOMA's  
ულტრათანამედროვე სახურავის ბაღი, 2009

### შენობის სახურავის კონსტრუქციული ელემენტები

რაში მდგომარეობს ხელოვნურ საფუძველზე  
მოწყობილი თანამედროვე ბაღის ძირითადი  
პრინციპი? მიუხედავად იმისა, რომ კონსტრუქ-  
ციული საკითხები დღეისათვის საკმაოდად  
დამუშავებული, მთავარი მაინც შენობის  
სახურავის ფუნქცია და მასზე დარგული  
მცენარეების შეგუების პრობლემაა.


არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სახლის  
სახურავი იმავდროულად შენობის არქიტექტურის  
ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი და მისი სახის  
დამაგირგვინებელია, რომლის ზომასა და მხატ-  
ვრულ გამომსახველობაზეა დამოკიდებული განა-  
შენიანების სილუეტი და საერთო სახე; ტყეილად  
არ უწოდებენ სახლის „მეცუთე ფასადს“.

მეტად მნიშვნელოვანია, როგორ შევუთავ-  
სოთ შენობის არქიტექტურა ისეთ პლასტიკურ

და მუდმივად ცვალებად მასალას, როგორიცაა მცენარეები. ზოგადად, რა „ემუქრება“ შენობის სახურავს მცენარეების დარგის შედეგად, მით უმეტეს ბალის მოწყობის შემთხვევაში?


მნიშვნელოვანია მცენარეებისათვის საჭირო ნიადაგის საფარი, მისი მუდმივი ტენიანობის რეჟიმის პირობები, რომელიც მიკრორგანიზმებისა და ობის გაჩენის საშიშროებას ქმნის. გარდა ამისა, მიწის ფენა პუმუსი შეიცავს მუავიანობას და ზემოქმედებს გადახურვის კონსტრუქციებზე. აუცილებელია სახურავის მასალის ბიოგამძლეობის გათვალისწინება. როგორც ცნობილია, ჩვეულებრივი რულონური საბურავი

შეიცავს რამდენიმე ფენა წყალგამძლე მასალას. ბაღის მოწყობის შემთხვევაში ხელოვნურ საფარზე ემატება საეციალური დანიშნულების კიდევ რამდენიმე ფენა, მათ შორის მცენარის ფენებისაგან დამცავი. ეს ფენა სახურავის პიდროიზოლაციისთვისაა განკუთვნილი. ასეთი „ფენებისანობის აგრესიით“ გამოირჩევა ზოგიერთი ხე და ბუჩქი. გვინახავს, როგორ ანგრევს ასფალტს, მაგალითად, ალვის ხის ფენები. ამდენად, არსებობს მცენარეთა გარკვეული ნომენკლატურა, რომელიც რეკომენდებულია ამ ტიპის ბაღების მოსაწყობად.



სურ. 10. სახურავ-ბაღის მრავალფენიანი კონსტრუქციული ჭრილი:

1. მცენარეული ფენა;
2. გამფილტრაჟი ფენა;
3. დრენაჟი;
4. წყლის დონე;
5. ფენებისგან დამცვი ფენა;
6. მათანაბრებელი ფენა;
7. პიდროიზოლაცია;
8. თბოიზოლაცია;
9. რეინაბეტონის ფილა;
10. წყალგადამჭვანი ძაბრი;
11. ბილიკის გისოსით წყლის გადაჭვანის რეგულირებისთვის;
12. ბილიკის გასწროვ განთავსებული ფუნგილების კონტეინერები



სურ. 11. სახურავის კონსტრუქციული ჭრილი:  
ა - ექსტენსიური გამწვანება  
ნ - ინტენსიური გამწვანება

სხვა მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევი გარემოებაა დამატებითი დატვირთვა, რომლებიც წარმოიქმნება ხეების, მიწის, მოსაპირკეთებელი მასალის, ბაღისთვის საჭირო ინვენტარისა და მოწყობილობების და თვით დამატებითი კონსტრუქციული ფენებისაგან. რადგან ამ ტიპის სახურავ-ბაღები შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მუდმივად, ამდენად დატვირთვას ემატება ადამიანის წონაც.

სახურავებს, რომელთა გამწვანება ხორციელდება, მაგრამ არ გამოიყენება, ექსტენსიური გამოყენების სახურავები ეწოდება, რომელიც გამოიყენება, ინტენსიური. ორივე შემთხვევაში აუცილებელია დატვირთვის საეციალური გაანგარიშება შენობის კარგასზე, რომელიც საძირკვლს გადაეცემა. რა თქმა უნდა, ბევრად

იოლია დატვირთვების გაანგარიშება დაპროექტების პროცესში, ვიდრე მორგება უკვე აშენებული შენობის კონსტრუქციებზე. ამჟამად დამუშავებულია და მოქმედებს მრავალი კონსტრუქციული სისტემა სახურავზე ბაღის მოწყობისათვის, რომელთაც იყენებენ როგორც პირველ, ასევე შემთხვევაში.

ადრე ხის სახლების ბალახით გადახურვისას მიწა იყრებოდა არყის ქერქის ფენაზე, რომელიც წყალს არ ატარებდა. იმისათვის, რომ მიწა დაბლა არ ჩამოყრილიყო მას აკავებდნენ არყის ხის ქერქით შემთხვეული ხის ძელით. ფენები სწრაფად ქმნიდა კორდის ძლიერ საფარს, რომელიც ასევე დამათბუნებლის როლს ასრულებდა.

აგურის შენობის სახურავის გამწვანება უფრო რთული იყო. ხის ნივნივები და მასზე დამაგრებული ფიცრები იფარებოდა რულონური პიდროსზოლაციით, რომლის თავზე იყრებოდა ღორლის ფენა – დრენაჟი, ხოლო დაგროვებული წყალი გადაიყვანებოდა დახვრეტილი მილების საშუალებით. კიდევ უფრო რთული იყო ძველებული ქვის ნაგებობების გადახურვა, რომელზეც ბაღების მოსაწყობად არ იშურებდნენ ტყვიის ფირფიტებს და გამომწვარ აგურს.

თანამედროვე ბეტონისაგან ნაშენ სახლებზე ბაღის მოწყობის შემთხვევაში სახურავის კონსტრუქციის სრული სქემა შემდეგ ფენებს მოიცავს:

1. საექსპლუატაციო ფენა (გრუნტის სტრატი და მოკირწყვლა);
2. გამფილტრაციო ფენა;
3. დრენაჟი;
4. ფესვებისგან დამცავი ფენა;
5. შენობის სახურავის კონსტრუქციული ელემენტები.

### 3. დასკვნა

მიუხედავად იმისა, რომ სახურავ-ბაღის იდეა არახალია, თბილისში ჯერ ვერ დაინერგა. საკითხის წამოწევა და გააქტიურება ნამდვილად დროულია, რადგან ქალაქი დღეს მწვავედ განიცდის გამწვანებული სიკრცეების დეფიციტს.

მწვანე ნარგავებით უზრუნველყოფის მაჩვენებელი 2003 წლის მონაცემით (გენგეგმის წინასაპროექტო კვლევის მასალიდან) თბილისში შეადგენდა 5,6 მ<sup>2</sup> ერთ მცხოვრებზე. შესაძლოა დღეისათვის რეალურად ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო დაბალი იყოს, რადგან ამჟამად მიმდინარე სამშენებლო ბუმს (განსაკუთრებით დიდი მასშტაბებით ხორციელდება ქალაქის ცენტრალურ უბნებში – ვაკე, ვერა, საბურთალო) ეწირება ორ-სამსართულიანი საცხოვრებელი სახლების საკარმილამო ნაკვეთების გამწვანებული ეზოები. საერთო სარგებლობის მწვანე ნარგავები კი იანგარიშება უველა სახის გამწვანების ერთობლიობით.

ამჟამად მოქმედი ნორმებით, გამწვანებისათვის K3 კოეფიციენტით განსაზღვრული მიწის

ნაკვეთი რეალურად გამოიყენება ავტოსადგომებად. მართალია, თბილისში უკვე გაჩნდა სახურავ-ბაღის თითო-თროლა მაგალითი (ვაკე, საბურთალო) მრავალინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავებზე, მაგრამ ეს ბაღები კეთდება ბოლო სართულების შეძლებულ მცხოვრებთა ინიციატივით და გამოიყენება კერძო მესაკუთრის ოჯახების მიერ. უდავოა, რომ ასეთი ტიპის ბაღების არსებობა აუმჯობესებს საერთო საქალაქო ეკოლოგიურ და გამწვანების მაჩვენებლებს, თუმცა ზღვაში წვეთია. ამიტომ, რაც მეტი იქნება ასეთი ბაღი, მით უკეთესი იქნება აღნიშნული მაჩვენებლები. სულ ახლახან აშენდა ახალი კორპუსი პირველი ექსპრომენტული სკოლის ტერიტორიაზე მწვანე-საფარიანი სახურავით.

მნიშვნელოვანია ახლახან განსაზღვრულებული ვერტიკალური ბაღის თანამედროვე ნიმუში, ავლაბრის მეტროს შენობის კედელზე. მისასალმებელია ასეთი პრეცედენტის გაჩენა, რადგან საქართველოს ბაღომშენებლობაში ვერტიკალური გამწვანება საუცნებების მანძილზე მიღებული ხერხია.

ძველ თბილისში ხშირად შეხვდებით სუროთი და ვაზით გამწვანებულ საცხოვრებელ სახლებს. მიგვაჩნია, რომ ხელოვნურ საფუძველზე ბაღების მოწყობის იდეის დანერგვა, ეკოლოგიური და ესთეტიკური თვალსაზრისით, აუცილებელია და, ხელსაყრელი კლიმატური პირობების გათვალისწინებით, უფრო ფართო მასშტაბითაა განსახორციელებელი როგორც საცხოვრებელ, ასევე საზოგადოებრივ შენობებზე.

### ლიტერატურა

1. Ле Корбюзье. Архитектура XX века. – М.: ПРОГРЕСС, 1970.
2. Титова Н.П. Сады на крышах. – М.: ОЛМА-ПРЕСС Гранд, 2003.
3. Environment and Landscape. –“ ARCHWORLD”, 2006. ინტერნეტიდან მოძიებული მასალები:
4. <http://www.greenroofs.com/projects/pview.php?id=517>
5. <http://www.examiner.com/architecture-design-in-san-francisco/up-on-the-roof-sfmoma-s-ultra-chic-ooftop-garden>

---

UDC 712.25

## MODERN GARDENS ON THE BASIS OF ARTIFICIAL ARRANGEMENT AND THEIR TYPOLOGY

E. Tevzadze

Department of architecture, city-building (urbanistic), Georgian Technical University, 77, Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

**Resume:** There is discussed social basis for the artificial arrangement of gardens and their typology, ecological effect of roof-gardens. There are studied historical stages of development of roof-gardens, their evolution and planting of greenery in European and American experience of arrangement of these gardens. There are presented constructive possibilities of planting arrangement on the roofs of different type houses (wood, brick, stone). there are considered constructive schemes of building roof, in case of extensive and intensive planting. There is noted the expediency of arrangement of roof-gardens considering favorable climatic conditions of Tbilisi.

**Key words:** roof-garden; hanging gardens; ecology; planting of greenery; plants; constructive scheme; constructive elements; extensive planting of greenery; intensive planting of greenery.

---

УДК 712.25

## СОВРЕМЕННЫЕ САДЫ НА ИСКУССТВЕННОМ ОСНОВАНИИ И ИХ ТИПОЛОГИЯ

Тевзадзе Э.А.

Департамент архитектуры и гидростроительства (урбанистики), Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава, 77

**Резюме:** Рассмотрены социальные основы устройства садов на искусственном основании и их типология, экологический эффект озеленения крыш. Исторические этапы развития садов на крышах, а также европейский и американский опыт. Конструктивные возможности озеленения крыш разных типов (деревянных, кирпичных, каменных) домов. Конструктивные схемы крыш при экстенсивном и интенсивном озеленении. Отмечена целесообразность устройства садов-крыш в Тбилиси с учетом благоприятных климатических условий города.

**Ключевые слова:** крыша-сад; висячие сады; экология; озеленение; растения; конструктивная схема; конструктивные элементы; экстенсивное озеленение; интенсивное озеленение.

---

გილერეა დანაბეჭდია 07.10.10

# სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის სექცია

შპს 656.2

ძრავის გამონის ღრეული სამუხრუკო ბერკეტული გადაცემის  
დამატებით მოძრაობათა განზოგადებული ძალების გამოყენება

გ. შარაშენიძე\*, მ. დოლიძე, ს. შარაშენიძე, პ. კურტანიძე, ლ. ქუფარაშვილი  
სატრანსპორტო დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175,  
თბილისი, კოსტავას 77

E-mail: g.sharasenidze@gtu.ge

**რეზიუმე:** გამოკვლეულია ავტორთა მიერ შექმნილი გაუმჯობესებული სამუხრუკო ბერკეტული გადაცემის განზოგადებული ძალები სახსრულ შეერთებაში ცვეთების გათვალისწინებით. ამ ძალებისა და სხვა დინამიკური პარამეტრების გაანგარიშების მიზნით გამოყენებულია გადაცემის დინამიკური მოდელი. მიღებულია განზოგადებული ძალების ანალიზური გამოსახულება გადაცემის ყველა დამატებითი მოძრაობისათვის. განზოგადებული ძალები ჩაწერილია ფორმით, რაც შეიძლება გამოყენებულ იქნეს გადაცემის მოძრაობის დიფერენციალური განტოლების შედგენისა და შემდგომი დინამიკური კვლევის მიზნით.

**საკანონი სიტყვები:** განზოგადებული ძალა; ბერკეტი; სამუხრუკო გადაცემა; ვირტუალური გადადგილება; მასების ცენტრი.

## 1. შესავალი


ელექტრომატარებლისძრავიანი ვაგონის სამუხრუკო ბერკეტული გადაცემა კონსტრუქციულად როგორი სისტემა [3], რაც იწვევს ზედმეტი დინამიკური დატვირთვების გამოვლენას როგორც სამუხრუკო ძალის გადაცემის პროცესში, ასევე შემადგენლობის უსაფრთხო მოძრაობის პირობების მკვეთრ გაუარესებას [4]. გამოკვლევებით დადგნილია, რომ მხოლოდ კონსტრუქციული გაუმჯობესება ვერ უზრუნველყოფს გადაცემისას შექნილი დინამიკური დატვირთვების შემცირებას [2, 5, 6], ექსპლუატაციისას შეძენილი არაექნოლოგიური დრენაჟი სახსრულ შეერთებებში მზარდი დინამიკური დატვირთვების ძირითადი მიზეზია [1] და ამიტომ დატვირთვათა მინიმიზაციის ამოცანის გადაწყვეტა, პირველ რიგში, გულისხმობს გადაცემის რეალური დინამიკის გამოკვლევას დრენაჟის გათვალისწინებით. მსგავსი გამოკვლევები ჩატარებულ იქნა სატვირთო და სამგზავრო ვაგონების სამუხრუკო ბერკეტული გადაცემისთვის [2, 6], ხოლო ელექტრომატარებლის ვაგონებისთვის

შექმნილია პერსპექტიული სამუხრუკო ბერკეტული გადაცემა [7] და მათემატიკური აპარატი მისი გამოკვლევის მიზნით [8].

ძრავიანი ვაგონის სამუხრუკო ბერკეტული გადაცემის სახსრულ შეერთებაში დასაშვები დრენოს ან დრენოთა დიაპაზონის დადგენის მიზნით აუცილებელია შედგეს და ამოისხნას მოძრაობის დიფერენციალური განტოლებები, რაც მოითხოვს კინეტიკური ენერგიისა და დამატებითი მოძრაობის განზოგადებული ძალების დადგენას. გადაცემის განზოგადებული ძალების გამოკვლევა დინამიკური კვლევის პირველი ეტაპია, ამიტომ საჭიროა ამოცანის გადაწყვეტა და საშვები დრენოსა და დინამიკური დატვირთვების განსაზღვრის თვალსაზრისით.

## 2. ძირითადი ნაწილი

ძრავიანი ვაგონის სამუხრუკო ბერკეტული გადაცემის განზოგადებული ძალების გადაცემის დინამიკური მოდელით [8], რომელიც  $AO_1BCDFE$  ბერკეტული სისტემა (იხ. ნახაზი)  $\Delta_1$ ,  $\Delta_2$  და  $\Delta_3$  დრენოებით 0-1, 1-2 და 2-5 სახსრულ შეერთებაში.



სამუხრუკო გადაცემის დინამიკური მოდელი

რადგან სამუხრავებო ხუნდის δ მანძილით გადაღილებისას CF საკიდი შემობრუნდება მცირე კუთხით, მივიჩნევთ, რომ  $\Delta_3=0$ . ამ შემთხვევაში გადაცემას გააჩნია მხოლოდ ოთხი სახის დამატებითი მოძრაობა: კონტაქტური ( $C_1C_2$ ), კონტაქტურ-წყვეტილი ( $C_1B_2$ ), წყვეტილ-კონტაქტური ( $B_1C_2$ ) და თავისუფალი ( $B_1B_2$ ).

განხოგადებული ძალის განსაზღვრისათვის ვიყენებთ დებულებას იმის შესახებ, რომ სისტემის ვირტუალური მუშაობა უდრის სისტემაზე მოქმედი ყველა აქტიურ ძალთა მუშაობის ჯამს რაიმე ვირტუალურ გადაღილებაზე.

პირველი სახის დამატებითი კონტაქტური ( $C_1C_2$ ) მოძრაობისათვის აქტიურ ძალთა მუშაობას განვიხილავთ  $\delta\gamma_1$  ვირტუალურ გადაღილებაზე, ხოლო გადაღილებას სხვა განხოგადებული კოორდინატის მიმართ ვთვლით ვიქსირებულად. მაშინ აქტიურ ძალთა მუშაობა ჩაიწერა მას რება ტოლობით:

$$\begin{aligned} U'_{\gamma_1} = Q'_1 \delta\gamma_1 &= -G_1 \delta Y_{S_1} - G_2 \delta Y_{S_2} - G_3 \delta Y_{S_3} - \\ &- G_4 \delta Y_{S_4} + F_{fr}^{0-1} \Delta_1 \delta\gamma_1 + \\ &+ F_1 \delta X_B + F_2 \delta X_C + F_B \cos \delta X_E, \end{aligned} \quad (1)$$

სადაც  $Y_i$ ,  $X_i$  არის მასების ცენტრებისა და კონტაქტური წერტილების ორდინატები;

$G_i$  - ბერკეტების სიმძიმის ძალები.

ნახაზიდან ვწერთ

$$Y_{S_1} = a + \ell \sin \alpha + y_1 + \frac{\ell_1}{2} \sin \theta.$$

$Y_{S_1}$  კოორდინატზე გავლენას ახდენს მხოლოდ  $\theta$  კუთხის ცვლილება, ამიტომ

$$\delta Y_{S_1} = \frac{\ell_1}{2} \sin \theta \delta \theta. \quad (2)$$

თუ განვიხილავთ იგივეობას

$$a + \ell \sin \alpha + y_1 = a + \ell_2 \sin \varphi + y_2 + \ell_1 \sin \theta$$

და მივიჩნევთ, რომ  $\gamma_1$  ს ცვლილება დამოკიდებულია მხოლოდ  $\theta$  კუთხის ცვლილებაზე, მაშინ

$$\Delta \cos \gamma_1 \delta\gamma_1 = -\ell_1 \cos \theta \delta \theta.$$

ამ ტოლობიდან მივიღებთ  $\delta\theta$ -ს მნიშვნელობას

$$\delta\theta = -\frac{\Delta_1 \cos \gamma_1 \delta\gamma_1}{\ell_1 \cos \theta}. \quad (3)$$

ამ ტოლობის ძალით (2) გამოსახულება ჩაიწერა ასე:

$$\delta Y_{S_1} = -\frac{1}{2} \Delta_1 \cos \gamma_1 \delta\gamma_1. \quad (4)$$

$\delta Y_{S_2}$ -ის განსაზღვრის მიზნით ვწერთ:

$$Y_{S_2} = a + \ell \sin \alpha + y_1 + \ell_1 \sin \theta - y_2 - \frac{\ell_2}{2} \sin \varphi.$$

ამ ტოლობის დიფერენცირებით მივიღებთ:

$$\delta Y_{S_2} = -\frac{\ell_2}{2} \cos \varphi \delta\varphi. \quad (5)$$

$\delta\varphi$  განისაზღვრება წინა იგივეობის დიფერენცირებით:

$$\delta\varphi = -\frac{\Delta_1 \cos \gamma_1 \delta\gamma_1}{\ell_2 \cos \varphi}. \quad (6)$$

მაშინ (5) ტოლობა მიიღებს სახეს:

$$\delta Y_{S_2} = -\frac{1}{2} \Delta_1 \cos \gamma_1 \delta\gamma_1. \quad (7)$$

მასების  $S_3$  ცენტრის ორდინატა

$$\begin{aligned} Y_{S_3} &= a + \ell \sin \alpha + y_1 + \ell_1 \sin \theta - \\ &- y_2 - \ell_2 \sin \varphi - \frac{\ell_3}{2} \sin \varphi. \end{aligned}$$

ამ ტოლობიდან განსაზღვრება  $\delta Y_{S_3}$ :

$$\delta Y_{S_3} = -\left(\ell_2 + \frac{\ell_3}{2}\right) \cos \varphi \delta\varphi. \quad (8)$$

მასების  $S_3$  ცენტრისათვის მართებულია იგივე კედება:

$$\begin{aligned} a + \ell \sin \alpha + y_1 + \ell_1 \sin \theta - y_2 - \\ - \ell_2 \sin \varphi - \frac{\ell_3}{2} \sin \varphi &= a - \frac{\ell_3}{2} \sin \theta. \end{aligned}$$

$\gamma_1$  კოორდინატის ცვლილება აიხსნება მხოლოდ  $\Phi$  კუთხის ცვლილებით, ამიტომ

$$\Delta_1 \sin \gamma_1 = \ell_2 \sin \varphi$$

ანუ

$$\Delta_1 \cos \gamma_1 \delta\gamma_1 = \ell_2 \cos \varphi \delta\varphi,$$

საიდანაც

$$\delta\varphi = \frac{\Delta_1 \cos \gamma_1 \delta\gamma_1}{\ell_2 \cos \varphi}. \quad (9)$$

(9) ტოლობის შეტანით (8) ფორმულაში მიიღებთ:

$$\delta Y_{S_3} = -K \Delta_1 \cos \gamma_1 \dot{\gamma}_1, \quad (10)$$

სადაც

$$K = \frac{(2\ell_2 + \ell_3)}{2\ell_2}.$$

მასების  $S_4$  ცენტრის მიმართ ვწერთ:

$$Y_{S_4} = a + \ell \sin \alpha + y_1 + \ell_1 \sin \theta - y_2 - (\ell_2 + \ell_3) \sin \varphi.$$

გარდაქმნების შემდეგ გვექნება:

$$\delta Y_{S_4} = N \Delta_1 \cos \gamma_1 \delta\gamma_1. \quad (11)$$

$B$ ,  $C$ ,  $E$  საკონტაქტო წერტილების კოორდინატი ჩაიწერა ტოლობებით:

$$\left. \begin{aligned} X_B &= \ell \cos \alpha + x_1; \\ X_C &= \ell \cos \alpha + x_1 + \ell_1 \cos \theta; \\ X_E &= \ell \cos \alpha + x_1 + \ell_1 \cos \theta - x_2 - (\ell_2 + \ell_3) \cos \varphi. \end{aligned} \right\} \quad (12)$$

მოკლე აღგებრული გარდაქმნების შემდეგ (12) სისტემა მიიღებს სახეს:

$$\left. \begin{aligned} \delta X_B &= -\Delta_1 \sin \gamma_1 \delta\gamma_1; \\ \delta X_C &= \Delta_1 \operatorname{tg} \theta \cos \gamma_1 \delta\gamma_1; \\ \delta X_E &= \Delta_1 \sin \gamma_1 \delta\gamma_1. \end{aligned} \right\}, \quad (13)$$

(4), (7), (10), (11), (13) მნიშვნელობათა შეტანით (1) ფორმულაში მივიღებთ:

$$\begin{aligned} Q_{\gamma_1}^I = \Delta_1 \left\{ \cos \gamma_1 \left[ \frac{1}{2} (G_1 + G_2) + KG_3 - NG_4 + \ell_1 v \cos \beta \ tg \theta F_B \right] + \right. \\ \left. + (F_B \cos \beta - u \sin \alpha F_{BC}) \sin \gamma_1 - \right. \\ \left. - F_1^n (K_{f_1} \operatorname{sign} \dot{\gamma}_1 + K_{f_2} \dot{\gamma}_1 + K_{f_3} \dot{\gamma}_1^2) \right\}, \quad (14) \end{aligned}$$

სადაც

$$u = \frac{\ell_5}{\ell}; \quad v = \frac{\ell_3}{\ell_2}.$$

$\gamma_2$  განზოგადებული კოორდინატის მიმართ განზოგადებული  $Q_{\gamma_2}^I$  ძალის გაანგარიშების მიზნით ვწერ აქტიურ ძალთა მიერ შესრულებულ მუშაობათა ჯამს  $\delta \gamma_2$  ვირტუალურ გადაადგილებაზე. სხვა კოორდინატების მიმართ მოძრაობა ფიქსირებულია

$$\begin{aligned} U_{\gamma_2}^I = Q_{\gamma_2}^I \delta_{\gamma_2} = -G_1 \delta Y_{S_1} - G_2 \delta Y_{S_2} - G_3 \delta Y_{S_3} - G_4 \delta Y_{S_4} + \\ + F_{fr}^{1-2} \Delta_2 \delta_{\gamma_2} + F_1 \delta X_B + F_2 \delta X_C + F_B \cos \beta \delta X_E. \quad (15) \end{aligned}$$

მას შემდეგ, რაც განხილული მიმდევრობით განისაზღვრება  $\delta Y_{S_1}$ ,  $\delta Y_{S_2}$ ,  $\delta Y_{S_3}$ ,  $\delta Y_{S_4}$ ,  $\delta X_B$ ,  $\delta X_C$  და  $\delta X_E$  სიდიდეთა მნიშვნელობანი, (15) გამოსახულებიდან განისაზღვრება  $Q_{\gamma_2}^I$  კონტაქტური მოძრაობის ძალა

$$\begin{aligned} Q_{\gamma_2}^I = -\Delta_2 \left\{ \cos \gamma_2 \left[ \frac{1}{2} (G_1 + G_2) + KG_3 + v (G_4 + \operatorname{tg} \varphi F_B) + \right. \right. \\ \left. + \operatorname{tg} \varphi (uv \sin \alpha F_{BC} - v \cos \beta F_B) \right] \\ \left. + \sin \gamma_2 (u \sin \alpha F_{BC} + v F_B \cos \beta) + \right. \\ \left. + F_2^n (K_{f_1} \operatorname{sign} \dot{\gamma}_2 + K_{f_2} \dot{\gamma}_2 + K_{f_3} \dot{\gamma}_2^2) \right\}. \quad (16) \end{aligned}$$

ანალოგიურად განისაზღვრება განზოგადებული ძალები დანარჩენი დამატებითი მოძრაობებისათვის.

მეორე სახის დამატებითი კონტაქტურ-წყვეტილი მოძრაობისათვის

$$\begin{aligned} Q_{\gamma_1}^H = Q_{\gamma_1}^H \text{ და განისაზღვრება (14) ტოლობით; } \\ Q_{X_2}^H = -\frac{1}{2} G_2 - F_2^n (K_{f_1} \operatorname{sign} \dot{\gamma}_2 + K_{f_2} \dot{\gamma}_2 + K_{f_3} \dot{\gamma}_2^2); \\ Q_{Y_2}^H = \frac{1}{2} G_2 - F_2^n (K_{f_1} \operatorname{sign} \dot{\gamma}_2 + K_{f_2} \dot{\gamma}_2 + K_{f_3} \dot{\gamma}_2^2). \quad (17) \end{aligned}$$

მესამე სახის დამატებითი წყვეტილ-კონტაქტური მოძრაობისათვის

$$\left. \begin{aligned} Q_{X_1}^M = G_1 \left( 1 - \frac{1}{2} \operatorname{tg} \theta \right) + F_{fr}^{1-2}; \\ Q_{Y_2}^H = -\frac{1}{2} G_2 - F_{fr}^{0-1}; \\ Q_{Y_2}^M = Q_{Y_2}^I \text{ და განისაზღვრება (16) ტოლობით.} \end{aligned} \right\} \quad (18)$$

მეოთხე სახის დამატებითი მოძრაობისათვის

$$\left. \begin{aligned} Q_{X_1}^{IV} = -G_1 \left( 1 - \frac{1}{2} \operatorname{tg} \Theta \right) + F_{fr}^{1-2}; \\ Q_{Y_1}^{IV} = \frac{1}{2} G_1 + F_{fr}^{0-1}; \\ Q_{X_2}^{IV} = \frac{1}{2} G_2 + F_{fr}^{1-2}; \\ Q_{Y_2}^{IV} = -\frac{1}{2} G_2 + F_{fr}^{1-2}. \end{aligned} \right\} \quad (19)$$

(14), (16), (17), (18), (19) ტოლობები განსაზღვრავს ძრავიანი ვაგონის სამუხრაჭო ბერკეტიული გადაცემის ოთხი სახის დამატებითი მოძრაობის განზოგადებული ძალების მნიშვნელობებს და წარმოადგენს ძირითად კომპონენტებს ამ მოძრაობათა დიფერენციალური განტოლებების სტრუქტურულ შედგენილობაში.

### 3. დასკვნა

1. სამუხრაჭო სისტემის ღრეულებით სახერულ შეერთებებში განზოგადებული კოორდინატების კომბინაციაში უზრუნველყო განზოგადებული ძალების მნიშვნელობათა განსაზღვრა;

2. განზოგადებული ძალების ჩაწერის ანალიზური ფორმა მისაღებია გადაცემის მოძრაობის დიფერენციალური განტოლების შედგენისას ხაზოვანი ან კუთხური განზოგადებული კოორდინატების მიმართ;

3. განზოგადებული ძალების კვლევის მათემატიკური აპარატი ხასიათდება ზოგადობით და საშუალებას იძლევა გამოყენებულ იქნება სახეროვანი გადაცემების კვლევისას, არატექნიკულოგიური ღრეულების გათვალისწინებით.

### ლიტერატურა

1. Абрамов Б.М. Динамика шарнирных механизмов с учётом трения. Харьков: Изд-во Харьк. ун-та, 1980. -150 с.
2. Давиташвили Н.С., Шарашенидзе Г.С. Основы динамического анализа рычажной системы торможения вагонов. Комитет ИФТо ММ-а Грузии. Тбилиси, 2004. -264с.
3. Крылов В.И., Крылов В.В. Автоматические тормоза подвижного состава. Москва: Транспорт, 1983. - 360 с.

- 
4. Ушаков В.Ф. Проблемы динамики железнодорожного транспорта. Днепропетровск, 1988. - 160 с.
5. Scott Cummings, Tom McCabe, Dan Gosselin. Brake shoes and mechanical shelling// Proceed. of ASME RTDF 2008 Conference. 24-25 September, 2008 Chicago, Illinois, USA. Vol.1. PN: RTDF 2008-74016.
6. Sharashenidze G., Kurtanidze P., Sharashenidze S. Improved system of a braking lever transmission for railcars//Proceed. of ASME RTDF 2008 Conference. 24-25 September, 2008. Chicago, Illinois, USA. Vol.1. PN: RTDF 2008-74006.
7. Шарашенидзе Г.С., Долидзе М.Г., Мгебришвили Н.Н., Шарашенидзе С.С. Оптимальная тормозная рычажная передача с двусторонним нажатием колодок моторного вагона электроезда // Труды ГТУ, № 2(472), Тбилиси, 2009, с. 92-95.
8. გ. შარაშენიძე, მ. დოლიძე, პ. კურთანიძე. მრავალი გამოცვლის გათვალისწინებით სამუხრაუჭო ბერკეტი გადაცემის დინამიკური მოდელი სახსრულ შეერთებებში ღრებოების გათვალისწინებით// სტუ-ს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის სამეცნიერო ჟრომები, № 4(16), ობილისი, 2009.
- 

**UDC 656.2****RESEARCH OF MOTOR CARRIAGE GENERALIZED FORCES OF BRAKE LEVERAGE TRANSMISSION ADDITIONAL MOTION WITH CLEARANCES****G. Sharashenidze, M. Dolidze, S. Sharashenidze, P. Kurtanidze, L. Kuparashvili**

Department of transport, Georgian Technical University, 77, Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

**Resume:** There are investigated the generalized forces developed by authors improved brake leverage transmission, with taking into account the wears in hinged connections. For the purpose of calculation of these forces and other dynamic parameters is used the dynamic model of transmission. Analytical expressions of the generalized forces for all additional motions of transmission are received. The form of writing down the generalized forces provides their application for generation of the differential equations of motions and for the purpose of following dynamic research.

**Key words:** generalized force; brake transmission; lever; virtual displacement; center of mass.

**УДК 656.2****ИССЛЕДОВАНИЕ ОБОБЩЁННЫХ СИЛ ДОБАВОЧНОГО ДВИЖЕНИЯ ТОРМОЗНОЙ РЫЧАЖНОЙ ПЕРЕДАЧИ С ЗАЗОРАМИ МОТОРНОГО ВАГОНА****Шарашенидзе Г.С., Долидзе М.Г., Шарашенидзе С.С., Куртанидзе П.Р., Купарашвили Л.Дж.**

Департамент транспорта, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава, 77

**Резюме:** Исследованы обобщённые силы созданной авторами улучшенной тормозной рычажной передачи, с учётом износов в шарнирных соединениях. С целью расчёта этих сил и других динамических параметров использована динамическая модель передачи. Получены аналитические выражения обобщённых сил для всех добавочных движений передачи. Формой записи обобщённых сил обеспечивается их применение для составления дифференциальных уравнений движения и с целью последующего динамического исследования.

**Ключевые слова:** обобщённая сила; тормозная передача; рычаг; виртуальное перемещение; центр масс.

---

გთხებულია დასაბუჭიდავ 29.01.10

**უაკ 656.2**

**სახსრული შემართების ელემენტების ცვეთის ზებავლენა სამუხრავი  
ბერპეტული გადაცემის განხობადებული ქალების მნიშვნელობაზე**

**გ. შარაშენიძე\*, პ. კურტანიძე, მ. ღოლიძე, ლ. ქუფარაშვილი, ს. შარაშენიძე**

სატრანსპორტო დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175,  
თბილისი, კოსტავას 77

E-mail: gsharashenidze@gtu.ge

**რეზიუმე:** რკინიგზის სამგზავრო ვაგონის ოპტიმალური სამუხრუჭო ბერკეტული გადაცემის დინამიკური მოდელის მიხედვით, სადაც გათვალისწინებულია სახსრული შეერთების ელემენტების ცვეთით შექმნილი არატექნოლოგიური ღრებო, გამოკვლეულია თითოეული დამატებითი მოძრაობის განზოგადებული ძალა. მიღებულია სათანადო ანალიზური გამოსახულებები, რომლებიც აუცილებელია მოძრაობის დიფერენციალური განზოგადებული ძალების მიღებული მნიშვნელობა დამოკიდებულია სახსრის არატექნოლოგიური ღრებოს, რეაქციის ნორმალური შემდგენის, ხახუნის ძალის, ბერკეტების ინერციის მომენტების, გადაცემის ბერკეტების გეომეტრიული ზომებისა და მასების, ასევე სახსრის ელემენტების განზოგადებული კოორდინატების სიდიდეზე.

**საკვანძო სიტყვები:** ცვეთა; ღრებო; განზოგადებული ძალა; განზოგადებული კოორდინატი; მასა.

## 1. შესავალი


რკინიგზის ტრანსპორტის, კერძოდ, სამგზავრო ვაგონის უსაფრთხო მოძრაობა დამოკიდებულია სამუხრუჭო ბერკეტული გადაცემის საიმედობაზე, სამუხრუჭო ძალის გადაცემის თვალსაზრისით. ამ გადაცემის დაგეგმვარება და ძალური პარამეტრების განსაზღვრა [1, 2], რაც გულისხმობს მხოლოდ იდეალური მონაცემებით სარგებლობას, გაზრდილი სიჩქარეებით მოძრაობისას ვერ უზრუნველყოფს სრულ სამუხრუჭო ეფექტს. ექსპლუატაციისას შექმნილი დინამიკური დატვირთვები იწვევს არა მარტო გადაცემის დაზიანებას, არამედ მწყობრიდან გამოჰყავს სამუხრუჭო ხუნდებიც [3]. სამუხრუჭო ბერკეტული გადაცემის ხანგამდებობის გაზრდისა და დინამიკური დატვირთვების მინიმიზა-

ციის მიზნით შექმნილი ახალი ვარიანტები [4, 5] და დინამიკური გამოკვლევები, შექმნილი ცვეთებისა და გარე მოქმედი ფაქტორების გათვალისწინებით [6], პირველი მცდელობაა ამ გადაცემის რეალური დინამიკური პარამეტრების დადგენისათვის.

დაგენილია, რომ არატექნოლოგიური ღრებოს არსებობა აუკრესებს სახსრული შეერთების დინამიკას [4, 6], ამიტომ ღრებოსა და დინამიკური დატვირთვების მინიმიზაციის ამოცანა ან მათი ოპტიმალური დიაპაზონების დადგენა მოითხოვს გადაცემის დამატებით მოძრაობათა დიფერენციალური განზოგადებულის შედგენას და ამოსხნას. ეს პროცესი შეიძლება განხორციელდეს გადაცემის დინამიკური მოდელის [7] გამოყენებით. ამ მოდელის მიხედვით შეიძლება განისაზღვროს გადაცემის დამატებით მოძრაობათა შესაბამისი განზოგადებული ძალები, რომლებიც ფუნქციურ დამოკიდებულებაში იქნება არატექნოლოგიური ღრებოს, სახსრების რეაქციის, ხახუნის ძალების და ინერციის მომენტების სიდიდეებთან. განზოგადებული ძალების განსაზღვრა აქტუალური ამოცანაა შექმნილი დინამიკური დატვირთვების გამოვლენის თვალსაზრისით.

## 2. ძირითადი ნაწილი

დამატებითი მოძრაობების შესაბამისი განზოგადებული ძალები სამგზავრო ვაგონის სამუხრუჭო ბერკეტული გადაცემისთვის შეიძლება განისაზღვროს ამ გადაცემის დინამიკური მოდელის (იხ. ნახაზი) მიხედვით. 8-1, 1-2, 2-5, 5-7 გადაცემის სახსრულ შეერთებებში  $\Delta_1, \Delta_2, \Delta_3$  და  $\Delta_4$  ღრებოების არსებობისას აღიძგრება 16 სახის დამატებითი მოძრაობა, რომელიც აღიწერება დიფერენციალური განზოგადებულის ხაზოვნი  $x_i$ ,  $y_i$  და  $\gamma_i$  განზოგადებული კოორდინატებით. ცხადია, უნდა განისაზღვროს შესაბამისი განზოგადებული ძალებიც.



სამუხრავო ბერკატული გადაცემის  
დინამიკური მოდელი

რადგან სრული დამუხრავებისას  $F$  სამუხრავო ხელი გადაადგილდება  $n$  მანძილით და  $FO_2$  საკიდი შემობრუნდება  $\zeta = -90^\circ$  მცირე კუთხით, ამიტომ შეიძლება მივიჩნიოთ, რომ  $\Delta_4$  დრენო დიდ გავლენას ვერ მოახდენს დინამიკური დატვირთვების ცვლილებაზე, ე. ი. განვიხილავთ მოდელს  $\Delta_1, \Delta_2$  და  $\Delta_3$  დრენოთი. ამ დროს დამატებითი მოძრაობების რაოდენობა 8 ერთეულით შემცირდება.

განხოგადებული  $Q_i$  ძალის დადგენის მიზნით განვიხილავთ ყველა მოქმედი ძალის მიერ შესრულებული მუშაობის ჯამს რამე  $\delta_i$  გადაადგილებაზე. პირველი სახის დამატებითი კონტაქტური სახის ( $C_1 C_2 C_3$ ) მოძრაობისას, როცა სამივეღრებოან შეერთებაში ერთდროული კონტაქტია,  $Q'_1$  განხოგადებული ძალის განსაზღვრის მიზნით განვიხილავთ მოქმედი ძალების მიერ შესრულებულ  $\delta W_{\eta}^I$  მუშაობას  $\delta\gamma_1$  ფირტურულ გადაადგილებაზე. ამ დროს  $\gamma_2$  და  $\gamma_3$  განხოგადებული კოორდინატები ფიქსირებულია. მუშაობის განტოლებას ეჭნება სახ:

$$\begin{aligned} \delta W_{\eta}^I &= Q' \delta\gamma_1 = -G_1 \delta Y_{S1} - G_2 \delta Y_{S2} - \\ &- G_4 \delta Y_{S4} + F_{fz}^{8-1} \Delta_1 \delta\gamma_1 - G_S \delta Y_E + \\ &+ F_B \sin \beta \delta X_E - F_{BC} \frac{l_8}{r} \delta X_B, \end{aligned} \quad (1)$$

სადაც  $X_i, Y_i$  არის ბერკატების  $m_i$  მასების,  $S_i$  ცენტრებისა და  $i$ -ური სახსრული შეერთებების კოორდინატები  $XOY$  სისტემაში;  $G_i, F_i$  ბერკატების სიმძიმისა და სამუხრავო ძალების მნიშვნელობა.

$\delta Y_{S1}$ -ის განსაზღვრის მიზნით მოდელის მიხედვით ვწერთ:

$$Y_{S1} = c + r \sin \alpha + y_1 - \frac{l_1}{2} \sin \varphi. \quad (2)$$

ორდინატა დამოკიდებულია მხოლოდ  $\varphi$  კუთხის ცვლილებაზე, ამიტომ

$$Y_{S1} = -\frac{l_1}{2} \sin \varphi.$$

ამ ტოლობის დიფერენცირებით მივიღებთ:

$$\delta Y_{S1} = -\frac{l_1}{2} \cos \varphi \delta\varphi. \quad (3)$$

$\delta\varphi$  განისაზღვრება იგივეობიდან

$$c + r \sin \alpha + y_1 = c + y_2 + l_1 \sin \varphi$$

ანუ  $\Delta_1 \sin \gamma_1 = \Delta_2 \sin \gamma_2 + l_1 \sin \varphi$ .

განხოგადებული  $\gamma_2$  კოორდინატი ფიქსირებულია, ამიტომ

$$\Delta_1 \delta\gamma_1 \cos \gamma_1 = l_1 \delta\varphi \cos \varphi.$$

აქედან  $\delta\varphi = \Delta_1 \delta\gamma_1 \cos \gamma_1 / l_1 \cos \varphi$ .  $(4)$

(4) ტოლობის შეტანით (3) ფორმულაში მივიღებთ:

$$\delta Y_{S1} = -\frac{1}{2} \Delta_1 \cos \gamma_1 \cdot \delta\gamma_1. \quad (5)$$

(1) ტოლობაში შემავალი  $\delta Y_{S2}$  განსაზღვრას ვახდებოთ შემდეგი ტოლობიდან:

$$Y_{S2} = c + r \sin \alpha + y_1 - l_1 \sin \varphi - y_2 - \frac{l_1}{2} \sin \psi.$$

ჩატარებული გარდაქმნების ანალოგიურად ამ ტოლობიდან მივიღებთ:

$$\delta Y_{S2} = -\frac{1}{2} \cos \gamma_1 \cdot \delta\gamma_1. \quad (6)$$

$\delta Y_{S4}$  განისაზღვრება  $S_4$  მასების ცენტრის ორდინატის ორი მნიშვნელობის მიხედვით:

$$\begin{aligned} Y_{S4} &= c + r \sin \alpha + y_1 \alpha_1 - l_1 \sin \varphi - y_2 - \\ &- (\ell_2 + \ell_3) \sin \psi - \frac{\ell_4}{2} \sin \psi; \end{aligned}$$

$$Y_{S4} = d - \frac{\ell_4}{2} \sin \psi.$$

ალგებრული გარდაქმნების შემდეგ ამ ტოლობიდან ვწერთ:

$$\delta Y_{S4} = -\frac{\ell_4}{2l_2} \Delta_1 \cos \gamma_1 \cdot \delta\gamma_1. \quad (7)$$

ანალოგიური გარდაქმნებით მივიღებთ:

$$\delta Y_E = -\frac{l_4}{l_2} \Delta_1 \cos \gamma_1 \cdot \delta \gamma_1; \quad (8)$$

$$\delta X_E = \frac{(l_2 + l_3 + l_4)}{l_2} \operatorname{tg} \psi \Delta_1 \cos \gamma_1 \cdot \delta \gamma_1; \quad (9)$$

$$\delta X_B = -\Delta_1 \cos \gamma_1 \cdot \delta \gamma_1. \quad (10)$$

(5) – (10) მნიშვნელობათა შეტანით მუშაობის (1) ფორმულაში და ალგებრული გარდაქმნებით განზოგადებული  $Q'_{\gamma_1}$  ძალა განისაზღვრება ტოლობით:

$$\begin{aligned} Q'_{\gamma_1} = & \Delta_1 \left\{ \cos \gamma_1 \left[ \frac{1}{2} (G_1 + G_2) + \frac{1}{l_2} (2l_2 + 2l_3 + l_4) G_4 + \right. \right. \\ & + \frac{l_4}{l_2} G_s + \sin \beta \frac{1}{l_2} (l_2 + l_3 + l_4) \operatorname{tg} \psi F_B \left. \right] - \\ & - F_1^n \left( K_{fz1} \operatorname{sign} \dot{\gamma}_1 + K_{fz2} \dot{\gamma}_1 + K_{fz3} \dot{\gamma}_1^2 \right) + \\ & \left. \left. + \frac{l_8}{r} \sin \gamma_1 F_{BC} \right\} . \quad (11) \right. \end{aligned}$$

ამავე დამატებითი მოძრაობის  $Q'_{\gamma_2}$  და  $Q'_{\gamma_3}$  განზოგადებული ძალები განისაზღვრება შესაბამისი ელემენტარული მუშაობის გამოსახულებებიდან  $\delta \gamma_2$  და  $\delta \gamma_3$  ვირტუალურ გადაადგილებებზე. საბოლოოდ:

$$\begin{aligned} Q'_{\gamma_2} = & \Delta_2 \left[ \cos \gamma_2 \left( \frac{1}{2} G_2 - \frac{1}{2} G_1 + \frac{l_4}{2l_2} G_4 - \right. \right. \\ & - \frac{l_4}{2} G_s - \frac{l_4}{l_2} \sin \beta \operatorname{tg} \psi F_B \left. \right] - F_2^n \left( K_{fz1} \operatorname{sign} \dot{\gamma}_2 + \right. \\ & \left. \left. + K_{fz2} \dot{\gamma}_2 + K_{fz3} \dot{\gamma}_2^2 \right) + \right. \\ & \left. + \frac{l_8}{r} \left( \frac{1}{l_2} \operatorname{tg} \psi \cos \gamma_2 - \sin \gamma_2 \right) F_{BC} \right]; \quad (12) \end{aligned}$$

$$\begin{aligned} Q'_{\gamma_3} = & \Delta_3 \left[ \cos \gamma_3 \left( \frac{2l_4}{l_2 + l_3} \sin \beta \operatorname{tg} \psi F_B - \frac{l_3 - l_2}{l_3 + l_2} G_1 - \right. \right. \\ & - \frac{l_3}{l_3 + l_2} G_2 - \frac{l_4}{l_3 + l_4} G_4 - \frac{2l_4}{l_2 + l_3} \times \\ & \times G_s - \frac{2l_8}{r} \cdot \frac{l_2 + l_3 + l_4}{l_2 + l_3} \operatorname{tg} \psi F_{BC} \left. \right) - \\ & \left. - F_3^n \left( K_{fz1} \operatorname{sign} \dot{\gamma}_3 + K_{fz2} \dot{\gamma}_3 + K_{fz3} \dot{\gamma}_3^2 \right) \right], \quad (13) \end{aligned}$$

სადაც  $K_{fz1}$ ,  $K_{fz2}$ ,  $K_{fz3}$  არის სველი, მშრალი და კვადრატული ხახუნის კოეფიციენტები.

მეორე სახის დამატებითი კონტაქტურ-წყვეტილი ( $C_1, C_2, B_3$ ) მოძრაობა აღიწერება დი-

ვერენციალური განტოლებებით  $\gamma_1$ ,  $\gamma_2$ ,  $x_3$  და  $y_3$  განზოგადებული კოორდინატების მიმართ. უკვე ჩატარებული მიმდევრობის მსგავსად განისაზღვრება  $Q''_{\gamma_1}$ ,  $Q''_{\gamma_2}$ ,  $Q''_{x3}$  და  $Q''_{y3}$  განზოგადებული ძალები. გვექნება:

$$\begin{aligned} Q''_{\gamma_1} = & \Delta_1 \left\{ \cos \gamma_1 \left[ \frac{1}{2} (G_1 + G_2) + \frac{2l_2 + 2l_3 + l_4}{2l_2} G_4 + \frac{l_4}{l_2} G_s + \right. \right. \\ & \left. \left. \frac{l_2 + l_3 + l_4}{l_2} \sin \beta \operatorname{tg} \psi F_B \right] + \right. \\ & \left. + F_{fz}^{8-1} + \frac{l_8}{r} \sin \gamma_1 F_{BC} \right\}; \quad (14) \end{aligned}$$

$$\begin{aligned} Q''_{\gamma_2} = & \Delta_2 \left\{ \cos \gamma_2 \left[ \frac{1}{2} (G_2 - G_1) - \frac{l_4}{2l_2} G_4 - \frac{l_4}{l_2} G_s - \right. \right. \\ & \left. \left. \frac{l_4}{l_2} \sin \beta \operatorname{tg} \psi F_B \right] + F_{fz}^{1-2} + \frac{l_8}{r} \times \right. \\ & \left. \times \left( \frac{1}{l_2} \operatorname{tg} \psi \cos \gamma_2 - \sin \gamma_2 \right) F_{BC} \right\}; \quad (15) \end{aligned}$$

$$\begin{aligned} Q''_{x3} = & \frac{1}{2} G_3 - \\ & - F_3^n \left( K_{fz1} \operatorname{sign} \dot{\gamma}_3 + K_{fz2} \dot{\gamma}_3 + K_{fz3} \dot{\gamma}_3^2 \right); \quad (16) \end{aligned}$$

$$Q''_{y3} = F_{fz}^{2-5} + \frac{l_3}{2l_2 + l_3} G_3. \quad (17)$$

ასეთივე წესით განისაზღვრება დანარჩენი დამატებითი მოძრაობების განზოგადებული ძალები. მიღებული ანალიზური გამოსახულებანი ასახავს დრენს, დინამიკური დატვირთვების და სამუხრუჭს ძალების ზემოქმედებას დამატებითი მოძრაობების განზოგადებულ ძალებზე.

### 3. დასტენა

1. სამუხრუჭო ბერკეტული გადაცემის დინამიკური მოდელი საშუალებას იძლევა გამოკვლეულ იქნებს დამატებით მოძრაობათა შესაბამისი განზოგადებული ძალები.

2. განზოგადებული ძალების მიღებული გამოსახულება შესაძლებელია გამოყენებულ იქნებს დამატებითი მოძრაობის დიფერენციალური განტოლებების შესადგენად, რომელთა ამოსნით განისაზღვრება რეალური დინამიკური დატვირთვები.

3. განზოგადებული ძალების განსაზღვრის განხილული მიმდევრობით შესაძლებელია ვისარგებლოთ სხვა სახის სამუხრუჭო ბერკეტული გადაცემის ან ზოგადად სახსრულ-ბერკე-

ტურლი გადაცემების დინამიკური ანალიზის ჩატარებისას.

### ლიტერატურა

1. Казаринов В.М., Ясенцев В.Ф. Теоретические основы проектирования и эксплуатации автотормозов. М.: Транспорт, 1966. - 400 с.
2. Shust B., Pasta C. Numerical simulations of freight rail-car dynamic clearance envelopes // Trans. of RTDF 2008 Techn. Conference, September 24-25, Chicago, Illinois, USA. 2008, v.1, PN:RTDF2008-74025.
3. Scott Cummings, Tom Mc Cabe. Brake shoes and mechanical shelling //Trans. of ASME RTDF 2008 Conference. September 24-25. Chicago, Illinois, USA, 2008, v.1, PN: RTDF 2008-74016.
4. Sharashenidze G; Mgebrishvili N., Kurtanidze P. Improved system of a braking lever transmission for rail-cars // Trans. Of ASME RTDF 2008 Conference, September 24-25. Chicago, illinois, USA, 2008. v.1, PN: RTDF 2008-74006.
5. Sharashenidze G., Kurtanidze P., Sharashenidze S. About expediance of choice and elaboration of optimal schemes of railcars braking lever transmissions //Trans. of TUG, '2 (472), 2009, pp. 96-99.
6. გ. შარაშენიძე. ვაგონების მექანიკური გადაცემების დინამიკა. თბილისი: ტექნიკური უნივერსიტეტი, 2009. – 392 გვ.
7. გ. შარაშენიძე, პ. კურთანიძე, ლ. ქუფარაშვილი, ს. შარაშენიძე. ორმხრივი დაწყლის მქონე ოპტიმალური სამუხრუჭო ბერკეტული გადაცემის დინამიკური მოდელის ფორმალიზაცია // სტუ-ის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის მრომები, 3(15). თბილისი, 2009, გვ. 117-124.

**УДК 656.2**

### INFLUENCE OF HINGED CONNECTION ELEMENTS WEAR ON THE MEANING OF GENERALIZED FORCES OF THE BRAKE LEVERAGE TRANSMISSION

**G. Sharashenidze, P. Kurtanidze, M. Dolidze, L. Kuparashvili S. Sharashenidze**

Department of transport, Technical University of Georgia, 77, Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

**Resume:** By the dynamic model of optimum brake leverage transmission of the railway carriage, where are stipulated the non-technological clearance created by hinged connection elements wear, there is investigated the generalized force of each additional motion. There are given corresponding analytical expressions. The received values of generalized forces are given depending on values of non-technological clearance, normal component of reaction, forces of friction, moments of inertia of levers, the geometrical sizes of linkage levers and clearance and also from values of generalized co-ordinates of the hinge elements.

**Key words:** wear; clearance; generalized force; generalized co-ordinate; mass.

**УДК 656.2**

### ВЛИЯНИЕ ИЗНОСА ЭЛЕМЕНТОВ ШАРНИРНЫХ СОЕДИНЕНИЙ НА ЗНАЧЕНИЯ ОБОБЩЕННЫХ СИЛ ТОРМОЗНОЙ РЫЧАЖНОЙ ПЕРЕДАЧИ

**Шарашенидзе Г.С., Куртанидзе П.Р., Долидзе М.Г., Купарашивили Л.Дж.,  
Шарашенидзе С.Г.**

Департамент транспорта, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава, 77

**Резюме:** По динамической модели оптимальной тормозной рычажной передачи ж/д пассажирского вагона, где предусмотрен нетехнологический зазор, созданный износами элементов шарнирных соединений, исследована обобщенная сила каждого добавочного движения. Даются соответствующие аналитические выражения. Полученные значения обобщенных сил даются в зависимости от величины нетехнологического

зазора, нормальной составляющей реакции, моментов инерции рычагов, геометрических размеров, а также от величины обобщенных координат элементов шарнира.

**Ключевые слова:** износ; зазор; обобщенная сила; обобщенная координата; масса.

**მოღვაწებულია დასაბუჭიდავ 10.03.10**

### შპ 621.9:685.3

**ფეხსაცმლის კალაკოტის დასამუშავებელი საჭრისის საიარაღო მასალის  
შერჩევა**

#### მ. ამირიძე

მანქანითმშენებლობის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175,  
თბილისი, კოსტავას 77

E-mail: m.amiridze@mail.ru

**რეზიუმე:** განხილულია სხვადასხვა მარკის საიარაღო მასალისგან დამზადებული ფიალისებრი საჭრისის მედეგობისა და ცვეთის კვლევა. ექსპერიმენტის მათემატიკური დაგეგმვის მეთოდის გამოყენებით შერჩეულია ოპტიმალური ჭრის რეზიმები, განსაზღვრულია იარაღის მედეგობაზე ჭრის სიჩქარისა და მიწოდების გავლენა.

**საკვანძო სიტყვები:** ფიალისებრი საჭრისი; მექანიკური დამუშავება; ცვეთა; სალი შენადნობი; მედეგობა.

#### 1. შესავალი

მჭრელი იარაღის მუშა ნაწილის ცვეთამედებობა დამოკიდებულია მის გეომეტრიულ პარამეტრებზე, ჭრის რეზიმებზე, დასამუშავებელი და საიარაღო მასალების ფიზიკურ-მექანიკურ თვისებებზე, ჭრის პროცესის მახასიათებლებსა და მრავალ სხვა ფაქტორზე.

ადსანიშნავია, რომ ფეხსაცმლის კალაპოტის დასამუშავებელი იარაღის, კერძოდ, ფიალისებრი საჭრისის (ნახ. 1) ცვეთამედებობის შესწავლა შესასწავლი საკითხების შედარებით ვიწრო წრეს მოიცავს. ესენია: საიარაღო მასალის შერჩევა, იარაღის მჭრელი ნაწილის გეომეტრიული პარამეტრების ოპტიმიზაცია და მისი ცვეთის გეომეტრიის აღწერა. ამავე დროს იარაღის მუშა ზედაპირის ცვეთის ბუქების კვლევის არარსებობა, მუშაობის პარამეტრების და ჭრის რეზიმების ცვლილების ვიწრო დიაპაზონი არ იძლევა ფიალისებრი საჭრისის სრულყოფისა და ჭრის პროცესის ოპტიმიზაციის საშუალებას. ეს მთლიანად ეხება როგორც მერქნის, ასევე პლასტმასის, კერძოდ, პოლიეთილენის დამუშავებასაც. სწორად შერჩეული მასალა უზრუნველყოფს იარაღის სამედოობასა და მედეგობას. მედეგობა – მჭრელი იარაღის ერთ-ერთი უმთავრესი საექსპლუატაციო მახასიათებელია, რომელიც ზემოქმედებს დამუშავების პროცესის წარმადობასა და თვითდირებულებაზე.



ნახ. 1. ფიალისებრი საჭრისი

## 2. ძირითადი ნაწილი

დანადგარები, რომლებზეც ხდება კალაპოტების მექანიკური დამუშავება გამოირჩევა მაღალი წარმადობით, აღჭურვილია თანამედროვე ციფრული პროგრამული მართვით. შესაბამისად, მათი გამართული მუშაობისათვის აუცილებელია საიმედო მჟრელი იარაღი. ასეთი იარაღის შექმნა ჩვენი კვლევის ამოცანაა. აღნიშნული ამოცანის გადასაწყვეტად, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელი შეიქნა, იარაღის მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე, საუკეთესო საიარაღო მასალის შერჩევა.

ამ მიზნით, ჩვენ მიერ ჩატარებულია ექსპერიმენტული კვლევა ფიალისებრი საჭრისის მედუზობის ჭრის პროცესის სხვა ფაქტორებზე დამოკიდებულების დასადგენად. საკვლევი მჟრელი იარაღები დამზადებული იყო ორი სხვადასხვა მარკის საიარაღო მასალისგან, კერძოდ, P6M5 მარკის სწრაფმჟრელი ფოლადისა და BK8 მარკის სალი შენადნობისგან.


შე-2 ნახ-ზე წარმოდგენილია ჭრის სიჩქარის მედუზობაზე დამოკიდებულების გრაფიკები, მერქნისგან კალაპოტის დამზადების დროს.

როგორც გრაფიკებიდან ჩანს, ეს ურთიერთდამოკიდებულება აშკარად გამოხატავს გრაფიკების შეუჩერებელ შემცირებას ჭრის სიჩქარის ზრდასთან ერთად. ანალოგიურ ზეგავლენას ახდენს მედუზობაზე მიწოდებაც (ნახ. 3). როგორც გრაფიკიდან ჩანს, მიწოდების გაზრდასთან ერთად იარაღის მედუზობა მცირდება.


შე-4 ნახ-ზე წარმოდგენილი მრუდები მიღებულია სხვადასხვა მარკის სალი შენადნობებისგან დამზადებული იარაღებით, მერქნისა და პლასტმასის მასალებისგან კალაპოტების დამზადების (ფრენვის) დროს მიღებული მონაცემების შედეგად.

მრუდების შედარების საფუძველზე შეგვიძლია დაგასკვნათ, რომ ჭრის სიჩქარის შესწავლილი დიაბაზონისას საუკეთესო მედუზობა გამოვლინა იარაღმა, რომელიც დამზადებულია BK8 მარკის სალი შენადნობიდან, უკეთაზე დაბალი – T15K6 მარკის სალი შენადნობიდან დამზადებულმა იარაღმა. ჩვენი აზრით, ეს გამოწვეულია იმით, რომ ლითონებისგან განსხვავებით მერქნისა და პლასტმასის ნამზადები ხასიათდება დაბალი სითბოგამტარობით, რაც გამორიცხავს ჭრის ზონიდან სითბოს ინტენსიურ გამოტანას ბურბუშელასთან ერთად. ამიტომ, სითბოს უმეტესი ნაწილი კონცენტრირდება მჟრელ იარაღში. შედეგად, იარაღის მჟრელი წიბოს მიმდებარე ზედაპირული ფენების გახურება აღწევს 870...1120 K ტემპერატურას, ხოლო მაღალი ჭრის სიჩქარის დროს – 1270 K ტემპერატურას.


ტიტანვოლფრამიანი სალი შენადნობის სითბოგამტარობა გაცილებით დაბალია, ვიდრე მხოლოდ ვოლფრამკარბიდიანი სალი შენადნობისა და მცირდება შენადნობში ტიტანის კარბიდის რაოდენობის ზრდასთან ერთად. ეს არის მცირე რაოდენობის ვილფრამკარბიდიანი შენადნობის მედუზობის შემცირების მიზეზი არალითონური მასალების დამუშავების დროს.



ნახ. 2. ჭრის სიჩქარის მედუზობაზე დამოკიდებულების გრაფიკი,  
სწრაფმჟრელი P6M5 ფოლადისა და BK8 სალი შენადნობისგან დამზადებული  
იარაღებით მერქნისგან კალაპოტების დამუშავების დროს



ნახ. 3. მიწოდების სიჩქარის მედუმბაზე დამოკიდებულების გრაფიკი, სწრაფმჭრელი P6M5 ფოლადისა და BK8 სალი შენადნობისგან დამზადებული იარაღებით შერქნისგან კალაპოტების დამუშავების დროს



ნახ. 4. ჭრის სიჩქარის გავლენა სხვადასხვა მარკის სალი შენადნობი მასალისგან დამზადებული ფიალისებრი საჭრისის მედუმბაზე მერქნის დამუშავების დროს: 1 – BK3; 2 – BK8; 3 – T15K6


მჭრელი იარაღის მწყობრიდან გამოსვლის მიზეზის შესწავლა გვიჩვენებს, რომ ის ძირითადად გამოწვეულია მუშა ზედაპირების და

მჭრელი წიბოს ცვეთით. ამასთან, იარაღის ცვეთა და ჭრის პროცესის სახასიათო მაჩვენებლების ცვლილება მიმდინარეობს გარკვეული სიჩ-

ქარით და თანამიმდევრულად, ხოლო იარაღის მოულოდნელი მწყობრიდან გამოსვლის წილი (მექანიკური დაზიანება, ამომტვრევა) დაბალია. ეს მიუთითებს დამუშავების პროცესში სალი შენადნობი იარაღის მედგრობის ნორმალური განაწილების დასკვნის საფუძველზე.

ასევე, შესწავლილია BK8 და T15K6 მარკის სალი შენადნობებისგან დამზადებული ფიალისებრი საჭრისების მედგრობაზე (T) ისეთი ცვალებადი ფაქტორების გავლენა, როგორიცაა  $x_1$  ჭრის სიჩქარე (V) და  $x_2$  მიწოდება ( $S_z$ ). ჭრის სიჩქარის მნიშვნელობა იცვლებოდა 20 მ/წთ-დან 50 მ/წთ-მდე, ხოლო მიწოდებისა – 0,2 მმ/კბ-დან 0,5 მმ/კბ-მდე. მედგრობის ჭრის სიჩქარესა და მიწოდებაზე დამაკიდებულების მათემატიკური მოდელი, მოდებული სრული ფაქტორული ექსპრიმენტის 2<sup>2</sup> რეალიზაციის საფუძველზე, შემდეგია:

$$\begin{aligned} \gamma(T)_{BK8} &= 143x_0 - 80x_1 - 40x_2 + 17x_1x_2, \\ \gamma(T)_{T15K6} &= 127x_0 - 76x_1 - 38x_2 + 19x_1x_2 \end{aligned}$$




მიღებული განტოლება მართებულად ასახავს იარაღის მედეგობის ცვლილებების ტენდენციას ორივე ფაქტორის ზემოქმედების დროს. მინუს ნიშანი მიუთითებს მედეგობის შემცირებას ჭრის სიჩქარისა და მიწოდების გაზრდასთან ერთად.

### 3. დასკვნა

ფიალისებრი საჭრისის მჭრელი წიბოსა და პოლირებული წინა და უკანა ზედაპირების მუშაობის პერიოდში ცვეთის შესწავლის ანალიზი მისი საწყისი ეტაპის გამოვლენის საშუალებას იძლევა (ნახ. 5).

ასევე დადგინდა ცვეთის ხასიათი – ადჰეზიური. აღნიშნულ პირობებში, ტემპერატურული ფაქტორის ზეგავლენიდან გამომდინარე, ცვეთამედეგობით გამოირჩევა BK ჯგუფის ერთკარბიდიანი სალი შენადნობი. ეს მტკიცდება პრაქტიკული შედეგებითაც.



ნახ. 5. ფიალისებრი საჭრისის წინა ზედაპირის ცვეთა

ერველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დაგასცვნათ, რომ მერქნისა და პლასტმასისგან დამზადებული კალაპოტების დასამუშავებლად გამოყენებული ფიალისებრი საჭრისის ყველაზე ოპტიმალურ საიარაღო მასალას BK8 ერთკარბიდიანი სალი შენადნობი წარმოადგენს.

- Палей М. М. Технология и автоматизация инструментального производства. Волгоград: Машиностроение, 1995.- 480 с.
- Graham T. Smith. "Cutting Tool Technology", Verlag, London Limited, 2008, pg. 590.
- Production Engineering. Volume 3, Number 1, March, 2009, pg. 69-72.
- Proceeding of the 12th International Conference on Tools, ICT, Hungary, 2007, pg. 255-260.

### ლიტერატურა

- Зедгенидзе И. Г. Введение в планирование эксперимента. Тбилиси: Изд-во ГПИ, 1975.- 180 с.

---

**UDC 621.9:685.3**

**SELECTION OF MATERIAL OF TREATING SINGLE-POINT CUTTING TOOL FOR BOOT-TREE OF SHOES**

**M. Amiridze**

Department of mechanical engineering, Georgian Technical University, 77, Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

**Resume:** There is reviewed investigation of stability and wear of single-point cutting tool of vial shape manufactured from the tool material of various brand.

With use of the mathematical planning method of experiment the optimum cutting modes are selected and the influence of cutting speed and feeding on stability of tool is determined.

**Key words:** single-point cutting tool; mechanical treatment; wear; hard alloy; stability.

---

**УДК 621.9:685.3**

**ВЫБОР ИНСТРУМЕНТАЛЬНОГО МАТЕРИАЛА ЧАШЕЧНОГО РЕЗЦА ДЛЯ ОБРАБОТКИ ОБУВНЫХ КОЛОДОК**

**Амиридзе М.Н.**

Департамент машиностроения, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава, 77

**Резюме:** Рассмотрено исследование стойкости и износа чашечных резцов, изготовленных из разных марок инструментального материала. С использованием метода математического планирования эксперимента установлены оптимальные режимы резания, определено влияние скорости резания и подачи на стойкость инструмента.

**Ключевые слова:** чашечный резец; механическая обработка; износ; твердый сплав; стойкость.

---

*გილეგი გულია დანაბეჭდია 23.03.10*

# კუმანიტარულ-სოციალური სექცია

შაპ 621. 311

ექსპერტული სისტემის ბამოყვანება ენერგოსისტემის სტაბილური მუშაობის აღდანისათვის

რ. ქუთათელაძე\*, ა. კობიაშვილი

ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, კოსტავას 77

E-mail: r.kutateladze@gtu.ge

**რეზიუმე:** განხილულია გადამცემი ხაზების სისტემის აღდგენის მეთოდის რეალიზაცია ენერგოსისტემებში. გადამცემი ხაზების სისტემის აღდგენა მოწყობილობასთან დაკავშირებულ ოპერაციებს, რომლებსაც როგორი ურთიერთდამოკიდებულება აქვთ. ამის გამო, შემოთავაზებულია ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამების, ფრეიმების სახით ცოდნის წარმოდგენისა და ევრისტიკის კომბინირება პროცესის მაღალი ეფექტურობის მისაღებად. დამტკიცებულია, რომ აღდგენის ახალი შემთხვევებისათვის მარტივია ცოდნის გადრმავება მოდელირებულ სისტემაში ცოდნის ინჟინერიის ხერხების გამოყენებით.

**საკვანძო სიტყვები:** ექსპერტული სისტემა; ცოდნის ინჟინერიის ხერხები; ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება.

## 1. შესავალი

ენერგოსისტემებში ელექტროენერგიის ზრდის შესაბამისად იზრდება სტაბილურობის შენარჩუნების მნიშვნელობა. ეს მოთხოვნა განსაკუთრებით მაღალია მაღალი მაბეჭის სისტემებში, სადაც გადამცემი მაგისტრალური ხაზების მაბეჭი 500 კვოლტია, შესაბამისად ვითარდება მოწყობილობებისა და მათი მართვის ტექნოლოგიები, რათა გაუმჯობესდეს მომარაგების საიმედობა.

მიუხედავად ამისა, არსებობს სიტუაციები, როცა მტკიცებების თავიდან აცილება ენერგოსისტემაში შეუძლებელი ხდება. ასეთ შემთხვევებში საჭიროა მომსახურების შეფერხების სწრაფი აღდგენა. თანამედროვე ელექტროგადამცემ ხაზებში აღდგენა ხორციელდება პროგნოზირებადი მტკიცებების აღდგენის თავიდების მიზნით. ამ მეთოდებზე დაყრდნობით შექმნილია წინასწარ მომზადებული პროცედურები. მაგრამ, როცა ხდება მნიშვნელობების მტკიცება, საჭიროა სასწრაფოდ განვითაროს მომზადების მტკიცება, სადაც გადამცემის მოწყობილობების გამოცდილებაზე დაფუძნებული პროცედურები აღდგენის მიზნით მოქმედი აღდგენი გადამცემის მოწყობილობების აღდგენით მიმდევ და მტკიცებული მოწყობილობების აღდგენით.

ამიტომ სასურველია შეიქმნას სისტემა, რომელიც ოპერატორს დაეხმარება გადაწყვეტილებათა მიღებაში სავარიო სიტუაციებში. აღდგენის სისტემა ხასიათდება შემდეგი ოვასებებით:

- როცა ხდება მტკიცება გადამცემი ხაზების სისტემაში, შესაძლოა მოხდეს მთელი სისტემის გათიშვა, ამიტომ აუცილებელია სისტემის სასწრაფო აღდგენა.
- იმის გამო, რომ აღდგენის პროცესში მომხდარი ახალი მტკიცებები ანელებს აღდგენის პროცესს, დიდი სიფრთხილეა საჭირო გადამცემი ხაზებისა და ტრანსფორმატორების ძაბის გადაჭარბებისა და დატვირთვების გაზრდისაგან დასაცავად.
- გადამცემი ხაზების სისტემებს ახასიათებს ის, რომ აღდგენის პროცესი დროსა და სივრცეში გაწელილია.
- აღდგენის ხანგრძლივ პროცესში არსებობს ბევრი განუსაზღვრელი ულექტრონური, როგორიცაა იზოლირებული ქვესისტემის ურთიერთკავშირების დროში განაწილება, დატვირთვების განაწილების პროგნოზი აღდგენის შემდეგ და მტკიცებული მოწყობილობების აღდგენით.

აღდგენის სისტემისადმი ძირითადი მოთხოვნებია: სწრაფი აღდგენი, უსაფრთხო აღდგენი, მყარი აღდგენი, მოქმედი აღდგენი [1].

## 2. ძირითადი ნაწილი

გადამცემი ხაზების სისტემის აღდგენის პროცესი შეიძლება ორ ეტაპად გაიყოს: ენერგოსისტემის მდგრმარეობის აღდგენის პროცესის მიხედვით ენერგიის მიწოდების და დატვირთვით უზრუნველყოფის. მათი აღდგენის სტრატეგიის შემდეგ თითოეული ეტაპისათვის მოხდება ინდივიდუალურად შერჩეული პროცედურების გამორჩევა.

ენერგიის მიწოდების ეტაპის აღდგენის სტრატეგიის მთავარი მიზანია აღდგენისათვის საჭირო ენერგიის სწრაფი უზრუნველყოფა. დატვირთვით უზრუნველყოფის ეტაპზე განისაზღვრება სისტემის ისეთი კონფიგურაცია, რომელიც არ გამოიწვევს ჭარბ დატვირთვას. სისტემის პირობებზე დამოკიდებულებით შესაძლებელია ერთდროული გადამცემის მოწყობილობების გამოცდილებაზე დაფუძნებული პროცედურები.


დად რამდენიმე აღდგენითი ოპერაციის განხორციელება. მათი შესრულების დროსა და სივრცეში განაწილება ძალიან მნიშვნელოვანია.

ენერგიის მიწოდების ეტაპი განისაზღვრება, როგორც ფაზა, რომელშიც სისტემა აღდგენს აღდგენის დასაწყისს და იწყება გაჩერებული ქესადგურების და სადგურების სწრაფი აღდგენა და ტვირთვების სათანადო ცვლილებით. სისტემის სტაბილიზაციისათვის საჭირო და ტვირთვების აღდგენაც ამ ფაზაში ხდება. რადგან ამ ფაზაში დატვირთვის სიდიდეები მცირეა, მნიშვნელოვანია განვიხილოთ ძალიან და რეაქტიული სიმძლავრის და არა აქტიური სიმძლავრის რეგულირება.

დატვირთვით უზრუნველყოფის სტადია განისაზღვრება, როგორც მტკუნების მომდევნო ფა-

ზა, რომელშიც დატვირთვები ისე გადანაწილდება, რომ ადგილი არ ექნება ჭარბ დატვირთვას. ამ ფაზაში მნიშვნელოვანია აქტიური სიმძლავრის რეგულირება. ამიტომ ამ ფაზაში ხდება სისტემის მოწყობილობების დატვირთვების ბალანსის შემოწმება.

აღდგენის პროცესში მრავალი კომპონენტია ერთმანეთთან კოპლექსურ ურთიერთდამოკიდებულებაში და ამ კომპონენტების სტატუსი იცვლება აღდგენის პროცესის მსვლელობისას. აღდგენის აღგორითმის კონფიგურაცია ნაჩვენებია 1-ლ ნახ-ზე, ხოლო ურთიერთდამოკიდებულებები – მე-2 ნახ-ზე.




ნახ. 1. მტკუნების აღდგენის აღგორითმი

აღდგენის პროცესში ენერგიის მიწოდების სისტემიდან სიმძლავრე სწრაფად უნდა მიეწოდოს იმ დატვირთვებს, რომლებიც არაა გააქტიურებული. როცა მოხდება ამ დატვირთვების

აღდგენა, დაიწყება ენერგიის მიწოდების აღდგენა გადამცემ ხაზებსა და ქვესადგურებში. ამ მომენტში სახიფათოა ძალის გადაჭარბება. ასევე სახიფათოა დატვირთვის სიდიდეების გა-

დაჭარბებაც. ამიტომ, საჭიროა, ამ ორივე სიდილის შემოწმება. ძაბვის რეგულირებისთვის ხდება რეაქტორების ან დატვირთვის ჩართვა-გამორთვა ან შეცვლა. დატვირთვების რეგულირებისთვის კი ხდება ტევადობების გენერირება, გარკვეული სისტემების ჩართვა და სხვა.




ნახ. 2. ურთიერთკავშირი სისტემის კომპონენტებს შორის ალგორითმის პროცესში

ალგორითმის სტრატეგია და ინდივიდუალური აღდგენითი ოპერაციების განსაზღვრა ეფუძნება სისტემის კომპონენტებს შორის ურთიერთდამოკიდებულებებს. მათ იერარქიული სტრუქტურა

აქვს. ამიტომ ალგორითმის სისტემის მოდელირებისათვის მოხერხებული იქნება მათი წარმოდგენა ფრეიმების სახით. ქვესადგურები, გადატვირთვები ხაზები, მოწყობილობები, დატვირთვები ასევე აისახება ფრეიმების საშუალებით. მთელი სისტემის იერარქიულ სტრუქტურას ექნება მე-3 ნახევრები სახით.

როგორც მე-2 ნახ-დან ჩანს, სისტემური კომპონენტების უმრავლესობას შორის როგორი დამოკიდებულებაა. ამიტომ, მათ დასამუშავებლად მოხერხებულია ობიექტურ-ორიენტირებული დაპროგრამების მეოთხედი. ყოველი ფრეიმი ქვესადგურის, გადამცემი ხაზის, მოწყობილობისა და დატვირთვისთვის განიხილება, როგორც ცალკეული ობიექტი. ურთიერთდაკავშირებულ ობიექტებს შორის ხდება შეტყობინებების გაცვლა. თუ საჭიროა, შეტყობინების მიმღები ობიექტი უგზავნის ახალ შეტყობინებას სხვა ობიექტებს საკუთარ ინფორმაციაზე დაყრდნობით. მაგალითად, ქვესადგურის ობიექტის შემთხვევაში ის იყენებს თავის ინფორმაციას ენერგიის მიწოდება/არ მიწოდების შესახებ, მტკავებული მოწყობილობის ინფორმაციას და ამზადებს შეტყობინებას. ასე მიიღება საჭირო ინფორმაცია და ხდება დამტკავება.



ნახ. 3. სისტემის კომპონენტების წარმოდგენა ფრეიმებით

სისტემის ენერგიის მიწოდების მდგომარეობა, სისტემის ტევადობა და მიწოდებული დატვირთვების სიდილები დროთა განმავლობაში იცვლება. ისეთი აღდგენის შემთხვევაში, რომელსაც დიდი დრო ესაჭიროება, ოპერაციების თანამიმდევრობა და მათი დროში განაწილება უადგესად მნიშვნელოვანია აღდგენის პროცესში. გარდა განსაზღვრისას, პროდუქციული წესები ასეთ შემთხვევაში უნდა აფასებდეს და აკონტროლებდეს ობიექტების ცვალებადობას დროში. პროდუქციული წესების მაგალითები, რომლებიც ამ სისტემაში გამოიყენება, შემდეგია:

- B ოპერაცია შეიძლება შესრულდეს იმ შემთხვევაში, თუ დასრულებულია A ოპერაცია.


- C ოპერაცია შეიძლება შესრულდეს იმ შემთხვევაში, თუ სისტემის ტევადობის სილიდე გაიზარდა და დასაშვებ დონეს გადაჭარბა.

- E გენერატორი შეიძლება იქნეს სინქრონიზებული სისტემაში, თუ გასულია D წუთი.

აღდგენის პროცესში ქვესადგური განიხილება, როგორც სისტემის ერთეულოვანი კომპონენტი. ის მართლაც ერთიანი სისტემაა, რომელიც შედგება სალტევების, ტრანსფორმატორების, ძაბვის რეგულირების მოწყობილობებისა და გადამტკავებებისაგან. აღდგენისას საჭიროა ისეთი ოპერაციების შესრულება, როგორიცაა სალტევების გათიშვა, ენერგოსისტემის კონფი-

გურაციის შეცვლა და ძაბვის რეგულირების მოწყობილობების გამოყენება. როცა ქვესადგურში არ არის მტკუნძული მოწყობილობები და არც თპერაციული შეზღუდვები მოქმედებს, ზემოთ ნახსენები თპერაციები ადვილად სრულ-

დება, წინააღმდეგ შემთხვევაში ოპერაციები განხორციელდება ცალკეული მოწყობილობების დონეზე. ეს კვლავები ხდება ეწ. “დაფის” მოდელის გამოყენებით, რომელიც მე4 ნახ-ზეა წარმოდგენილი.



ნახ. 4. ცოდნის წარმოდგენის “დაფის” ტიპის მოდელი

KS1 არის ცოდნის ბაზა აღდგენისათვის, რომელიც ქვესადგურს განიხილავს, როგორც ერთეულოვან სისტემურ კომპონენტს. KS2-დან KSm-ის ჩათვლით არის ცოდნის ბაზები, რომელიც გამოიყენება თითოეულ ქვესადგურზე ოპერაციების გამოყენების შესაძლებლობების გამოსაკვლევად მოწყობილობის დონეზე.

KS1 ახორციელებს გადაწყვეტილებების მიღებას და დამუშავებას და ქმნის აღდგენის პროცედურებს. როცა საჭიროა ქვესადგურის მომსახურება მტკუნძულების ან შეზღუდვის წარმოშობისას, ცოდნის ბაზებს შორის იწყება კომუნიკაცია აღდგენის ოპერაციების შესარჩევად.

ამრიგად, ოპერაციების შემოწმება სრულდება მხოლოდ იმ ქვესადგურზე, რომელიც ამას საჭიროებს. რადგან ეს შემოწმება სრულდება ქვესადგურის მოწყობილობის დონეზე, საჭირო არაა მონაცემთა დიდი რაოდენობის გამოკვლევა ანუ დამუშავება უფრო ეფექტური ხდება.

ენერგიის მიწოდების ეტაპზე ხდება შემდეგ ძირითად მოქმედებათა შესრულება:

1) მტკუნძული მოწყობილობებისა და აგრეგატების განსაზღვრა. ამ ბიჯზე ხდება ენერგიის მიწოდების შემოწმება. თუ ენერგიის მიწოდება შეწყვეტილია, მაშინ გაიშვება ის აგრეგატები, რომლებიც ენერგიის გადაცემას ან მიღებას მუშაობით სისტემიდან ახდენს.

2) აღდგენის მარშრუტის განსაზღვრა. გამორთული აგრეგატების მიმართ აღდგენის პროცესი პირველი ბიჯის ანალოგიურია. შესაძლო აღდგენის მარშრუტების შეფასება ეფუძნება ისეთ თპერაციულ კრიტერიუმებს, როგორიცაა ოპერირების დროის მინიმიზაცია. ამასთან, თავიდან უნდა იქნეს აცილებული ძაბვის მიწოდება დაბალი ძაბვის მქონე უბნებიდან მაღალი ძაბვის უბნებისაკენ. იმ აგრეგატებისა და

ქვესადგურების მარშრუტები, რომლებიც სწრაფ აღდგენას ახორციელებს, უნდა შეირჩეს ოპერაციულ წესებზე დაყრდნობით.

3) აღდგენის პრიორიტეტების განსაზღვრა. განხერებული აგრეგატებისთვის აღდგენის პრიორიტეტები განისაზღვრება ამ აგრეგატების სისტემასთან სინქრონიზაციის საჭირო დროის მოთხოვნასა და მათი გენერირებული ტევადობის მნიშვნელობიდან გამომდინარე. სისტემასთან სინქრონიზაციისთვის საჭირო დროის სიმცირეს და გენერაციის მაღალ ტევადობას უმაღლესი აღდგენის პრიორიტეტები გააჩნია. ქვესადგურების აღდგენის პრიორიტეტი განისაზღვრება მათვან მოწყობული დატვირთვების მნიშვნელობების მიხედვით.

4) აღდგენის თანამიმდევრობის განსაზღვრა ელექტროაგრეგატებისა და ქვესადგურებისათვის. ენერგიის მიწოდების უნარზე დაყრდნობით გამოკვლევები ჩატარდა იმ აგრეგატების რაოდენობის განსაზღვრისათვის, რომლებიც ერთდროულად უნდა იქნეს აღდგენილი. აღდგენის გრაფიკი თითოეული აგრეგატებისა და ქვესადგურისათვის აიგება აღდგენის წესებზე დაფუძნებით. უნდა შეფასდეს ერთეულოვანი გადაცემის ხაზის ენერგიის მიწოდებისათვის საჭირო დრო. აღდგენის დროის ასეთი განსაზღვრა სისტემას საშუალებას აძლევს მოიცვას მრავალი იზოლირებული ქვესისტემა ერთი და იგივე დროითი პარამეტრებით, შესაბამის უბანში მოდელირების შესრულებით.

5) ოპერაციული პროცედურების შექმნა. მეოთხე ბიჯზე განსაზღვრული აღდგენის დრო გამოიყენება, როგორც ოპერაციების დროითი განაწილება და მთელი სისტემისათვის ხდება აღდგენის პროცესის მოდელირება. ოპერაციების პროცედურები ავტომატურად იქმნება. იმის გამო, რომ შეუძლებელია ერთი და იგივე ქვესად-

გურზე რამდენიმე ოპერაციის ერთდროული შესრულება, ისინი სრულდება პრიორიტეტების შესაბამისად. თუ საჭიროა რაიმე აგრეგატის აღდგენა, სრულდება სისტემასთან სინქრონიზების ოპერაცია, გარკვეული დროის შემდეგ ის მოდის სინქრონიზაციაში სისტემასთან. ამ მომენტისათვის სისტემის მდგომარეობა იცვლება. ეს ნიშავს, რომ საჭიროა რამდენიმე აგრეგატისა და ქვესადგურის აღდგენა ან ენერგიის მოწოდებით უზრუნველყოფა. ეს კვლავ გამოიწვევს სინქრონიზაციის აუცილებლობას და გაჩერუბული ქვესადგურების აღდგენის საჭიროებას.

დატვირთვით უზრუნველყოფის ეტაპზე ხდება დატვირთვის აღდგენის მოდელირება და სისტემის კონფიგურაცია იცვლება ისე, რომ მოხდეს ჭარბი დატვირთვის შემცირება. ამისათვის საჭიროა შემდეგი ბიჯების შესრულება:

1) ქვესადგურის უზრუნველყოფის საზღვრების გამოვლა. ეს გამოვლა ციკლური ხასიათისაა და ხორციელდება წრფივი დაპროგრამების მეთოდით. ამ ბიჯზე ხდება იმ დატვირთვების აღდგენა, რომელთა სიდიდე აღემატება დადგენილ შეზღუდვებს. შემდეგ გამოითვლება დატვირთვის საზღვრები მეზობელი ქვესადგურებისათვის, გადამცემი ხაზების და ტრანსფორმატორების პარამეტრების გათვალისწინებით;

2) დატვირთვების აღდგენის მოდელირება. ამ ბიჯზე ხდება მტყუნებული ქვესადგურებიდან მოწოდებული დატვირთვების აღდგენის მოდელირება;

3) ჭარბი დატვირთვების შემცირების მეთოდი. თუ მოხდა დატვირთვის სიდიდის გადაჭარება, გამოკვლეული უნდა იქნეს მისი შემცირების შესაძლო ხერხები. არსებობს სამი მირითადი მეთოდი: სისტემის გადართვა, სალტეების განმხოლოება და დატვირთვების გადართვა;

4) ოპერაციების პროცედურების შექმნა. თუ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესის შესაბამისი ოპერაციები 1-დან 3-ის ჩათვლით სრულდება, ჩნდება დატვირთვების სიჭარე და ბოლო ბიჯზე წარმოშობა დატვირთვების საწყის მდგომარეობაში დაბრუნების აუცილებლობა. ამიტომ საჭიროა განისაზღვრო პროცედურები, რომლებიც განვითარებენ საზრდო ციკლურ სისტემას სამი მირითადი მეთოდით. ასეთი ექსპერტული სისტემა სათანადო აღდგენის მეთოდების გენერირებას ახდენს სხვადასხვა მტყუნების შემთხვევისათვის. გარდა ამისა, სისტემაში მარტივი ახალი ცოდნის დამატება ახალი მტყუნებების აღდგენის აუცილებლობის წარმოშობისას სისტემაში ანუ სისტემა გაფართოებადია.

დატვირთვების სიჭარების შესამცირებლად გამოყენებულ სამივე მეთოდში მოქმედებათა ძირითადი თანამიმდევრობა შემდეგია:

- ქვესადგურების დატვირთვების გადაინებათა გამოკვლევა;

- ქოველი გადასართველი ქვესადგურის გამოკვლევა;

- შემოწმება იმისა, თუ როგორ შემცირდა ტოტალური სიჭარებები.

დატვირთვების შემცირებისას პრობლემატურია ამ სამი მეთოდის განსაზღვრა. ამიტომ საჭიროა გამოკვლევები ჩატარდეს თითოეული მეთოდის გამოყენების სხვადასხვა კომბინაციაზე.

მოდელირებად სისტემაში გამოიყენება პროდუქციული წესები, რომლებიც მიღებულია ადამიანი-ექსპერტის გამოცდილების გათვალისწინებით. პროდუქციული წესის მაგალითი: თუ სისტემაში არის ქვესადგური, რომელსაც აქვს დატვირთვის დასაშეებ მნიშვნელობათა დიდი დია-აპაზონი, მთელი რადიალური სისტემა, რომელშიც დატვირთვა ნაწილდება, წინასწარ უნდა შეიცვალოს ამ დიაპაზონის შესაბამისად, რის შემდეგაც თქვერაციული პროცედურები იქმნება. ასეთი ევრისტიკა ძალიან ეფექტურია, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა ჭარბი დატვირთვა გადაეცემა მეზობელ რადიალურ სისტემას და მეზობელი სისტემის დატვირთვის ნორმალიზაციასაც ახდენს.

### 3. დასკნა

ექსპერტული სისტემის შემოთავაზებულმა მოდელმა აჩვენა, რომ ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამების ხერხების გამოყენება ცოდნასთან ერთად იძლევა ენერგოსისტემის აღდგენის ეფექტურ გზას, უფრო ზუსტად, ცოდნის ინიცირით გამოიყენება იძლევა გადამცემი ხაზების სისტემის კომპლექსური აღდგენის საშუალებას სწორაფად, უსაფრთხოდ და შეზღუდვების გათვალისწინებით. ასეთი ექსპერტული სისტემა სათანადო აღდგენის მეთოდების გენერირებას ახდენს სხვადასხვა მტყუნების შემთხვევისათვის. გარდა ამისა, სისტემაში მარტივი ახალი ცოდნის დამატება ახალი მტყუნებების აღდგენის აუცილებლობის წარმოშობისას სისტემაში ანუ სისტემა გაფართოებადია.

### ლიტერატურა

1. Yukio Kojima, Shigeru Warashina, Masakazu Kato, Hadime Watanabe. Application of Knowledge Engineering Techniques to Electric Power System Restoration. International Workshop on Artificial Intelligence for Industrial Applications. N.J. 1998, p.p. 320-325.
2. რ. ქუთათელაძე, ა. კობიაშვილი. ცოდნაზე დაფუძნებული მართვის სისტემა ენერგოსისტემის გადამცემი მაგისტრალის აღდგენისათვის. თბილისი: სტუ-ს შრომები, 2010.

UDC 621.311

**THE USE OF EXPERT SYSTEM FOR STABLE WORKING OF POWER SYSTEM RESTORATION****R. Kutateladze, A. Kobiashvili**

Department of economics and business management, Georgian Technical University, 77, Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

**Resume:** There is discussed realization method of a trunk line system restoration in power systems. A trunk line system restoration involves operations of various equipments, which are complexly interrelated. For this reason, object-oriented programming techniques employing a frame representation of knowledge and heuristics have been adopted to achieve efficient processing. There is confirmed to be simple to add knowledge concerning new restoration cases to the modelling system by applying knowledge engineering techniques.

**Key words:** expert system, knowledge engineering techniques, object-oriented programming.

**УДК 621. 311****ПРИМЕНЕНИЕ ЭКСПЕРТНОЙ СИСТЕМЫ ДЛЯ ВОССТАНОВЛЕНИЯ СТАБИЛЬНОЙ РАБОТЫ ЭНЕРГОСИСТЕМЫ****Кутателадзе Р.Г. Кобиашвили А.А.**

Департамент управления экономикой и бизнесом, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава, 77

**Резюме:** Рассмотрена реализация метода восстановления системы линии передач в энергосистему. Восстановление системы линий передач включает связанные с различными устройствами операции, которые обладают сложными взаимоотношениями. Поэтому предложено комбинирование объектно-ориентированного программирования, представления знаний в виде фреймов и эвристики для получения высокой эффективности процесса. Доказано, что для новых случаев восстановления очень просто добавить знания в моделируемую систему применением способов инженерного знания.

**Ключевые слова:** экспертная система; способы инженерии знаний; объектно-ориентированное программирование.

მოღვაწია დასაბუძფად 22.06.10

**შპ 091.5****დარბობრივი ჟურნალის მაკროსტრუქტურა და მისი პლანირებული ასპექტები****რ. თაბუკაშვილი**

უცხოური ენებისა და კომუნიკაციის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, კოსტავას 77

E-mail: r.tabukashvili@gmail.com

**რეზიუმე:** განხილულია დარგობრივი ტექსტის მაკროსტრუქტურის კვლევის სამი ასპექტი – სემანტიკური, ფუნქციური და პრაგმატული. დარგობრივ ტექსტს ობიექტური რეალობის საგანთა აღწერასთან ერთად საფუძვლად უდევს კონ-

კრეტული ინტენცია, რომლის აქტუალიზაცია ანუ ტექსტიდექტრა კონკრეტული დარგის სპეციფიკით განისაზღვრება. დარგობრივი ტექსტების მაკროსტრუქტურის კვლევისას აუცილებელია იმ საკომუნიკაციო სიტუაციის გათვალისწინება, რომელშიც ხდება დარგობრივი ტექსტის მანი-

ფესტივება. ამ კონცერტში ტექსტის პროდუცირებისას რელევანტურია კოგნიტიური და კომუნიკაციური სემინარების გათვალისწინება და ამ კუთხით კორექტულობის შენარჩუნება. ტექსტადექმნის სემანტიკური საშუალებები დარგობრივი ტექსტის სტრუქტურირების არსებითი, მაგრამ არა ერთადერთი საშუალებაა. პრაგმატული ასპექტი იყვნება დარგობრივი ტექსტების მაკროსტრუქტურას საზოგადოებრივი ცხოვრების გარკვეულ სიტუაციებთან კავშირში, ხოლო ფუნქციურ ჭრილში ტექსტის სეგმენტირება ითვლება მასშტაბურ მოვლენად და მიზნად ისახავს შეისწავლოს საკომუნიკაციო და შემეცნებითი პროცესების გავლენა ტექსტის კოსტრუირებაზე. საკითხისადმი ამგვარი შიდგომა მოიაზრებს ენისა და აზროვნების ურთიერთმომართებას, მათი ურთიერთქმედების თავისებურ მანერას.

**საკვანძო სიტყვები:** დარგობრივი ტექსტი; მიკროსტრუქტურა; კომუნიკაციულობა; პრესუპოზია; პოლიფუნქციურობა; ტექსტის კომპონენტები.

## 1. შესავალი

მე-20 საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში დარგობრივი ენების კვლევამ კომუნიკაციური ლინგვისტიკა ასალი ამოცანების წინაშე დააყენა და საკუთარი, დამოუკიდებელი განხილვის ობიექტის – დარგობრივი ტექსტის – გამოკვეთის შედეგად დარგობრივი ტექსტის ლინგვისტიკის, როგორც დამოუკიდებელი დისკიპლინის ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი. დარგობრივი ტექსტის ლინგვისტიკის ობიექტი – დარგობრივი ტექსტი – დარგობრივი ზეპირი თუ წერილობითი პროცესების ფიქსირებული მანიფესტაციაა. დარგობრივი ტექსტის ლინგვისტიკა მიზნად ისახავს ტექსტის ინდუქციურ-ემპირიული კვლევის საფუძველზე სხვადასხვა საკომუნიკაციო გარემოში შეისწავლოს და გააანალიზოს დარგობრივი ზეპირი თუ წერილობითი ტექსტების სოციალური, სიტუაციური და თემატური ფაქტორების ურთიერთმიმართება. ამ ტიპის კვლევა თავისთავად ითვალისწინებს დარგობრივი ტექსტების შიგა და გარეენობრივი ფაქტორების სტრუქტურულ-ფუნქციური ურთიერთქმედებით დარგობრივი ტექსტების სხვადასხვა ტიპების განსაზღვრასა და დადგენას.

## 2. ძირითადი ნაწილი

ლინგვისტური თვალსაზრისით, ტექსტის სტრუქტურის კვლევა სამი ასპექტით ხორციელდება – სემანტიკური, პრაგმატული და ფუნქციურ-კომუნიკაციური. ნარატიული ტექსტის მაკროსტრუქტურა ყოველთვის ან უმეტესწილად სემანტიკურ ჭრილში განიხილება, მაშინ, როცა დარგობრივი ტექსტების სტრუქტურულ-ფუნქცი-

ური ანალიზისათვის მხოლოდ ლოგიკურ-სემანტიკური ასპექტის შესწავლა საკმარისი არ არის. დარგობრივი ტექსტის სტრუქტურის კვლევა შესაძლებელია მხოლოდ ლოგიკურ-სემანტიკური მეთოდითა და ტექსტის კომუნიკაციური ანალიზით.

დარგობრივ ტექსტს ობიექტების, საგანთა მიმართებებისა და ობიექტური რეალობის აღწერასთან ერთად საფუძვლად უდევს ტექსტის კონკრეტული ფუნქცია, რომელიც, თავის მხრივ, საქმიანობის სფეროს სპეციფიკით განისაზღვრება. ამასთან, ენისა და აზროვნების მანერა პროფესიული საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია [1].

დარგობრივი ტექსტების კვლევისას აუცილებელია იმ საკომუნიკაციო სიტუაციის გათვალისწინება, რომელშიც დარგობრივი ტექსტის მანიფესტირება ხდება. ამ კონცერტში ტექსტის პროდუცირებისას ერთმანეთს განაპირობებს კონიტიური და კომუნიკაციური ასპექტების კორექტულობას.

დარგობრივი პროცედურის აზრობლების აზრობრივ-ენობრივი საშუალებებით შეფუთვა, კონკრეტული დარგობრივი საკითხის შინაარსეობრივ-ენობრივი გააზრება, შესაბამისი ტექსტის ენობრივი მანიფესტაციისას, იწვევს გარკვეულწილად ტექსტებმათა ლინგვისტურ-სეგმენტური რიგების შეზღუდვას. ამ პროცესს ხშირად მოხდევს ის რეალობა, რომელიც შესაძლოა არ იყოს სრულ შესაბამისობაში გარემონბრივ რეალობასთან. აქედან გამოდინარე, ტექსტის ნაწილთა სტრუქტურირება ობლიგატორული ხდება, რათა ტექსტის შიგაწყობა გარეგნულად თვალშისაცემი და აფებური იყოს.

ტექსტადექმნის სემანტიკური საშუალებები ტექსტის სტრუქტურირების არსებითი, მაგრამ არა ერთადერთი საშუალებაა. ტექსტი სისტემაა, რომელიც ენის სხვადასხვა დონეს მოიცავს. განსხვავებულ ტექსტებმათა სემანტიკურ ნიშნებს ტექსტის მაკროსტრუქტების ფუნქციის მნიშვნელოვანი როლი აკისრია. ტექსტის გამჭვილებასა თუ წყვეტილობას ქმნის ექსპლიციტურ-სემანტიკურ ეკვივალენტთა კოჰეზია [2]. გარდა ექსპლიციტურ-სემანტიკურ ეკვივალენტთა რგოლისა, ტექსტებმათა კეზილობიკური კავშირები დარგობრივი ტექსტის იმპლიციტური კონტრუქციის მარკერებადაც გვევლინება. ტექსტში იმპლიციტური ლოგიკური კონკრეტორები ტექსტის სტრუქტურირების საშუალებებია. ისინი კომუნიკაციის ობიექტის ენობრივ-ვერბალური პროდუცირებისას განსაზღვრულ წესებს ემორჩილება.

დარგობრივი ტექსტების სტრუქტურის სემანტიკური თვალსაზრისით (განხილვისაგან განსხვავებით), მისი პრაგმატული ასპექტი მიზნად ისახავს დარგობრივი ტექსტების მაკროსტრუქტურის კვლევას საზოგადოებრივი ცხოვრების გარკვეულ სიტუაციებთან კავშირში [3]. პრაგმა-

ტული თვალსაზრისით, ტექსტების სიტუაციურობა შემდეგ მახასიათებლებს მოიცავს:

- საკომუნიკაციო მოვლენის ტიპი (სამეცნიერო სტატიის ან სააპლიკაციო ფორმის შექმნა-შედგენა-წერილობითი ფიქსაცია);
- საკომუნიკაციო პარტნიორის სოციალური სტატუსი;
- საკომუნიკაციო პარტნიორებს შორის ინტერაქციული დამოკიდებულების სპეციფიკა;
- კომუნიკაციის მონაწილეთა შესახებ წინასწარ არსებული ცოდნა(პრესკრიპტიცია);
- კომუნიკაციის მედიუმი/არხი [1].

თანამედროვე რეალიებმა, საზოგადოების მრავალმხრივობა და სწრაფმა განვითარებამ და განვითარების გზით მიღებულმა რეზულტატებმა გამოიწვია ის, რომ დარგობრივი ენა ჩამოყალიბდა ამა თუ იმ დარგის შესაბამის დიფერენცირებულ საკომუნიკაციო მოთხოვნათა ინსტრუმენტად. მხოლოდ ამის გათვალისწინებითაა შესაძლებელი ტექსტის სტრუქტურირების პრობლემის კომპლექსური აღქმა.

პრაგმატული კუთხით დანახული დარგობრივი ტექსტების სტრუქტურის კვლევის დამსახურებაა ის, რომ განისაზღვრა სოციალურად განაირობებული გარეენობრივი ფაქტორების გავლენა დარგობრივი ტექსტების მაკროსტრუქტურაზე, რაც თავის მხრივ, განაპირობა დარგობრივი ტექსტების კვლევა ტექსტის ლინგვისტიკის ჭრილში.

დარგობრივი ტექსტები საზოგადოებრივ მეცნიერებებში უმეტესწილად პოლიფუნქციურია, რაც იმაში გამოიხატება, რომ ამ დარგის ტექსტების რეციპიონება გარემო პირობებზეა დამოკიდებული, რადგან ისინი განსხვავებულ საკომუნიკაციო სიტუაციებში განსხვავებულად აღიქმება. რაც უფრო მეტადაა ტექსტის გაცემა დამოკიდებული პრესკრიპტიციაზე, მით უფრო ნაკლებია შანსი მისი დეკოდირებისა.

დარგობრივი ტექსტის პრაგმატულ ჩარჩოებს ქმნის აგრევე სხვა ფაქტორებიც, მაგალითად, შეწყვეტილი კომუნიკაცია. ამ პროცესში გამოიყენება უამრავი ჩარჩო-სიგნალი: კომუნიკაციის შეწყვეტის მიზეზები, ფორმაშაქორული შემთხვევები, სათაური, ასევე დასასრულის მაუწყებელი სიგნალები. ხშირად პრაგმატული სიგნალების გამოყენება დაკავშირებულია განსაზღვრული ტექსტის სახეობებთან, მაგალითად, მორალი და მასთან დაკავშირებული სენტიციები ახლავს მხოლოდ იგავ-არაკებს ანუ ერთი კონკრეტული ტიპის ტექსტს.

დარგობრივი ტექსტის პრაგმატულობის ერთეული მარკერია გაწყვეტილი კოპერენტულობის აღდგენის კომპეტენცია, რაც დამოკიდებულია კომუნიკანტთა ინტერპრეტაციის უნარზე – შედლონ ტექსტიდან ინტერპრეტაციის საფუძველზე ტექსტში იმპლიციტური სემანტიკურ-სინტაქსური კოპერენტულობის აღდგენა. კომუნიკანტები გაწყვეტილ კოპერენტულობას აღადგენენ მათივე

ტექსუალზოციის საშუალებით და ამით უზრუნველყოფების სასურველ საკომუნიკაციო ეფექტს. მაკროსტრუქტურის კვლევის პრაგმატული მეთოდი ტექსტის სტრუქტურირებისას ითვალისწინებს ადამიანის საზოგადოებრივ-ინტელექტუალური მონაცემებისა და ასევე სხვა ექსტერნული ფაქტორების ჩართვას ტექსტის აგების მოდელში. ეს მეთოდი ნათლად გვიჩვენებს ტექსტის კონსტრუირების დინამიკასა და კომპლექსურობას.

მესამე ასპექტი, რომელშიც შესაძლოა გამოვყოით და განვიხილოთ დარგობრივი ტექსტის მაკროსტრუქტურა, ესაა მისი ფუნქცია. ეს ასევები განსხვავდება ტექსტის სტრუქტურის სემანტიკურ და პრაგმატულ ჭრილში კვლევის გან მრავალი თვალსაზრისით [4]. ფუნქციის ჭრილში ტექსტის სეგმენტირება უფრო მასშტაბურ მოვლენად განიხილობა. ამასთან, გასათვალისწინებელია შემდეგი ფაქტორები:

- კონკრეტული (შიგა და გარე) საკომუნიკაციო პირობები;
- ტექსტის ავტორის ინტენცია;
- ტექსტში გადმოსაცემ ენობრივ მიმართვათა ლოგიკა;
- კერბალურ-საკომუნიკაციო ქმედების ენობრივ-შემცნებითი პროცესები.

ასეთი მიღობა განიხილავს ენის სისტემის სხვადასხვა დონის ენობრივი ერთეულების ურთიერთქმედებას კომუნიკაციის პროცესში. ენობრივ-საკომუნიკაციო ქმედების, ენობრივი სისტემის ერთეულების საშუალებით უნდა აიხსნას ურთიერთმიმართება კომუნიკაციის ობიექტს, საკომუნიკაციო თემასა და ტექსტის მაკროსტრუქტურას შორის.

ენობრივი ერთეულების დახმარებით ტექსტის გარე სეგმენტირება ცალკეულ მონაცემთვებად მისი შიგა სტრუქტურიდან გამომდინარებს. ფუნქციური მიღობა მიზნად ისახავს შეისწავლოს საკომუნიკაციო და შემცნებითი პროცესების გავლენა ტექსტის კონსტრუირებაზე. საკითხისადმი ამგვარი მიღობა მოიაზრებს ენისა და აზროვნების ურთიერთმიმართებას და სცილდება ტექსტის ლინგვისტური კვლევის საზღვრებს. ტექსტის სეგმენტირება სხვადასხვა მოცულობის და სპეციფიკური ფუნქციის მქონე ერთეულებად განისაზღვრება როგორც ენობრივი, ასევე შემცნებითი ოპერაციებით. ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს ტექსტები, რომლებიც, კომუნიკაციური სპეციფიკიდან გამომდინარე, გარეგნულად ნაკლებადა სეგმენტირებული. პრაგმატული თვალსაზრისით, ამ შემთხვევაში კოპერენტულ ტექსტებთან გვაქვს საქმე.

დარგობრივი ტექსტების მაკროსტრუქტურის პერსონალური, სტრუქტურულ-ფუნქციური მიღობით უნდა განხორციელდეს, რომელიც ითვალისწინებს როგორც ლექსიკური სემანტიკის, პრაგმატიკის და სოციოლინგვისტიკის, ასევე სტილისტიკის, ტექსტის ლინგვისტიკისა და

დარგობრივი ენების კვლევის ფაქტორებსაც. აქედან გამომდინარე, დარგობრივი ტექსტების მაკროსტრუქტურა განისაზღვრება, როგორც ლინგვისტურ-თანამიმდევრული და ორგანიზებული ფუნქციური სისტემა იმ ურთიერთ-მიმართებებისა, რომლებიც ტექსტის ცალკეულ სეგმენტებს შორისაა. მიმართებათა ეს კომპლექსური სისტემა ტექსტში შეიგა და გარენობრივი ფაქტორების ფუნქციური ურთიერთქმედების სპეციფიკურ შედეგს წარმოადგენს.

ადამიანის აზროვნებას უნარი შესწევს დამუშაოს აღქმული, მიუხედავად იმისა ეს ზოგადია თუ კონკრეტული, არსებითი თუ უმნიშვნელო, საჭირო თუ შემთხვევითი. ამ არადიფერენცირებული მთლიანობიდან ანალიტიკურ-სინთეზური ოპერაციების დახმარებით სუბიექტი გამოყოფს ზოგადს, არსებითს, კანონზომიერს. ადამიანთა ცნობიერებაში ასე წარმოიქმნება ობიექტური რეალობის სურათები.

მაკროსტრუქტურის სტრუქტურულ-ფუნქციური განხილვის ფარგლებში თუ ტექსტის ლინგვისტიკის პრინციპებს გავითვალისწინებოთ, ვნაავთ, რომ ტექსტის შემადგენელი კომპონენტები ტექსტის სეგმენტაციის უმნიშვნელოვანების ერთეულებს წარმოადგენს. ამის წინაპირობას კი ქმნის ის, რომ ტექსტის სეგმენტებს ტექსტში კომუნიკაციური ფუნქცია აქვს. ტექსტის ნაწილებს შემდეგი მარკერები აქვს:

1. სოციალური განზომილება, რომელიც განისაზღვრება ტექსტის პროდუცენტსა და ადრესატს ინტერაქციის პირობებით [5].

2. კომუნიკაციის ობიექტის აზრობრივი სტრუქტურირების პროცესში განსაზღვრულ ინტელექტუალურ ოპერაციათა სრულყოფა (მაგ., კონტრასტული აზროვნება, ინდუქცია, დედუქცია).

3. ტექსტის საკომუნიკაციო ფუნქცია.

4. პრაგმატული მარკირება შემდეგი საშუალებებით:

- ტიპოგრაფიული საშუალებები, სათაურები და ა.შ.

- სტილისტური პოტენციალის გამოყენება ფუნქციად, ფუნქციურ პოტენციალად, რომელიც უკავშირდება ტექსტთა ნიმუშებს და მისგან იწარმოება (მაგ., ესე, სახელმძღვანელო).

5. ტექსტის კომპონენტთა პროპოზიტის სემანტიკური ინტეგრაცია ერთ თემაში/სუბთემაში, რაც გულისხმობს:

- ტექსტის კომპონენტთა სემანტიკური ეპივალენტურობის შედეგების დადგენასა და განსაზღვრას (ტოპიკალიზაცია).

- ერთმანეთთან დაკავშირებულ ტექსტის ნაწილთა/კომპონენტთა სემანტიკურ-სინტაქსური მიმართებების ფიქსირებას (ლინგალურ-სემანტიკური ასპექტი) და/ან ერთმანეთზე დამოკიდებულ ტექსტის ნაწილთა სემანტიკურ-სინტაქსური მიმართებების ფიქსირებას(იერარქიული ასპექტი) [6].

ტექსტის ნაწილები/კომპონენტები სტრუქტურულად და ფუნქციურად დეტერმინირებული კომპონენტებია, რომლებიც მთლიანი ტექსტის ფუნქციასა და სტრუქტურასთან მჭიდრო კავშირშია. ამასთან, ტექსტის ნაწილთა თანამიმდევრობაში მანიფესტირდება კავშირი-მიმართებები კომუნიკაციის პარტნიორთა ამა თუ იმ ინტერაქციასა და ინტენციებთან, კომუნიკაციის პროცესებთან, თემის გამდასა და ენობრივი ერთეულების შერჩევის და გამოყენების ხერხებთან.

### 3. დასკვნა

ამდენად, არსებობს არსებითი განსხვავება ნარატიული და დარგობრივი ტექსტების მაკროსტრუქტურის კვლევის პროცესებს შორის. ეს უკანასკნელი ხორციელდება სამი ასპექტით – სემანტიკური, პრაგმატიული და ფუნქციურ-კომუნიკაციური. ნარატიული ტექსტის მაკროსტრუქტურა ყოველთვის ან უმეტესწილად სემანტიკურ ჰრილში განიხილება, მაშინ, როცა დარგობრივი ტექსტების სტრუქტურულ-ფუნქციური ანალიზისათვის მხოლოდ ლოგიკურ-სემანტიკური ასპექტის შესწავლა საკმარისი არ არის. დარგობრივი ტექსტის სტრუქტურის კვლევა შესაძლებელია ლოგიკურ-სემანტიკური მეთოდის, ტექსტის ფუნქციისა და ტექსტის კომუნიკაციური ანალიზის სინთეზით.

დარგობრივი ტექსტების მაკროსტრუქტურის კვლევა ინტეგრაციული, სტრუქტურულ-ფუნქციური მიდგომით უნდა განხორციელდეს. დარგობრივი ტექსტების მაკროსტრუქტურა განისაზღვრება, როგორც ლინგალურ-თანამიმდევრული და იერარქიულად ორგანიზებული ფუნქციური სისტემა იმ ურთიერთმიმართებებისა, რომლებიც ტექსტის ცალკეულ სეგმენტებს შორის არსებობს.

დარგობრივი ტექსტის არქიტექტონიკური დანაწევრება დამოკიდებულია არა მხოლოდ ტექსტის აზრობრივ გაჯერებაზე, რომელშიც ობიექტური რეალობის გარკვეული ასპექტია ასახული, არამედ აგრეთვე ტექსტის ავტორის საკმანიკაციო ინტენციასა და სტრატეგიაზე.

### ლიტერატურა

1. Baumann, Klaus-Dieter(1987): Die Makrostruktur von Fachtexten – ein Untersuchungsansatz. In: Fachsprache 1-2. Wien. 2-18.S.76-77.
2. AAgrikola, Erhard(1979): Textstruktur, Textanalyse, Informationskern. Leipzig.
3. Morris, C.: Grundlagen der Zeichentheorie. München, (1972).
4. Troebes,Otto: Zum Wechselverhältnis von Textklassen und kommunikationsverfahren. In: Boeck, Wolfgang (Hrsg): Kommunikativfunktionale Sprachbetrachtung als theoretische Grundlage für den Fremdsprachenunterricht. Leipzig, (1981): 137-151.

5. Müske, Eberhard: Repräsentationsformen und Wirkungsfunktion von Informationen über soziale Verhältnisse in einem literarischen Dialogtext. In:Fleischer, Wolfgang (Hrsg): Beiträge zur Erforschung der Deutschen Sprache.Band 4. Leipzig, (1984): 49-77.
6. Schmidt, Wilhelm(Hsg): Funktional-kommunikative Sprachbeschreibung.Leipzig, (1981).

**UDC 091. 5**

## **MACROSTRUCTURE OF BRANCH TEXT AND ASPECTS OF ITS RESEARCH**

**R. Tabukashvili**

Department of foreign languages and communications, Georgian Technical University, 77, Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

**Resume:** There are examined three aspects of the macro graphic examination of branch text - semantic, functional and pragmatic. At the basis of branch text with the description of the objective reality objects lies the concrete intention and its actualization, which determines by the specific character of concrete branch.

During the macro graphic examination of branch texts it is necessary to take into account of that part of communicative situation, in which occurs the demonstration of branch text. The calculation of cognitive and communicative segments is relevant during the production of text in this context.

Semantic means is essential, but not only one method during the structuring of branch text. Pragmatic aspect investigates the macrostructure of branch texts in connection with the situations of public life, and in the functional aspect the segmentation of text is considered as the scale phenomenon and sets as a goal to study the influence of communicative and cognitive processes on the construction of text. Such point of view to a question indicates interrelation between the language and the thought, also their unique manner of reciprocal effect.

**Key words:** branch text; microstructure; coherence; presupposition; polyfunctionality; text components.

**УДК 091. 5**

## **МАКРОСТРУКТУРА ОТРАСЛЕВОГО ТЕКСТА И АСПЕКТЫ ЕЕ ИССЛЕДОВАНИЯ**

**Табукашвили Р.М.**

Департамент иностранных языков и коммуникаций, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава, 77

**Резюме:** Рассмотрены три аспекта исследования макроструктуры отраслевого текста – семантический, функциональный и прагматический. В основе отраслевого текста вместе с описанием предметов объективной реальности лежит конкретная интенция, актуализация которой определяется спецификой конкретной отрасли.

Во время исследования макроструктуры отраслевых текстов необходимо учесть ту коммуникативную ситуацию, в которой происходит манифестиация отраслевого текста. Во время продуцирования текста в этом контексте релевантен учет когнитивных и коммуникативных сегментов.

Семантические средства – это существенный, но не единственный способ во время структурирования отраслевого текста. Прагматический аспект исследует макроструктуру отраслевых текстов в связи с ситуациями общественной жизни, а в функциональном аспекте сегментация текста считается масштабным явлением и ставит цель изучить влияние коммуникативных и когнитивных процессов на конструирование текста. Такой подход к вопросу означает взаимоотношение между языком и мышлением, их своеобразную манеру взаимовлияния.

**Ключевые слова:** отраслевый текст; микроструктура; когерентность; прессупозиция; полифункциональность; компоненты текста.

გილებულია დასაბუქდავ 23.06.10

## შაპ 001. 4

### მითოლოგიზმის სამედიცინო ფარმაციოსის სტაჟი

რ. თაბუკაშვილი\*, ი. ჩიქვინიძე\*\*

უცხოური ენებისა და კომუნიკაციის დაპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, კოსტავას 77

E-mail: [r.tabukashvili@gmail.com](mailto:r.tabukashvili@gmail.com); [chikvinidze@gmail.com](mailto:chikvinidze@gmail.com)

**რეზიუმე:** სამედიცინო ტერმინოლოგიურ სისტემას, როგორც ყოველ ლექსიკურ წარმონაქმნეს, განიხილავენ როგორც სინქრონულ (ანუ მის სტატიკურ მდგომარეობაში), ასევე დიარტონულ (ე.წ. ისტორიული განვითარებისა და ჩამოყალიბების) ჭრილში. ჩვენ შევეცადეთ გაგვერთიანებინა ორივე მიღომა და გვერგნებინა მითოლოგიზმების სიმბოლურობის კავშირი გარე სამყაროს საგანთან თუ მოვლენასთან, რეალურ დენოტატოა, მის წარსულსა და აწმყოსთან. ტერმინთა სემანტიკური მრავალფეროვნება საუკუნეთა მანძილზე დაიხვეწა, დროთა განმავლობაში ერთმნიშვნელოვნება შეიძინა და მეორეულ ნომინაციურ ნიშნებად ტრანსფორმირდა. მითოლოგიზმი სამედიცინო ტერმინოლოგიაში “ძველის შენარჩუნებაა ახალ სამყაროში”. დღესაც წარმატებით გამოიყენება არა მხოლოდ სამედიცინო დარგობრივ კომუნიკაციაში, არამედ ინტერსუბიექტურ-ყოფით სამეტეველო სიტუაციებშიც, კომუნიკაციის ეფექტური მეტყველების ინტენციით.

**საკვანძო სიტყვები:** მითოლოგიზმები; ნომინაციური ნიშნები; დენოტატები; სემიოტიკური სისტემის ელემენტები; რელიებები.

## 1. შესავალი

თანამედროვე მეცნიერების სხვადასხვადარგში მითოლოგიურ ტერმინთა სტატუსი ყოველთვის იწვევდა ლინგვისტთა უდიდეს ინტერესს. მით უფრო, რომ ლექსიკოგრაფიულ გამოცემათა მრავალი ავტორი დღევანდელ რეალობაში ექვემდებარებს მითოლოგიურ სახელთა გამოყენებას. განსაკუთრებით ეს ეხება სამედიცინო დარგს, რომელშიც სენინულ ტერმინთა კვანტიტატიურობა პიკს აღწევს და რომლებსაც პესიმისტი მეცნიერები მხოლოდ ფანტაზიის ნაყოფად და არარეალურის ექსპლიციტებად მიიჩნევს. ისტორიული გარდაქმნების ფონზე მითოლოგიზმები რეალურ დენოტატებს შეერწენ ანუ შეიძინეს მატერიალური დირებულება, უფრო ზუსტად, მითოლოგიზმები გარდაიქმნენ მეორეულ ნომინაციურ ნიშნებად. აქვედან გამომდინარე, ისინი გვევლინებიან საერთაშორისო სამედიცინო ტერმინოლოგიის სემიოტიკური სისტემის ელემენტებად.

## 2. ძირითადი ნაწილი

ლექსიკოგრაფიულ წყაროებზე დაყრდნობით შესაძლებელია სამედიცინო ტერმინთა იმ ტიპის ლექსიონის შედგენა, რომლის საფუძველს ქმნის ბერძნულ-რომაული დმერთების, გმირებისა და სხვადასხვა მითოლოგიურ-ზღაპრული, შეთხული არსებების სახელები.

საუკუნეთა მანძილზე მითოლოგიურ ტერმინთა “ზღაპრულობა” თანხათან გაქრა და ენაში სრულიად განვიტრალდა. ტერმინები: ”პიგიენა”, ”ვენეროლოგია”, ”ფსიქიატრია”, ”მიკროფლორა”, ”ომფალიტი”, ”განატოლოგია” და მრავალი სხვა თანამედროვე მედიცინაში რეალურობასთანაა გაიგივებული. გმირთა და მითოლოგიურ არსებათა სახელები მათი მითიური თუ ეტიმოლოგიური წარმოშობის ნიშნებით, ასევე რეალურ დენოტატებად იქცნებ. ასეთების: ატროპა, აფროდიტე, ვენერა, პელიოსი, პიგია, პიმენი, პინოსი, დიონისე (ბახუსი), მარსი, მერკური, მორფიუსი, ნარცისი, პანაცეა, ნიმფა, ფსიქეა, სატირი, ტანატოსი, ფლორა და მრავალი სხვა.

ბოლო ორი საუკუნის მანძილზე მედიცინის დარგებად ჩამოყალიბდა ფსიქოლოგია, ფსიქიატრია, ფსიქოთერაპია, ფსიქონევროლოგია.

არისტოტელეს დროიდან “ფსიქე” ადამიანის სულიერი ცხოვრების სფეროს განვითარება, თუმცა ფსიქეს მითი მრავალი სამედიცინო სფეროს კუთვნილებაა. საგულისხმოა, რომ ფსიქეს მითს ყოველი ეპოქა სხვადასხვანაირად განმარტავდა და იყენებდა. შეა საუკუნეებში მას აღგვირიული შეფერილობა პქონდა ქრისტიანული ღოქტორინის შესაბამისად – ფსიქეს უძედურებები და შემდგომი აღზევება – არის ადამიანის დაცვისა და მოგვიანებით მისი სულის აღორძინების ზემდებარება.

მედიცინაში ვხვდებით ისეთ ტერმინებს, რომლებიც გარდასულ ეპოქათა კულტურულ რელიებებად შეიძლება განვიხილოთ: მითოლოგიზმები (ანტიკური დროიდან), ბიბლიუზმები (შეა საუკუნეებიდან). აღორძინების ეპოქიდან მათ შემოემატა ასტროლოგიური და ქირომანტიული მასალა. მაგ., სიტყვაში “ლეტარგია” კოდირებულია მიცვალებულთა სამეფოს მითოური მდინარის ლეტეს სახელწოდება, რომლის ერთი ყლუპის მოსმა გარდაცვლილთა სულებს ამქვეყნიურ ცხოვრებას ავიწყებდა – “ლეტეში ჩაიძირა”.

გარდა ადნიშნულისა, ტერმინის სახით გვხვდება აგრეთვე ლიტერატურულ პერსონაჟთა

და ოქალურ მეცნიერთა გვარები. ეს ჯგუფი შეადგენს ე.წ. ეპონიმთა ანუ გვარების ტერმინთა კლასს.

მითოლოგიურ ტერმინთა ვებიმოლოგია ხშირად ემყარება ანატომიასა და პათოგენეზს. მაგ.:

Atlantis - ხერხემლის პირველი მაღალა (ეს ტერმინი უკავშირდება ბერძენ ტიტანს – ატლანტის, რომელსაც ცის თაღი კისრით და მხრებით ეჭირა).

Tendo Achillis - აქილევსის ქუსლი (როგორც ცნობილია, ეს ფრაზეოლოგიზმი ტროას ცნობილი გმირის, აქილევსის ლეგენდას უკავშირდება). აღსანიშნავია, რომ სამედიცინო ტერმინთასტემი ვეცდებით აქილევსის ქუსლთან დაკავშირებულ ფრაზეოლოგიურ სიტყვათშეთანხმებებს: აქილოტომია, აქილოტენიოლასტიკა და მრავალი სხვა.

Corona Veneris - ვენერას გვირგვინი (ანუ შუბლზე სივილიტიკური გამონაცარი).

Caput MMedusae - მედუზას თავი. სამედიცინო ენაზე ნიშნავს ჭიპის არეში მეცლის წინა კედელზე კანკეშა ვენების გაგანიერებას (დაკლაკნილი გველის ფორმის ვენები. მითიურ მედუზას თავზე თმის ნაცვლად დაკლაკნილი გველები ეზრდებოდა).

Morbus Heracleus - ჰერაკლეს დაავადება (ეპილევსია).

მე-20 საუკუნის დასაწყისში მითოლოგიური ტერმინების ახალი ტალღა, რომელმაც სამედიცინო ტერმინოლოგია უახლესი ტერმინებით შეავსო, უკავშირდება ცნობილ ფსიქოანალიტიკოსს ზიგმუნდ ფროიდს. იგი იყენებს ძველბერძენ მწერალთა მითიური გმირების უამრავ სახელს – ოდიპოსი, ანტიგონე, იოკასტე, მედეა, ორესტე, ფედრა, ელემერა და მრავალი სხვა.

Morphius - პაპნისის შვილის, სიზმრის ღმერთის მორფიუსის სახელია, რომელსაც ფრთოსანი მოხუცის სახე ჰქონდა ძველბერძნულ მითოლოგიაში. იგი შემორჩა ნარკოტიკულ და საძილე საშუალებათა დასახელების პრეპარატებს, რომლებიც შეიცავენ მორფიუმს, თუმცა ეს სახელწოდება არ უნდა გავაიგივოთ სხვა ომონიმურ ტერმინოლოგიენტთან, ბერძნულ სიტყვასთან “morphē”, რომელიც “ფორმას” ნიშნავს. აქედანაა მიღებული ლინგვისტური ტერმინი “მორფოლოგია” – მეცნიერება ენის სტრუქტურის, ფორმის, წყობის შესახებ და იდენტური სამედიცინო ტერმინი – მოძღვრება ორგანიზმისა და მისი ნაწილების გარეგანი აგებულების, ფორმის შესახებ.

Atropa Belladonna - მცნარის სახელწოდება და უკავშირდება ბედისწერის ქალღმერთის სახელს. ოლიმპოს რელიგიის თანახმად, ქალღმერთა ატროპამ სიცოცხლის ძაფი გადაჭრა. ამ ტერმინის მსგავსად მრავალი სხვა მითოლოგიზმი, როგორებიცაა არტემიდე, გიაცინტი, იოდა, მინტა, ნარცისი მითოლოგიიდან ბოტანიკაში

გადავიდა და მოგვიანებით ფარმაკოლოგიაშიც დაიმკვიდრა ადგილი.

ოდიპოსის კომპლექსი – ერთ-ერთი იმ მრავალ კომპლექსთაგანი, რომელიც მუდმივად იწვევდა ფსიქოანალიტიკოსთა გაცხოველებულ ინტერესს. ისინი ამ “ოჯახურ სიტუაციას” განიხილავნენ პიროვნების განვითარების ერთერთ აუცილებელ სტადიად. ფროიდი ოდიპოსის კომპლექსს ბავშვთა სექსუალობის კულტმინაციურ წერტილად მიიჩნევდა. ასევე მისი აზრით, ოდიპოსის კომპლექსი ყოველგვარი ნეგროზისა და ფსიქიკური გადახრების წყაროა.

მედეას კომპლექსი - ფსიქოანალიტიკოსთა კვლევის საგანი, გულისხმობის შვილების მოკვდინებით მოღალატე ქმრისთვის სამაგიეროს გადახდას.

ფსიქოანალიზი - მეცნიერება ადამიანის სულიერი თუ ფიზიკური მდგომარეობის შესახებ, დღემდე უხვად იყენებს მითოლოგიურ ტერმინთა არსენალს – ნარცისიზმი, პიგმალიონიზმი, ვენეროფობია, ნიმფომანია და სხვა.

მითოლოგიზმებს სამედიცინო მეცნიერების გარდა, ვხვდებით სხვადასხვა საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში. მაგ., ქიმიურ ელემენტთა დასახელებები – ტანტალი, ტიტანი, პალადიუმი, პლუტონიუმი, ურანი და სხვ. მათ საფუძველზე დროთა განმავლობაში წარმოიშვა ასტრონომიული ტერმინები – პლუტონი, ურანი და ა.შ.

### 3. დასკვნა

სამეცნიერო ტერმინის ერთმნიშვნელობა და ზუსტი შესატყვისობა საგანთან სამედიცინო ტერმინთა მარკერებია. ასეთ ტერმინებს არ აქვს ექსპრესია, სტილისტური შეფერილობა, კონტაკიები, ასოციაციები თუ სხვა მახასიათებელი ნიშნები, რომლებიც მხატვრულ სიტყვას ახასიათებს. ეს არის მითოლოგიზმთა ნეიტრალური დესკრიფცია, რომელიც იდეალური ტერმინის სახეა. მითოლოგიზმები მეორეული ნომინაციური ნიშნებია, რომლებიც რეალურ დენოტატებს შეერწყა და, შესაბამისად, შეიძინა მატერიალური დირებულება. გარდა სამედიცინო დარგებისა, სახეზეა ასევე მითოლოგიზმთა შეღწვევა სხვა სამეცნიერო მიმართულებებშიც. მიუხედავად მითოლოგიზმთა ერთმნიშვნელობისა და მისი წმინდა ნომინაციური დირებულებისა, ისინი გამოიყენება სამეცნიერო სიტუაციებშიც – დარგობრივ და ყოფით კომუნიკაციებში.

### ლიტერატურა

1. Флоренский П.А. Термин // Вопросы языкоznания, № 1. Москва, 1989.
2. Josef Girtl. Onomatologia anatomika. Geschichte und Kritik der anatomischen Sprache der Gegenwart. Wien, 1880.

UDC 001.4

**MYTHOLOGISM IN MEDICAL TERMINOLOGY****R. Tabukashvili, I. Chikvinidze**

Department of foreign languages and communications, Georgian Technical University, 77, Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

**Resume:** Medical terminology is considered in two aspects – syncronic and diachronic (it deals with its historical and static formation). We tried to unite these two kinds to approach to the aspects and we would like to introduce the link of symbolic features of mythologisms with subjects and phenomena of real world, present and past meanings of denotats, polysemy of the terms has been formed for centuries and finally has transformed as nominative signs.

The terms are widely used, even today, not only in medical science, but also in effective communication.

**Key words:** mythologism; nominative signs; denotations; elements of semiotic systems; relicts.

**УДК 001.4****МИФОЛОГИЗМЫ В МЕДИЦИНСКОЙ ТЕРМИНОСИСТЕМЕ****Табукашвили Р.М., Чиквинидзе И.Г.**

Департамент иностранных языков и коммуникаций, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава, 77

**Резюме:** Медицинскую терминологическую систему, так же как и всякую лексическую единицу, рассматривают как в синхронном (т.е. в ее статическом положении), так и в диахронном (т.е. в историческом развитии и формировании) аспекте. Мы постарались воссоединить эти два подхода и показать союз символичности мифологизмов с предметом или явлением внешнего мира, с реальным денотатом, с ее прошлым и настоящим. Семантические многозначности терминов шлифовались веками, постепенно стали однозначными и трансформировались как вторичные номинативные знаки. Они и по сей день пользуются успехом не только в отраслевой коммуникации, но и в интерсубъективно-речевых ситуациях с интенцией эффективной речи коммуниканта.

**Ключевые слова:** мифологизмы; номинативные знаки; денотаты; элементы семиотической системы; реликты.

*მიღებულია დასაბუქდად 23.06.10*

**უაგ 341**

დემოკრატიული სახელმწიფო, მისი ინსტიტუციონალიზაციისა და ფარმაცეტულობის სისტემური კვლევა

გ. გორგაძე

საზოგადოებრივი მეცნიერებების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,  
საქართველო, 0175, თბილისი, კოსტავას 77

E-mail: giorgigorgadze@mail.ru

**რეზიუმე:** ნაშრომი მოიცავს თანამედროვე სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა და ახალი ტიპის (საზოგადოებრივი) ერთობების ფორმირების პროცესს, ამ პროცესისათვის დამახასიათებელ ძლიერ ფორმირებას ტერიტორიულ საზღვრებზე, სახელმწიფოსა და საზო-

რიტორიული სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა და ახალი ტიპის (საზოგადოებრივი) ერთობების ფორმირების პროცესს, ამ პროცესისათვის დამახასიათებელ ძლიერ ფორმირებას ტერიტორიულ საზღვრებზე, სახელმწიფოსა და საზო-

გადოებას შორის ახლებური ურთიერთობის განვითარებას (საბოლოოდ სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას) პოლიტიკური პროცესების პარალელურ, თანამდევ წრანს გორმაციას და თანამედროვე საბაზო ეკონომიკის ჩამოყალიბებას, ინსტიტუციური გარდაქმნების განხორციელებას პოლიტიკური და სამხედრო ურთიერთქმედების პირობებში.

**საკვანძო სიტყვები:** აქტორთა რაციონალური სტრატეგიები; კლიენტების საყოველოთაო კორუცია; აქტორთა კარტელები; ფორმალური და არაფორმალური; პოლიტიკურ-სოციალური ინსტიტუტები; ფორმალური ინსტიტუტი.

## 1. შესავალი

არაფორმალური წესრიგის დამკვიდრება პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში შესაძლებელია საპარლამენტო სისტემაშიც. ისიც ნათელია, რომ არაფორმალური ინსტიტუტებისა და არალიბერალური წესრიგის წარმოშობისა და დამკვიდრების შანსი საპრეზიდენტო სისტემებში მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ვითარებაზე პოლიტიკური სისტემის სხვა ნაწილებში.

ფორმალური ინსტიტუციური თვალსაზრისით, არსებობს ხელისუფლების ცვლილების მხოლოდ ერთი გზა – საყოველოთაო არჩევნები, მაგრამ საქართველოში, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ხელისუფლება იცვლება არაფორმალური წესების (ინსტიტუტების) – რევოლუციის, აჯანყების მეშვეობით და არჩევნები მხოლოდ ფორმალურ, არაგანმსაზღვრელ მხარეს წარმოადგენს.

## 2. ძირითადი ნაწილი

თანამედროვეობის პროგრამა ეფუძნება უკვე არსებულ ინტელექტუალურ ტრადიციას და საზოგადოებრივ გარდაქმნათა გამოცდილებას ანტიკური პოლიტიკური თეორიების რესპექტურული წარმოდგენამდე (აღორძინებისა და რეფორმაციის ეპოქის), რომელიც თავის თავში მოიცავდა რეფორმაციის პერიოდში ჩამოყალიბებულ ხელშეკრულებით კონცეფციებს. ამ იდეოლოგიური პროგრამის მეორე უმნიშვნელოვანესი კომპონენტი მმართველთა პასუხისმგებლობის (ანგარიშვალდებულების) იდეიდან მოდის უზენაესი კანონის წინაშე – ზეციური მანდატი. მსგავსი წესი ლეგიტიმაციისა დამახასიათებელი იყო თითქმის ყველა ძირითადი ცივილიზაციისათვის, მათ შორის ეკონომიკისთვისაც. კიდევ ერთი, უადრესად მნიშვნელოვანი კომპონენტი იყო აქცენტი ინდივიდის ავტონომიურობაზე და მასთან დაკავშირებული კერძო ინტერესების დაგენერიმაცია. ასევე, უადრესად მნიშვნელოვანი, უტრაქციური კომპონენტი (ესქატოლოგიური), რაც გულისხმობდა იდეალური საზოგადოებრივი მო-

წყობის (წესრიგის) ძიებას, რაც ძირითად ცივილიზაციათა ტრადიციებში პოულობდა საწყის საფუძვლებს. უმნიშვნელოვანეს კომპონენტად იქცა (ჩამოყალიბდა) წარმომადგენლობის ტრადიცია და წარმომადგენლობის ინსტიტუტები, რომლებიც ყალიბდება უკვე შეუაუკუნების ეკონომიკის. ამგვარი ინსტიტუტები სათავეს იდებს სხვადასხვა საკრებულოში, პარლამენტში და წოდებრივ კრებებში, რომელთა დიდი ნაწილი, თავის მხრივ, ეკონომიკოდა ტომთა საბჭოების რეების.

თანამედროვე კონსტიტუციური სახელმწიფო და ინსტიტუტები. არალიბერალურ დემოკრატიკული კონსტიტუციის სამართლებრივი ნორმების ღია დარღვევა და პრეროგატივების (ძალაუფლების რესურსების) საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებიდან მუდმივი გადახრა აღმასრულებელი ხელისუფლების სასამართლოდ არაფორმალური ინსტიტუტების დომინირების შედეგია, მათი როლის ზრდისა ფორმალურ ინსტიტუტებთან შედარებით. თავად ამ როლის ზრდა არის არა პირდაპირი შედეგი ავტოკრატიული მემკვიდრეობისა (როგორც ეს ხშირად წარმოგვიდგენია), არამედ ამგვარი ვითარება წარმოიქმნება ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური კრიზისების დროს, როდესაც აქტორები იძულებული არიან იმოქმედონ მაღალი ეკონომიკური და პოლიტიკური განუსაზღვრელობის პირობებში. ამ დროს არაფორმალური წესები აქტორებს შესაძლებლობას აძლევს დასწოონ არაპროგნოზირებადი აქციების ხარჯები. როდესაც არ არის ნათელი, რამდენად შედეგიანია (ეფექტურია) ახალი დემოკრატიული და კონსტიტუციურ-სამართლებრივი ინსტიტუტები, განსაკუთრებით ძლიერდება სტიმულები არაფორმალური წესების შექმნისათვის, ხოლო დანახარჯები მოქმედებაზე, რომელიც არღვევს (ანგრევს) სამართლებრივ და საკონსტიტუციო სახელმწიფოს ნორმებს განსაკუთრებით დაბალია.

ზემოთ აღნიშნულის ნათელი მაგალითია 2008 წლის აგვისტოს მოვლენები (პროგოცირებული რესეტ-საქართველოს ომი) და შემდგომ განვითარებული პოლიტიკურ-ეკონომიკური პროცესები, რამაც გამოიწვია ფორმალური ინსტიტუტების ჩარჩოების გარეთ “პარალელური ინსტიტუტები”, ხოლო მათ შიგნით არაფორმალური ქმედებები ფორმალური ინსტიტუტების ჩარჩოებში, რამაც აქტორებს შესაძლებლობა მისცა არაფორმალური წესრიგის და ფორმალური დემოკრატიული ინსტიტუტების (დემოკრატიული ლეგიტიმურობის) სარგებლობის კომბინირება მოეხდინათ. საბოლოო ჯამში დაძაბულობაში ფორმალურ და არაფორმალურ ინსტიტუტებს შორის ისეთ დონეს მიაღწია, რომ წარმოიქმნა ახალი უკმაყოფილების ტალღა ხელისუფლების მიმართ (რომელიც 9 აპრილის შემდგომ რადიკალურად გაგრძელდა).

სახელმწიფო ინსტიტუტები უზრუნველყოფს ფორმალური წესების დაცვას დარწმუნების (იდეალში), მუქარისა (მოლოდინის) და სანქციების (დასჯის) მეშვეობით. **ფორმალური ინსტიტუტები** იქნება, იცვლება და ინერგება გარედან ძალისხმევით, ხოლო **არაფორმალური ინსტიტუტები** სოციალური ურთიერთქმედების თვითორგანიზებადი დინამიკის საფუძველზე. ფორმალური ინსტიტუტები ატარებს (მისისწრაფვის მაინც) საყოველთაო უნივერსალურ ხასიათს, არაფორმალური კი პარტიულარისტულს (მისისწრაფვის მაინც). გადაწყვეტილებათა მიღების ფორმალური პროცესები მიმდინარეობს ბიუროკრატიულ ინსტანციებში და დადგენილი პროცედურების მიხედვით. არაფორმალური ინსტიტუტები და პროცესები გადაინაცვლება ამ ინსტიტუტებიდან პარალელურ სტრუქტურებში და მიმდინარეობს მონაწილე აქტორთა შორის „მოლაპარაკებათა სისტემის (წესრიგის)“ სახით.

საკანო (მირული) განსხვავება ლიბერალურ „უფლებურად ფუნქციონირებად“ და არალიბერალურ დემოკრატიებს შორის დაკავშირებულია არა მათში ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტების არსებობასთან (ისინი არსებობენ ორივე ტიპის სახელმწიფოში – საზოგადოებებში), არამედ იმასთან, თუ როგორ, რა წესით და ფორმით შეესრდება არაფორმალური ინსტიტუტები ფორმალურებს.

ინსტიტუტების (ფორმალური და არაფორმალური) ორივე ფორმა ავსებს ერთმანეთს იმ აზრით, რომ ფორმალური ინსტიტუტები დამოკიდებულია არაფორმალური ინსტიტუტების დამატებით მხარდაჭერაზე. ეს ანიჭებს ფორმალურ ინსტიტუტებს მოქნილობას და ელასტიკურობას და შესაძლებლობას აძლევს მიესადაგოს საზოგადოებრივი და პროლიტიკური პროცესების მოხსოვნებს. წესების ინტერპრეტირების და მოლაპარაკებათა პროცესის ამგვარი დეფორმალიზაცია დემოკრატიულ სახელმწიფოს არ აძლევს ლიბერალურ კონსტიტუციურ-სამართლებრივ შინაარსს, ვიდრე კომპეტენტური და კონსტიტუციურ-სამართლებრივი ფორმით (წესით) დეგიტიმირებული ორგანოები არ მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას.

არალიბერალურ (არასამართლებრივ-დეფექტურ) დემოკრატიულ სახელმწიფოში არაფორმალური წესები და პატერნები ანუ ნიმუშები არდვევს (ანგრევს) და ზღუდავს ფორმალური, დემოკრატიულად (და სამართლებრივად) დეგიტიმირებული ფორმალური ინსტიტუტების ფუნქციონირების წესრიგს, არდვევს ფორმალურ ინსტიტუტთა ფუნქციურ კოდებს, ამასინჯებს და განთხესავს, როგორც მაღალი ან დაბალი მნიშვნელობის მქონე გადაწყვეტილებათა მიღების პროცედურებსა და პრაქტიკებს. არაფორმალური ინსტიტუტები შეადგევს ფორმალურ ინსტიტუტთა გარსში და ავსებს თავისი ფუნქციური დოკუმენტების შესაბამისად.

ამ შემთხვევაში გადაწყვეტილებათა მიღების დონეზე დემოკრატია (დემოკრატიული სახელმწიფო) ფუნქციონირებს არაფორმალური და არალიბეტიმირებული ინსტიტუტების და წესების შესაბამისად, რომლებიც წინააღმდეგობაში მოდის სამართლებრივი „დემოკრატიული“ სახელმწიფოს პრინციპებთან. ფორმალური წესების არაფორმალურით შეცვლა შეიძლება განხორციელდეს როგორც ზემოდან, ისე ქვემოდან.

პრაქტიკაში არაფორმალური შეზღუდვები (წესები) ზემოდან ხშირად „შეერევა“ არაფორმალურ შეზღუდვებს (წესებს) ქვემოდან და პირიქით. ეს ორმხრივი პროცესია, როდესაც ერთი მიმართულება მეორეს „კვებავს“, ახდენს მის სტიმულირებას. ამგვარი „შერევა-ათქვეფის“ შედეგი შეიძლება იყოს ისეთი სახელმწიფო (დეფექტური დემოკრატია), რომელშიც პოლიტიკური ელიტის სეგმენტები თანაარსებობენ საზოგადოების სეგმენტებთან არაფორმალური, მაგრამ სტაბილური (შეიძლება კონსოლიდირებული) სიმბოლურ-კლიენტერისტული კავშირების მეშვეობით. ამ ვითარებაში კონსტიტუციურად განსაზღვრული წარმომადგენლობის მექანიზმები ზიანდება და ნაწილობრივ ან დროებით ძალას კარგავს (თუმცა ფორმალურად არსებობს). პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღების დეფორმალიზაციამ საქართველო სუვერენიტეტის დაკარგვის საფრთხის ქვეშ დააყენა. 1990-იან წლებში დაკარგულ ტერიტორიებს, ცნობილი აგვისტოს მოვლენების შედეგად, მიემატა მისი ერთი მეხუთედი ნაწილი (დროებით).

არალიბერალური კავშირშია არაფორმალურთან. მედისონისა და ჰამილტონის შეხედულებების საწინააღმდეგოდ, თანამედროვე სამყაროში დემოკრატიის თვითორდევება (თვითგანადგურება) დაკავშირებულია არა უპირატესად პარლამენტობან, არამედ მისი (პარლამენტის) ძალაუფლებისგან ჩამოშორებასთან პოპულისტური და კვაზიპალებიცისტური ლეგიტიმირებული პრეზიდენტების მიერ. მმართველობის საპრეზიდენტო სისტემები არაკონსოლიდირებულ დემოკრატიულ სახელმწიფოებში ახდენს კონფლიქტის პროგრიტებას პარლამენტსა და პრეზიდენტის აღმასრულებელ სელისუფლებას შორის. კრიზისულ ვითარებაში პრეზიდენტს ენიჭება საგანგებო პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილება. ეს უფლება შეიძლება გამოყენებულ იქნეს კონსტიტუციის არსის საწინააღმდეგოდ. პრეზიდენტი მართვას იწყებს ბრძანებულებების მეშვეობით. მას შესაძლებლობა ეძლევა გვერდი აუაროს (ნაწილობრივ მაინც) სელისუფლების კონკურენტულ და მაკონტროლებების შტოებს სწორედ ამ პრანებულებათა (დეკრეტების) მეშვეობით. ამ ვითარებაში აღმასრულებელ სელისუფლება თავისეკენ გადაქავს მნიშვნელოვან საკანონმდებლო უფლებამოსილებებს. გადაწყვეტილებათა მიღების პოლიტიკური პროცესი გაუმჯორი ხდება და

ფორმალური ინსტიტუტებიდან არაფორმალურ ჯგუფებში გადადის (გადაეცემა).

სხვა პოლიტიკურ აქტორთა გამორიცხვა და სახელისუფლებო უფლებამოსილებათა მთელი მოცულობის გამოყენება წარმოშობს “ზეპოლიტიკურ” და “ზეპარტიულ” მმართველობის სტილს, როდესაც პოლიტიკური გადაწყვეტილებები მიიღება და ხორციელდება არა პარლამენტთან და პარტიებთან ერთად, არამედ მათ საწინააღმდეგოდ. იქმნება არაკონსტიტუციური “კაბინეტები” და “ოჯახები”, მაგრა ე შევარდნადის დროინდელი საქართველო, ელცინის რესეტი, მენეჯმის არგენტინა და სხვა. ამას ხშირად მივყავართ ძალაუფლების “ბოროტად” გამოყენებისკენ და განხორციელებული პოლიტიკური “რეფორმები” რეალურად მიმართულია არა პოლიტიკური სისტემის გაუმჯობესების, არამედ ძალაუფლების განმტკიცებისკენ, ადმასრულებელი ხელისუფლების გაძლიერებისკენ და სხვა პოლიტიკური აქტორებისა და ინსტიტუტების (მათ შორის პარლამენტის) მიზანმიმართული ნეიტრალიზაციისკენ. ასეთი წესით მიღებული გადაწყვეტილებები არ რეალიზდება (ან მხოლოდ მცირე ნაწილი რეალიზდება), რადგან წინააღმდეგობას ხვდება სახელმწიფო და „გონიმიკური“ ბიუროკრატიის მხრიდან ან არ მიიღება საზოგადოებისა და ეკონომიკის მიერ. ამდენად, უაღრესად იზრდება არაფორმალური ინსტიტუტების როლი.

არაფორმალური ინსტიტუტების დამკიდრებისა და დომინირების სხვა გზაა ელიტური ჯგუფების კლიენტერისტული სტრუქტურების „ჩართვა“ (ჩაწერა, ჩაშენება) მთავრობის, სასამართლოსა და პარლამენტის ფორმალურ ინსტიტუტებში. შედეგად კონსტიტუციურად ლეგიტიმირებული ინსტიტუტები იზრდება („იქცევა“, „ხდება“) ინდივიდთა ან ელიტურ ჯგუფთა (კარტელთა) სარგებლის მაქსიმზაციაზე ორიენტირებული სტრატეგიით ან სრულად კარგავს ძალს. ასეთ ვითარებაში პოლიტიკური ლიდერები თავისუფლდებიან (თავს აღწევენ) დამოკრატიული და კონსტიტუციურ-სამართლებრივი კონტროლისაგან.

თუმცა, არაფორმალური პრაქტიკების შეღწევამ ფორმალურ სამართლებრივ ინსტიტუტებში შესაძლოა პოლიტიკურ სისტემას მიანიჭოს ფარდობითი სტაბილურობა, მაგრამ მისი განმტკიცება (ძლიერად კონსოლიდირება) პრობლემატურია. სტაბილურობა დამოკიდებულია, უპირველეს ყოვლისა, აქტორთა და მათ სტრატეგიათა სკეციფიკურ კონფიგურაციაზე. აღწერილ ვითარებაში ეს კონფიგურაცია ექვემდებარება ხშირ ცვლილებებს, რადგან არ არის ჩამოყალიბებული (დაღენილი) ფორმალური ინსტიტუტების სახით (გრძელვადიანი ტრადიციებით). შეა და გრძელვადიან პერსპექტივაში არაფორმალური ინსტიტუტების სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნება ხეგატიურად მოქმედებს

სისტემის კონსოლიდაციასა და რეფორმატორულ უნარზე. ამ ვითარებაში ლიბერალურ კონსტიტუციურ-სამართლებრივი და დემოკრატიული ინსტიტუტების და პროცედურების მიმართულებით განვითარების პერსპექტივას უჩნდება სხვა, ბევრად უფრო ძლიერი ალტერნატივები.

1991 წლის 26 მაისს ჩატარდა საქართველოს რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის არჩევნები (წინ უძღვდა 1989 წლის 9 აპრილის მოვლენები), რომლის დროსაც ამომრჩეველთა თითქმის 90%-მა ხმა ზვიად გამსახურდის მისცა.

**სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების შედეგად (1991–1992 წლები)** ძალისმიერი გზით დამხობილ იქნა საყოველთაო, მრავალპარტიული, დემოკრატიული არჩევნების შედეგად არჩეული საქართველოს პირველი პარლამენტი, საქართველოს უზენაესი საბჭო და საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია. სახლმწიფოს მართვა თავის თავზე აიღო სამხედრო საბჭომ, რომელიც 1992 წლის 5 მარტს, ედუარდ შევარდნაძის საქართველოში დაბრუნების შემდეგ, საქართველოს სახელმწიფო საბჭოთ შეიცვალა. ლეგიტიმურობის აღსადგენად 1992 წლის 11 ოქტომბერს მმართველ ორგანოდ არჩეულ იქნა ახალი პარლამენტი და სახელმწიფოს მეთაური, ხოლო 1995 წლის 5 ნოემბერს საქართველოს პრეზიდენტი.

არჩევნები, რომელიც ჩატარებულ იქნა სახლმწიფოებრიობის აღდგენის შემდგომ პარადოქსულია თავისი წინააღმდეგობრივი ხასიათით. თუ პირველ საპარლამენტო არჩევნებში ხმების მაქსიმალური უმრავლესობა მოიპოვა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“, შემდგომ არჩევნებში ამომრჩეველთა დიდმა უმრავლესობამ ხმა მისცა სრულიად სხვა პოლიტიკურ პლატფორმაზე მდგარ ძალას – ჯერ პოლიტიკურ ბლოკ „მშვიდობას“, შემდეგ „მოქადაქეთა კავშირს“. თუ საქართველოს პირველ საპრეზიდენტო არჩევნებში ბატონ ზ. გამსახურდის ხმა მისცა ელექტორატის თითქმის 90%, 7%-ით ნაკლები ხმა მიიღო მეორე საპრეზიდენტო არჩევნებში ე. შევარდნაძემ, რომელიც მოსახლეობაში აღიქმებოდა, როგორც საქართველოს პირველი პრეზიდენტის დამხობის ერთეული, უმთავრესი ინიციატორი. უტილიტარული, ბიპევიორისტული ტენდენციების და ვიწროდ გაგებული ირაციონალური არჩევნების ჩატარების მცდელობამ „ვარდების რევოლუციის“ სახით გააუქმა 2003 წლის ნოემბრის საპარლამენტო არჩევნები და დღის წესრიგში დადგა ახალი საპარლამენტო არჩევნების ჩატარების აუცილებლობა, რომელიც ნაციონალური მოძრაობის გამარჯვებით დასრულდა. საპრეზიდენტო არჩევნებში ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით მიხედვილ საკაშვილმა გაიმარჯვა.

### 3. დასკვნა

სახელმწიფო მართვის სისტემაში 2008 წელს (5 იანვარი, 21 მაისი) დაშვებულმა შეცდომებმა დღის წესრიგში კვლავ დააყენა ვადამდევლი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების ჩატარების აუცილებლობა. საპარლამენტო არჩევნების დროს არ იქნა გათვალისწინებული ძირითადი მოთხოვნა ცენტრალურ საარჩევნო და საოლქო კომისიებში პარიტეტული გზით წევრთა დაკომპლექტების შესახებ. უმცირესობის სახით პარლამენტში შევიდა გ. თარგამაძე – ქრისტიან-დემოკრატები 6 მანდატით და პარტიული სიით გასული: გ. თორთლაძე, გ. ცაგა-

რეიშვილი (აპრილის მოვლენების დროს ფრაქცია დატოვა) ნ. ერგემლიძე და ჯ. ბადათურია.

### ლიტერატურა

1. პოლიტიკური მიმოხილვების კრებული. 1998–2002წწ.
2. საარჩევნო სისტემის სრულყოფის გზები ევროპულ სახელმწიფოებში. 2000 წ.
3. ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტები და მათი როლი დემოკრატიულ არჩევნებში. 1990–1992 წწ.
4. გ. შებითიძე. დემოკრატიული არჩევნები და საარჩევნო პიარკამპანიები. 2002 წ.

**UDC 341**

## DEMOCRATIC STATE, SYSTEMIC RESEARCH OF ITS INSTITUTIONALIZATION AND REPRESENTATION

**g. giorgadze**

Social science department, Georgian Technical University, 77, Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

**Resume:** The paper incorporates institutional evolution (political regimes) of the modern state (among them constitutional democratic), describes state's territorial creation in Europe and formation of new type of (social) entities, makes strong focus on territorial borders typical for this process, development of new relations between state and society (eventually formation of civil society), parallel and consecutive transformation of political processes and creation of modern market economy, implementation of institutional conversion, under the conditions of political and military interactions.

**Key words:** the rational strategies of actors; clientelism; general corruption; actor cartels; formal and informal; political-social institutes; formal institute.

**УДК 341**

## ДЕМОКРАТИЧЕСКОЕ ГОСУДАРСТВО, СИСТЕМНОЕ ИССЛЕДОВАНИЕ ЕГО ИНСТИТУЦИОНАЛИЗАЦИИ И ПРЕДСТАВЛЕНИЯ

**Гиоргадзе Г. П.**

Департамент общественных наук, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава, 77

**Резюме:** Бумага включает установленное развитие (политические режимы) современного государства (среди них конституционный демократический), описывает территориальное создание государства в Европе и формирование нового типа (социальных) юридических лиц, делает сильный центр на территориальных границах типичным для этого процесса, развития новых отношений между государством и обществом (в конечном счете формирование гражданского общества), параллельное и последовательное преобразование политических процессов и создание современной рыночной экономики, выполнение установленного преобразования, при условиях политических и военных взаимодействий.

**Ключевые слова:** рациональные стратегии актеров; Клиентеризм; общая коррупция; картели актера; формальные и неофициальные; политико-социальные институты; формальный институт.

მიღებულია დასაბუქდად 07.10.10

## შაპ 341

**საარჩევნო სისტემის სამართლებრივი დემოკრატიული განვითარების ხარისხის  
ბაზლენა ელექტორატზე**

### გ. გიორგაძე

საზოგადოებრივი მეცნიერებების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,  
საქართველო, 0175, თბილისი, კოსტავას 77

E-mail: giorgigorgadze@mail.ru

**რეზიუმე:** ნაშრომი მოიცავს 1966 წელს მიღებულ “სამოქალაქო და პოლიტიკური საშუალებების საერთაშორისო პაქტი”, რომელიც მსოფლიოს ყოველი მოქალაქის უფლებად აცხადებს “აირჩიოს და არჩეულ იქნეს პერიოდულად მოწყობილ არჩევნებში.” 1990 წლის იქნის კონკრეტული არჩევნების ეროვნული მნიშვნელოვან დოკუმენტში საუბარია იმაზე, რომ “პერიოდულად მოწყობილი თავისუფალი და პატიოსანი არჩევნების დროს გამოხატული ხალხის ნება არის ნებისმიერი ხელისუფლების კანონიერების საფუძველი” [14 – (23-27)]. ამავე დოკუმენტზე ხელმომწერმა სახელმწიფო მინისტრმა განაცხადეს: იმისათვის, რომ ხალხის ნება ხელისუფლების საფუძველს წარმოადგენდეს, ისინი ვალდებულებას კისრულობენ და მოუწოდებენ საარჩევნო სისტემის შეინიჭებული ძირითადი პრინციპის განუხელად განხორციელებას.

**საკვანძო სიტყვები:** თეორიულ-იურიდიული საფუძველი; პრაქტიკულ-ორგანიზაციული საფუძველი; აქტიური საარჩევნო უფლება; პასიური საარჩევნო უფლება.

### 1. შესავალი

დემოკრატიული სახელმწიფოს საარჩევნო კანონმდებლობის საფუძვლები, რომელიც სხვადასხვა დროს საერთაშორისო კონფერენციებსა და კონგრესებზე ჩამოყალიბებული ფუძემდებლური დებულებებითაა გამჟარებული, ასევე სახელმწიფო, რომელიც თავს დემოკრატიულ ქვეყნად მიიჩნევს ან პრეტენზია აქვს დემოკრატიაზე, ვალდებულია დაემყაროს საერთაშორისო სამართლის იმ პრინციპება და ნორმებს, რომელიც ჩამოყალიბებულია შესაბამის დოკუმენტში. პირველი, სადაც საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად ადამიანის საარჩევნო უფლებაა დაფიქსირებული, არის ადამიანის უფლებათა საყოველოთა დეკლარაცია, რომელიც გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 1948 წლის 10 დეკემბერს დაამტკიცა. სადაც ნათქვამია, რომ “ყოველ ადამიანს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს ქვეყნის მართვაში უშუალოდ ან თავისი წარმომადგენლის თავისუფალი არჩევის გზით. ხალხის ნება ამ ქვეყნაში ხელი-

სუფლების საფუძველია. ეს ნება გამოიხატება პერიოდულად მოწყობილ არაფალსიფიცირებულ არჩევნებში, რომელიც უნდა ჩატარდეს თავისუფალი და საყოველოთაო საარჩევნო უფლების გამოყენებით, ფარული (დახურული) კენჭისყრით” [13. 35 (4. 3-4)].

### 2. ძირითადი ნაწილი

1994 წლის 26 მარტს საპარლამენტო შორისო კავშირმა მიიღო დეკლარაცია თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების კრიტერიუმების შესახებ. მასში დაფიქსირებულია ადრე მიღებული დოკუმენტების სისტორე და განსაზღვრულია სახელმწიფოთა მოვალეობები არჩევნების სამართლიანად ჩატარების უზრუნველსაყოფად. კერძოდ: 1. უზრუნველყოს ამომრჩეველთა აღრიცხვისა და რეგისტრაციის შეუფერხებელი არადისკრიმინალური პროცედურა; 2. ყოველმხრივ შეუწყოს ხელი პოლიტიკური პარტიების შექმნას და საქმიანობას. შეძლებისდაგვარად დააფინანსოს არჩევნებთან დაკავშირებული ხარჯები, უზრუნველყოს პარტიების სახელმწიფოსან განცალევება; 3. უზრუნველყოს საარჩევნო პროცედურისა და არჩევნების წესის გაცნობა მოსახლეობის ფართო ნაწილისათვის; 4. უზრუნველყოს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე შეკრებებისა და შეხედრების, საკუთარი პროგრამების განხილვის თავისუფლება; 5. შექმნას ისეთი პირობები, რომ კენჭისყრის დროს გამოირიცხოს გაყალბება, ამომრჩეველთა მოსყიდვა, დაშინება, დაშანტაჟება და სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედება; 6. დაიცვას უსაფრთხოება კენჭისყრის პროცესში და უზრუნველყოს არჩევნების შედეგების მიუკერძოებელი დაანგარიშება; 7. ადამიანის უფლებათა და საარჩევნო პროცესის დარღვევის ყველა შემთხვევაზე მოახდინოს სწრაფი და ეფექტური რეაგირება [8-13-18].

ზემოაღნიშნულმა დებულებებმა “ფორმალური” ასახვა პოვა ქართულ კონსტიტუციასა და საარჩევნო კანონმდებლობაში. ქართულ სინამდვილეში არჩევნები ვერ იქცა ხალხის ნების ობიექტურ გამომხატველად და ამას “მხოლოდ” საარჩევნო კანონმდებლობას, დაბალ პოლიტიკურ კულტურასა თუ პოსტსაბჭოური ერთპარტიული აზროვნების გადმონაშოს ვერ დავაბრალებთ. აღმასრულებელი ხელისუფლება აკონტროლებს ნაციონალურ პარტიულ სისტემას კარგად ორგანიზებული მმართველი (სა-

პრეზიდენტი) პარტიის მეშვეობით. ამავე დროს, ასეთი პარტია მასთან დაკავშირებული დაინტერესებული ჯგუფების მეშვეობით ნაციონალური მასშტაბით ახდენს ასოციაციათა (სხვადასხვა ტიპის ვიწრო ან შედარებით ფართო ინტერესთა ჯგუფების) კოლონიზირებას და უწევს მფარველობას. ამ შემთხვევაში შეიძლება არ შეიქმნას ვაკუუმი (თუმცა უმეტესწილად ეს ასოციაციები საზოგადოების უაღრესად მცირე ჯგუფების ინტერესებს გამოხატავს), მაგრამ სახელმწიფო ახდენს მას (სახელმწიფოს) და საზოგადოებას შორის არსებული სივრცის ოკუპირებას მანიპულაციით და სხვა საშუალებებით. აღნიშნული მოდელირების დროს სახელმწიფო მართვისა და კონტროლის ქეშ ექცევა “შეოთხე ხელისუფლება”, საინფორმაციო და პრესის საშუალებები, ისინი არათანაბრად მიწვდომადი და არაობიექტურები ხდებიან. ჩემი აზრით, ხარვეზი არა საარჩევნო კოდექსში, არამედ მის მიმართ მიდგომაში უნდა ვეძოოთ! რაც შეეხება საარჩევნო ინფრასტრუქტურას, მასში წარმოდგენილია ხელისუფლების ყველა შტო. საკანონმდებლო ორგანო შეიმუშავებს და ამტკიცებს საარჩევნო კანონს, ადმასრულებელი ხელისუფლება (პრეზიდენტი) მონაწილეობს საარჩევნო კომისიის დაკომპლექტებაში, აფინანსებს არჩევნების ხარჯებს, უზრუნველყოფს ამომრჩეველთა სიების შედგენას, არგვულირებს საარჩევნო კამპანიის მსელელობას, სასამართლო ორგანოები იხილავს არჩევნებთან დაკავშირებულ სახივრებს. თუმცა, დღემდე, ეს ინსტიტუტები, უმეტესწილად, გამოხატავს ელექტორატის მცირე ნაწილის ინტერესებს და არ ემსახურება საზოგადოების ფართო მასების ნებას ობიექტური არჩევნების შესახებ, ამიტომ იგი რეალურად პრობლემური საკითხია დღვევანდელ ინსტებლიშენტში.

საარჩევნო სისტემის ძირითადი დანიშნულებაა უზრუნველყოს ხალხის ნების წარმომადგენლობა ხელისუფლებაში, ძალაუფლების ეფექტიანი ორგანოების ჩამოყალიბების მიზნით.

საქართველოში საპარლამენტო არჩევნები ტარდება შერეული სისტემით, პარლამენტის შემადგენლობის 50% აირჩევა პროპორციული სისტემით: პარლამენტის წევრთა მანდატები მიეკუთვნება იმ პარტიულ სიას, რომელმაც არჩევნებში მონაწილეობა ხმების არანაკლებ 5% მიიღო. პარტიული სიით მიღებული მანდატების რაოდენობის დასადგენად ამ სიით მიღებული ხმების რაოდენობა გამრავლება 75-ზე და გაიყოფა ასეთი პარტიების მიერ მიღებულ ხმათა რაოდენობის ჯამზე. მიღებული რიცხვის მთელი ნაწილი პარტიული სიით მიღებულ მანდატების რაოდენობაა. თუ პარტიის ან საარჩევნო ბლოკის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობა 75-ზე ნაკლები აღმოჩნდა, გაუნაწილებელი მანდატებიდან თითო მანდატს მიაკუთვნებენ იმ პარტიულ სიებს, რომლებმაც არჩევნებში

მეტი ხმა მიიღო. თუ თრი ან მეტი პარტიული სიით მიღებული ხმების რაოდენობა თანაბარი აღმოჩნდა, მანდატი მიეკუთვნება იმ პარტიულ სიას, რომელმაც უფრო ადრე გაიარა რეგისტრაცია საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში. პარტიებმა, რომლებმაც ვერ გადალახეს 5% ბარიერი, მათი ხმები დაკარგულად ჩაითვლება. აქედან გამომდინარე, სისტემა სრულად ვერ გამოხატავს საზოგადოების ყველა ჯგუფის ინტერესებს.

მეორე ნახევრის არჩევა – საარჩევნო ოლქების მიხედვით (თბილისი – 10 ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქი, ქუთა და ერევი – 1, აქარისა და თიღვის თემები, რომლებიც არ არიან დამოუკიდებელი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქები, ცელილება შევიდა (21.03.2008. №6013) რეგიონების მიხედვით – 64), მაჟორიტარული სისტემით. მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არჩეულად ითვლება კანდიდატი, რომელიც ხმათა მეტ რაოდენობას მიიღებს, მაგრამ შესაბამის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში მონაწილეობა არანაკლებ 30%-ისა. საპრეზიდენტო არჩევნები ტარდება ორრაუნდიანი მაჟორიტარული სისტემით: არჩეულად ითვლება საქართველოს პრეზიდენტობის ის კანდიდატი, რომელსაც ხმა მისცა არჩევნებში მონაწილეობა ნახევარზე მეტმა. თუ არჩევნების პირველ ტურში ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ხმათა საჭირო რაოდენობა, ინიშნება არჩევნების მეორე ტური. მეორე ტურში არჩეულად ითვლება ის კანდიდატი, რომელიც მეტ ხმას მიიღებს. ადგილობრივი მუნიციპალური არჩევნები კი პროპორციული და მაჟორიტარული (ამომრჩეველი ხმას აძლევს ამა თუ იმ პოლიტიკურ პარტიას ან ბლოკის მიერ დასახელებულ კანდიდატთა ერთობლივ სიას) სისტემით ტარდება [16. 105 მხ]. მიზანშეწონილია განვიხილოთ საქართველოსა და სხვა ქვეყნებში დამკვიდრებული მაჟორიტარული ანუ ალტერნატიული და პროპორციული, ანუ წარმომადგენლობითი საარჩევნო სისტემები. მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩევნების დროს დეპუტატობის რომელიმე კანდიდატი ან პარტია გამარჯვებულად რომ ჩაითვალოს, საჭიროა მან ან პარტიაში საარჩევნო ოლქის, ან მთელი ქვეყნის მასშტაბით ხმების უმრავლესობა მოაგროვოს. ნაკლები რაოდენობის ხმების მოგროვებელი საქართველო ვერ იღებს მანდატს, იმის მიხედვით, თუ გამარჯვებისათვის როგორი უმრავლესობაა საქართველოში. მაჟორიტარულ სისტემაში შედის აბსოლუტური და შედარებითი უმრავლესობის სისტემები. აბსოლუტური უმრავლესობის სისტემის კონკრეტულ მნიშვნელობას სხვადასხვა ვანაირად განსაზღვრავს სხვადასხვა ქვეყნის საარჩევნო სისტემა. ზოგიერთ ქვეყნაში, მაგ., ავსტრალიაში, გერმანიაში და ა.შ. ხმების აბსოლუტურ უმრავლესობად ითვლება 50%-ს პლუს ერთი ხმა. ამ სისტემას ვერ გადასაზღვრავთ ხშირად საპრეზიდენტო არჩევნებში იყენებენ. შეფარდვ-

ბითი უმრავლესობის სისტემის გამოყენებისას არჩევნებში იმარჯვებს ის, ვინც თავის მოწინააღმდეგესთან შედარებით მეტ ხმას მოაგროვებს. ასეთ სისტემას ფინიშთან პირველად მისვლის სისტემას უწოდებენ. თუ ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ხმების ნახევარზე მეტი, ტარდება არჩევნების მეორე ტური, რომელზეც უკვე ის ორი კანდიდატი იბრძვის, რომლებმაც ხმების ყველაზე მეტი რაოდენობა მოაგროვა. ამჟამად შეფარდებითი უმრავლესობის სისტემა გამოიყენება საპრეზიდენტო არჩევნების დროს საქართველოში, აშშ-ში, კანადაში, დიდ ბრიტანეთსა და ახალ ზელანდიაში. ზოგჯერ პრაქტიკაში მაჟორიტარული სისტემის ორივე ნაირსახეობას იყენებენ. მაგ., საფრანგეთში პარლამენტის დეპუტატის არჩევნების დროს პირველ ტურში ხმების აბსოლუტური უმრავლესობის სისტემა გამოიყენება, ხოლო მეორე ტურში – შეფარდებითი. საერთოდ არჩევნების მაჟორიტარული სისტემით ჩატარებისას შესაძლებელია კენჭისყრა ორ ან სამ ტურადაც მოეწყოს. თანამედროვე მსოფლიოში ყველაზე გავრცელებულია პროპორციული საარჩევნო სისტემა. იგი გულისხმობს კენჭისყრას პარტიული სიებით და პარტიებს შორის მანდატების განაწილებას ზუსტად მიცემული ხმების პროპორციულად. არჩევნების ასეთი სისტემით ჩატარებისას წინასწარ განისაზღვრება ე.წ. საარჩევნო ზღვარი ანუ ერთი დეპუტატის არჩევისათვის აუცილებელია ხმების მინიმალური რაოდენობა. ზემოაღნიშნული სისტემის ორი ნაირსახეობა არსებობს: ა) პროპორციული საარჩევნო სისტემა სახელმწიფოს დონეზე (ამომრჩევლები ხმას აძლევენ პოლიტიკურ პარტიებს მთელი ქვეყნის მასშტაბით, საარჩევნო ოლქების გამოყოფის გარეშე); ბ) პროპორციული საარჩევნო სისტემა, რომელიც ეფუძნება მრავალმანდატიან ოლქებს (სადეპუტატო მანდატები ნაწილდება საარჩევნო ოლქში პარტიინგის მიხედვით). ორივე საარჩევნო სისტემას აქვს როგორც ძლიერი, ასევე სუსტი მხარეები. ნაკლოვანებები: მაჟორიტარული სისტემა ხელს უწყობს ხელისუფლების ორგანოებში უმრავლესობის ჩამოყალიბებას. აქედან გამომდინარე, ეფუძნება რა დაგროვილი ხმებისა და მანდატების რაოდენობას შორის დისპოპორციას, ქმნის ეფექტურად მომუშავე, ერთაპარტიული, სტაბილურად მოქმედი მთავრობის ფორმირების პირობებს. პროპორციული სისტემის მთავარი დირექტორი ის, რომ არჩევით ორგანოში პარტიათა წარმომადგენლობა განისაზღვრება ამომრჩეველთა შორის რეალური პოპულარობისა და ხდობის შესაბამისად. ხელისუფლების ორგანოებში აისახება ქვეყანაში საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრებისა და პოლიტიკური ძალების განაწილების რეალური სურათი. ამასთან, საშუალებას იძლევა სრულად გამოხატოს საზოგადოების ყველა ჯგუფის ინტერესი, უფრო გააქტიუროს მოქალაქეთა მონა-

წილებია არჩევნებისა და პოლიტიკურ ცხოვრებაში. არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ უზრუნველყოს უკუავშირი სახელმწიფოს და საზოგადოებას შორის, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს პოლიტიკური პლურალიზმისა და მრავალპარტიულობის განვითარებას. მაჟორიტარული სისტემის ძირითადი ნაკლოვანებებია: 1) ქვეყნის ამომრჩეველთა მნიშვნელოვანი რაოდენობა ხელისუფლების ორგანოში წარმომადგენლობის გარეშე რჩება; 2) პარტია, რომელიც, მოწინააღმდეგა პარტიებთან შედარებით, არჩევნებში ხმების ნაკლებ რაოდენობას მიიღებს, შეიძლება (მათთან შედარებით) პარლამენტში მანდატების უფრო მეტ რაოდენობას ფლობდეს. ამასთან, პარტიამ, რომელიც სარგებლობს ამომრჩეველთა ნაკლები მხარდაჭერით, შესაძლებელია დამარცხოს ის პარტია, რომელმაც მთლიანად ქვეყანაში ხმების უმრავლესობა მიიღო. მაგ., ერთმა პარტიამ შეიძლება მინიმალური უპირატესობით მოუგოს მეორე პარტიას 51 საარჩევნო ოლქში, მაგრამ მეორემ დარჩენილ ოლქში შეიძლება პირველი საგრძნობი უპირატესობით დამარცხოს და, შესაბამისად, მთელ ქვეყანაში გაიმარჯვოს. გარდა ამისა, მანივულირების საშუალებას ქმნის არჩევნების შედეგების უშუალო დამოკიდებულება საარჩევნო ოლქში განაწილებულ ამომრჩეველთა რაოდენობაზე; 3) მაჟორიტარული სისტემით არჩევნები ამასინჯებს ამომრჩეველთა უპირატესობას და პოლიტიკური ნების რეალურ სურათს – ორ პარტიას, რომელებიც დააგროვებენ ხმების თანაბარ ან თითქმის თანაბარ რაოდენობას, ხელისუფლების ორგანოებში გაჰყავთ კანდიდატთა არათანაბარი რაოდენობა (არა გამორიცხული ვითარება, რომლის დროსაც პარტიამ, რომელიც დააგროვებს ხმების მეტ რაოდენობას, ვიდრე მოწინააღმდეგა, საერთოდ ვერ მიიღოს ვერც ერთი მანდატი).

პროპორციული სისტემის ძირითადი ნაკლოვანებებია: 1) მთავრობის ფორმირებისას წარმოქმნილი სირთულეები, მიზეზი: დომინანცი პარტიის არსებობა, რის შედეგად აუცილებელი ხდება მრავალპარტიული კოალიციების შექმნა, რომლებშიც ერთიანდება სხვადასხვა მიზნის და ამოცანის პარტიები, რასაც, როგორც შედეგი, მთავრობის არასტაბილური მოპყვება; 2) დეპუტატებისა და ამომრჩევლების შორის უშუალო კავშირის სისუსტე, რადგან ამომრჩევები ხმას აძლევენ არა რომელიმე კონკრეტულ კანდიდატს, არამედ პარტიას; 3) დეპუტატების დამოკიდებულება თავიანთ პარტიაზე შეიძლება ნებაზრდა აისახოს მნიშვნელოვანი დოკუმენტების განხილვასა და მიღებაზე; 4) მთავრობის შედერებით ნაკლები სტაბილურობა. სხვადასხვა პარტიის ფართო წარმომადგენლობა პარლამენტში საშუალებას არ აძლევს რომელიმე ერთ პარტიას შექმნას მყარი უმრავლესობა, რაც კოალიციის შექმნისკენ უბიძებს. ასეთი კოა-

ლიციის საფუძველზე შექმნილი მთავრობა ხშირად დიდი ეკლექტურობითა და ნაკლები თანამიმდევრობით გამოიჩინა, ხშირია სამთავრობო კრიზისებიც. ხემოაღნიშნული ნაკლოვანებებისგან თავის დასაღწევად თანამედროვე მსოფლიოში იყენებენ ორივე სისტემის სხვადასხვა მოდიფიკაციას, კერძაზე ხშირად მიმართავენ შერეულ სისტემებს, რომელიც შეიცავენ როგორც მაჟორიტარულ, ისე პროპორციული საარჩევნო სისტემის ელექტრობეს. მაგ., პარლამენტის დეკუტატო ერთი ნახევარი ირჩევა მაჟორიტარული, ხოლო მეორე ნახევარი – პროპორციული სისტემის მიხედვით. ასეთი სისტემები გამოიყენება რუსეთის ფედერაციაში, გერმანიაში, საქართველოში და ა.შ. [18.297-299].

ერთმნიშვნელოვნად ძნელია იმის თქმა, თუ რომელი განხილული სისტემა ითვალისწინებს უფრო აღკვაბურად და, აქედან გამომდინარე, დემოკრატიულად ამორჩეველთა ინტერესებს. ერთი შეხედვით პროპორციული საარჩევნო სისტემა ასახავს თვალსაზრისთა მთელ სპექტრს, სამაგიეროდ მაჟორიტარული სისტემა ამ თვალსაზრისთა მთელ სპექტრს აფახებს უფრო დრმად – ამორჩეველებს აიძულებს უფრო საფუძვლიანად დაფიქრდნენ საბოლოო არჩევანის გაკეთებისას, რადგან ხმას აძლევენ უმუალოდ კანდიდატს და არა კანდიდატთა გარკვეულ ჯუფს, რომელთანაც შეიძლება მხოლოდ ზოგიერთს იცნობენ. მაჟორიტარული სისტემით არჩევისას, შედეგები შეიძლება მოულოდნელი, პარადოქსული აღმოჩნდეს, მაგ., პორტუგალიაში 1986 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე სოციალისტმა მ. საორეშმა პირველ ტურში ხმების მხოლოდ 25,4% დააგროვა, მაშინ, როდესაც მისმა მოწინააღმდეგე კონსერვატორმა დ. ფრეიტაშ დუ ამარალმა თითქმის ორჯერ მეტი – 46,3% მიიღო, თუმცა იგი მისაღები არ აღმოჩნდა სხვა კანდიდატთა მხარდამჭერთათვის და მეორე ტურში მ. საორეშმა გაიმარჯვა: დააგროვა 51,4%, ხოლო კონკურენტმა – 48,6% და პორტუგალიის პრეზიდენტი გახდა.

საკანონმდებლო ორგანოს მეტისმეტად პარტიული დაქუცმაცების თავიდან ასაცილებლად, მასში უკიდურესად რადიკალურ, ექსტრემისტულ ძალთა წარმომადგენლების მოხვედრის შესაზღუდად, მრავალი ქვეყანა გარკვეულ ბარიერს იქნებს – აღგენს დეკუტატის მანდატის მისაღებად საჭირო ხმების აუცილებელ მინიმუმს. ეს მინიმუმი ჩვეულებრივ 2-დან 5%-ის ფარგლებში მერყეობს, თუმცა, არც უფრო მაღალპროცენტიანი ბარიერებია იშვიათი. მაგ., საქართველოში 1995–2004 წლებში 7% ბარიერი იყო [14. 41-45].

მიზანშეწონილია საერთაშორისო პრაქტიკაში არჩევნების მოწყობისა და ადმინისტრირების რამდენიმე მიღღომის განხილვა: 1) სამთავრობო – გავრცელებულია გერმანიაში, რომლის ძირითადი არსი არჩევნების ჩატარება სახელმწიფო ორგანოს, კერძოდ, შინაგან საქმეთა სამინი-

სტროს პრეზიდენტივაა. საარჩევნო კომისიებში იწვევენ სახელმწიფო მოხელეებს, რაც კითხვის ნიშნის ქვეშ აუგნებს ასეთი წესით დაკომპლექტებული საარჩევნო კომისიების დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას; 2) სასამართლო – ასევე სამთავრობო მიდგომაა და სხვადასხვა სახელმწიფო სხვადასხვანაირია. მაგ., პარლამენტში ცენტრალური საარჩევნო კომისია პრეზიდენტის მიერ დანიშნული სამი მოსამართლისგან შედგება, ასეთივე რუმინეთში, ოდონდ წევრთა რაოდენობა შეიძლამდება გაზრდილი და კენტისურით ირჩევენ; 3) მრავალპარტიული – რომლის თანახმად არჩევნებში მონაწილე ყველა პოლიტიკურ პარტიას შეუძლია ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში დანიშნოს თავისი წარმომადგენელი; 4) ექსპერტული – გულისხმობს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში არჩევნებში მონაწილე ყველა პოლიტიკური პარტიის შეთანხმების საფუძველზე დამოუკიდებელი ექსპერტების დანიშნას, რომლებიც საზოგადოებაში ობიექტურობით უნდა იყვნენ ცნობილი [13. 39-40].

არჩევნები ყველაზე ეფექტური საშუალებაა ავტორიტარული რეჟიმის ლიკვიდაციისა და ხელისუფლების სათავეში დემოკრატიული ძალების მოსავლელად. არჩევნები მოქალაქეებს საშუალებას აძლევს (უსისხლოდ) შეცვალონ არასასურეველი მთავრობა ან პარლამენტის შემადგენლობა. მრავალ ქვეყანაში, სადაც არჩევნები ჩატარდა თავისუფლად, ფალსიფიცირებისა და „იძულებითი“ დემოკრატიის გარეშე (ჩილე, ბრაზილია, არგენტინა და სხვა) არჩევნებმა ბოლო მოუღო სამხედრო და ავტორიტარულ რეჟიმებს.

თუ პოლიტიკას მთლიანობაში ჩავთვლით საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი პრობლემების მშვიდობიანი გადაწყვეტის გზად, მაშინ არჩევნები ამ სიტყვების ჭეშმარიტების ყველაზე თვალსაზრის იღუსტრირებაა. არჩევნები უზრუნველყოფს მოქალაქეებისა და მთელი საზოგადოების უმტკინეულო მშვიდობიან გადასვლას დემოკრატიზე, თავისი აზრით ის გამორიცხავს ძალადობას. მისი მეშვეობით განხორციელებული ხელისუფლების შეცვლა არ მოითხოვს სისხლის ღვრას, ადამიანთა მსხვერპლს და ნგრევას.

### 3. დასკვნა

საქართველოში დღეს მიმდინარე მოვლენები, რომელიც ოპოზიციურად განწყობილი საზოგადოების ფართო ფენებს მოიცავს, დღევანდელ ხელისუფლებას აასუს თხოვს ერთ-ერთ მთავარ პოლიტიკურ პოსტულატზე – მთავრობაშ უკეთ უნდა იმუშაოს ქვეყნისა და ხალხის საკუთილდებოდ, ჩვენივე თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად (ესა, მამული, სარწმუნოება+დმერთი, სამშობლო, ადამიანი). ისმის კითხვა, როგორ უნდა გამოსწორდეს პარადოქსული ვითარება

საზოგადოებასა და ინსტიტუციონალიზმს შორის? პასუხი შემდეგია: აღმასრულებელმა ხელისუფლებამ რეალური თავისუფლება უნდა მიანიჭოს “მეოთხე ხელისუფლებას”.

### **ლიტერატურა**

5. პოლიტიკური მიმოხილვების კრებული. 1998–2002წწ.
6. საარჩევნო სისტემის სრულყოფის გზები ეკროპულ სახელმწიფოებში. 2000წ.

7. ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტები და მათი როლი დემოკრატიულ არჩევნებში. 1990–1992წწ.
8. demokratiuli arCevnebi da saarCevno piarkompaniebi. v. SubiTZe 2002w.
5. Булатова А.С. Теории стадий развития // Мировая экономика, 2002 г.
6. Нетшерта Е.И. Регионализация и интеграция. 2005 г.

### **UDC 341**

## **INFLUENCE OF LAWFUL DEMOCRATIC DEVELOPMENT QUALITY OF ELECTORIAL SYSTEM ON ELECTORATE**

**G. Giorgadze**

Social science department, Georgian Technical University, 77, Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

**Resume:** The paper includes “international pact of civil and political means” adopted in 1966, which declares the right for each civilian of the world “to elect and be elected in election conducted occasionally.”

In the important document adopted on Europe security conference in Copenhagen in June 1990 there is a talk about that, the base of legitimacy for any authority is people’s wish expressed during an occasionally conducted free and honest election.

**Key words:** theoretical-juridical basis; practical-organizational basis. active suffrage, passive suffrage.

### **УДК 341**

## **ВЛИЯНИЕ ЗАКОННОГО ДЕМОКРАТИЧЕСКОГО КАЧЕСТВА РАЗВИТИЯ ИЗБИРАТЕЛЬНОЙ СИСТЕМЫ НА ЭЛЕКТОРАТ**

**Гиоргадзе Г.П.**

Департамент общественных наук, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава, 77

**Резюме:** Бумага включает “Междуннародный договор гражданских и политических средств”, принятых в 1966, который объявляет, что право для каждого гражданского лица мира “выбирает и выбирается на выборах, проводимых иногда.”

В важном документе, принятом на европейской конференции безопасности в Копенгагене в июне 1990, есть разговор об этом: основа законности для любой власти - желание людей, выраженное во время проводимых иногда свободных и честных выборов.

Государства, которые подписали этот документ, заявляют, что, для того чтобы представить желание людей как основу власти, они берут ответственность и призывают устойчивое выполнение семи основных принципов избирательной системы.

**Ключевые слова:** теоретически-юридические основания; практическо-организационные основания; активное избирательное право; пассивное избирательное право.

*გილეად ულია დასაბუქლია 07.10.10*

## ავტორთა საძიებელი

### Author's index

### Указатель авторов

- |                       |                       |
|-----------------------|-----------------------|
| ამირიძე გ. 67         | მიქიაშვილი თ. 17      |
| არაბიძე გ. 17         | მურლულია ნ. 9         |
| ბაციკაძე თ. 9, 14     | ნაჭელია შ. 17         |
| ბერიშვილი ნ. 14       | ნიუარაძე ჯ. 9         |
| გიორგაძე გ. 84, 89    | პაპავა ლ. 22          |
| გუდიაშვილი გ. 17      | ქუთათელაძე რ. 72      |
| ღოლიძე გ. 59, 63      | ქუვარაშვილი ლ. 59, 63 |
| თაბუკაშვილი რ. 77, 82 | შარაშენიძე გ. 59, 63  |
| ვეზირიშვილი თ. 22     | შარაშენიძე ს. 59, 63  |
| თევზაძე ე. 51         | ჩიქვინიძე ი. 82       |
| კმერაძე ნ. 22         | ჭყოიძე რ. 14          |
| კობიაშვილი ი. 72      | ხითარიშვილი ვ. 26     |
| კურტანიძე პ. 59, 63   | Gvetadze D. 34, 44    |
| ლომიძე ი. 17          | Gvetadze R. 34, 44    |
| მაჭავარიანი ნ. 26     | Саруханишвили А.В. 29 |
| მეფარიშვილი ნ. 26     | Мацаберидзе Э.Л. 29   |

## ავტორთა საყურადღებოდ!

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული არის რეფერირებული პერიოდული გამოცემა, რომელიც გამოიცემა წელიწადში ოთხჯერ (პირველი ნომერი მოიცავს პერიოდს 1 იანვრიდან 31 მარტამდე, მეორე ნომერი - 1 აპრილიდან 30 ივნისამდე, მესამე ნომერი - 1 ივლისიდან 30 სექტემბრამდე და მეოთხე - 1 ოქტომბრიდან 31 დეკემბრამდე).

კრებულის დანიშნულებაა მეცნიერების განვითარების ხელშეწყობა, მეცნიერთა და სპეციალისტთა მიერ მოპოვებული ახალი მიღწევების, გამოკვლევათა მასალებისა და შედეგების ოპერატიულად გამოქვეყნება.

სტატიების მიღება შესაძლებელია ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე (ქვეყნდება ორიგინალის ენაზე).

ავტორს შეუძლია მხოლოდ ორი სტატიის მოწოდება.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თანამშრომელთათვის სტატიის გამოქვეყნება უფასოა.

სტატიის ავტორთა რაოდენობა ხუთს არ უნდა აღემატებოდეს.

კრებულში ქვეყნდება სტატიები მეცნიერული კვლევების ახალი შედეგების შესახებ შემდეგი თეორიული და გამოყენებითი დარგების მიხედვით:

- მშენებლობა
- ენერგეტიკა, ტელეკომუნიკაცია
- სამთო-გეოლოგია
- ქიმიური ტექნოლოგია, მეტალურგია
- არქიტექტურა, ურბანისტიკა, დიზაინი
- ინფორმატიკა, მართვის სისტემები
- სატრანსპორტო, მანქანათმშენებლობა
- ჰუმანიტარულ-სოციალური
- ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტი.

გთავაზობთ სამეცნიერო სტატიის გაფორმების წესს:

- ნაშრომის მოცულობა განისაზღვრება A4 ფორმატის ქაღალდის 1,5 ინტერვალით ნაბეჭდი 5-7 გვერდით (მინდვრები 2 სმ) ნახაზების, გრაფიკების, ცხრილების და ლიტერატურის ჩამონათვალით;
- სტატია შესრულებული უნდა იყოს DOC ფაილის სახით (MS-Word) ჩაწერილი ნებისმიერ მაგნიტურ მატარებელზე;

- ქართული ტექსტისთვის გამოიყენეთ Acadnusx შრიფტი, ზომა 12;
- ინგლისური და რუსული ტექსტის შრიფტი - Times New Roman, ზომა 12;
- სტატიის თავი უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
  - უაკ-ს (უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაცია);
  - ავტორის/ავტორების სახელს, მამის სახელს, გვარს;
  - ავტორის/ავტორების ელექტრონული ფოსტის მისამართს და საკონტაქტო ტელეფონს;
  - დეპარტამენტის დასახელებას სამივე ენაზე;
  - საკვანძო სიტყვებს სამივე ენაზე.
- სტატიაში ქვესათაურებით გამოკვეთილი უნდა იყოს შესავალი, მირითადი ნაწილი და დასკვნა;
- ნახაზების ან ფოტოების კომპიუტერული ვარიანტი შესრულებული უნდა იყოს TIFF ფორმატში გარჩევადობით 150 dpi;
- სტატიას უნდა ახლდეს რეზიუმე ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე;
- სტატია შედგენილი უნდა იყოს წიგნიერად, სწორმეტყველებისა და ტერმინოლოგიის დაცვით, სტილისტური და ტექნიკური შეცდომების გარეშე;
- ავტორი/ავტორები პასუხს აგებს სტატიის შინაარსსა და ხარისხზე.

გთავაზობთ სტატიის წარმოდგენისთვის საჭირო დოკუმენტაციის ჩამონათვალს:

- ორი რეცენზია;
- ფაკულტეტის სწავლულ ექსპერტთა დარგობრივი კომისიის სხდომის ოქმის ამონაწერი;
- ფაკულტეტის ან მიმართულების სემინარის ოქმის ამონაწერი.

## To the authors attention!

Transactions of Georgian Technical University represents reviewed, periodical edition, which there is published four times in year. (the first number includes the period from 1 January to 31 March, the second number - from 1 April to 30 June, the third number - from 1 July to 30 September and the fourth - from 1 October to 31 December).

Purpose of collection is assistance of science development, new achievements of scientists and specialists, operative publication materials and results of scientific researches.

The articles are accepted in Georgian, English and Russian languages (are published in original language).

Author is allowed to present only two articles.

The publication of articles for the workers of Georgian Technical University is free of charge.

The amount of authors of article mustn't exceed 5.

In transactions are published articles about new results of scientific researches according to the following theoretical and applied sphere:

- Building
- Energetics, telecommunication
- Mining-geology
- Chemical technology, metallurgy
- Architecture, urbanist, design
- Informatic, systems of management
- Transport, engineering industry
- Humanitarian-social
- Institute of buildings, special systems and engineering maintenance

There is offered the rule of official registration of scientific articles:

- The volume of work is determined A4 paper size at 1,5 line spacing 5-7 printed page (margins - 2cm) draughts, diagrams, tables and a list of literature.
- The article should be carried out in form file DOC (MS-WORD), written down on any magnetic carrier
- For Georgian text is used Acadnusx font, size 12
- For English and Russian texts is used font - Times New Roman, size 12;

- The beginning of the article should contain the following informations
  - UDC (Universal Decimal Classification)
  - Name, surname, of author/authors
  - E-mail and contact telephone of author/authors
  - The name of department in all three languages
  - Key words in all three languages
- In the article with subtitles should be isolated introduction, the body of the article and conclusion
- Computer version of pictures or photos must be done in size TIFF with the recognition 150 dpi
- The article should have resume in Georgian, English and Russian languages
- The article should be written correctly, with the observance terminology, without stylistic and grammatical mistakes.
- Author/authors are responsible for content and quality of article.

There is offered the following documentation for the article presentation:

- Two reviews;
- Extract from the minutes of a branch commission meeting of faculty learned experts;
- Extract from the seminar minutes of faculty or direction.

## К сведению авторов!

Сборник научных трудов Грузинского технического университета является реферированным периодическим изданием, которое выходит в свет четыре раза в год (первый номер включает период с 1 января по 31 марта, второй номер – с 1 апреля по 30 июня, третий номер – с 1 июля по 30 сентября и четвертый – с 1 октября по 31 декабря).

Назначение сборника – содействие развитию наук, новых достижений ученых и специалистов, оперативная публикация материалов и результатов исследований.

Принимаются статьи на грузинском, русском и английском языках (публикуются на языке оригинала).

Автор может представить только две статьи.

Для сотрудников Грузинского технического университета статьи публикуются бесплатно.

Количество авторов статьи не должно превышать 5.

В сборнике печатаются статьи, касающиеся новых результатов исследований по следующим теоретическим и прикладным отраслям:

- Строительство.
- Энергетика, телекоммуникации.
- Горное дело-геология.
- Химическая технология, металлургия.
- Архитектура, урбанистика, дизайн.
- Информатика, системы управления.
- Транспорт, машиностроение.
- Гуманитарная – социальная.
- Сооружения, специальные системы, инженерное обеспечение.

Предлагаем порядок оформления научных статей:

- Объем работы определяется форматом бумаги А4 с интервалом 1,5, 5-7 печатными страницами (поля = 2см), с перечислением рисунков, графиков, таблиц и списка литературы.
- Статья должна быть выполнена в виде файла DOC (MS-Word), записанного на любом магнитном носителе.
- Для грузинского текста используется шрифт Acadnusx, размер 12.
- Для английского и русского текстов – шрифт Times New Roman, размер 12.

- В начале статьи должна содержаться следующая информация:
  - УДК (Универсальная десятичная классификация).
  - Фамилия, имя, отчество автора/авторов.
  - Адрес электронной почты автора/авторов и контактный телефон.
  - Название департамента на трех языках.
  - Ключевые слова на трех языках.
- В статье подзаголовками следует выделить введение, основную часть и заключение.
- Компьютерный вариант рисунков или фото должен быть выполнен в формате TIFF с разрешением 150 dpi.
- Статья должна иметь резюме на грузинском, русском и английском языках.
- Статья должна быть написана грамотно, с соблюдением терминологии, без стилистических и грамматических ошибок.
- Автор/авторы ответствен/ы за содержание и качество статьи.

Для представления статьи необходимы следующие документы:

- Две рецензии.
- Выписка из протокола заседания отраслевой комиссии ученых экспертов факультета.
- Выписка из протокола семинара факультета или направления.

რედაქტორები: ლ. მამალაძე, დ. ქურიძე, მ. პრეობრაჟენსკაია  
კომპიუტერული უზრუნველყოფა ზ. უნგიაძის

გადაეცა წარმოებას 08.10.2010. ხელმოწერილია დასაბეჭდად 15.12.2010. ბეჭდვა  
ოფსეტური. ქაღალდის ზომა 60X84 1/8. პირობითი ნაბეჭდი თაბაზი 6. ტირაჟი 100 ეგზ.  
შეკვეთა №

საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, კოსტავას 77

